
11-12
1999
საქართველოს
ქალი

ჟურნალი გამოიცა
ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პროგრამის „რეპროდუქტოლოგიის განვითარება საქართველოში“ ნაწილობრივი დახმარებით.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
**ნარგიზა მგელაძე**

სარედაქციო კოლეგია:

- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ნინო ჯავახიშვილი

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე – რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ცინარა ტერელაძის ფოტოკოლაჟი „მზერა“

დამფუძნებელი – ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

"Sakartvelos Kali"
a Magazine for Woman of the Republic of Georgia
Georgian Woman

გიხაროდენ!

# ...და შობს ძეს და



*ჩვენი რუბრიკის პირველ გამოშვებაში თქვენ გაეცანით წმიდა ეპისკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) ქადაგებებს ქალის შინაგანი ღირსების, კეთილშობილების, ოჯახსა და საზოგადოებაში მისი დანიშნულების შესახებ. წმიდა მღვდელმთავრის ყოველ სიტყვას აერთიანებს ერთი მოწოდება: ყველა ქრისტიანმა დედაკაცმა ისწავლოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან თავისი ცხოვრების ყოველ დღეს, მიბაძოს მას და მისი შეწევნით იაროს ქვეყანაზე.*

*ჩვენი თხრობა ზეცისა და მიწის დედოფლის მთელს ცხოვრებას როდი მოიცავს: იგი მხოლოდ ერთგვარ წარმოდგენას შეგიქმნით მასზე. მოდით, ერთად ვითხოვოთ კურთხევა უფლისაგან და გადავშალოთ წიგნი ყოვლადწმიდა დედა-ღვთისმშობლის ამქვეყნიური ცხოვრებისა...*

უძველესმა საეკლესიო გადმოცემებმა ბევრი რამ შემოგვინახა ღვთისმშობლის შესახებ:

ყოვლადწმიდა ქალწული დიდი ყურადღებით უსმენდა ყველას, ვინც კი მას მიმართავდა. თვითონ კი ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ აუცილებელს. გასაოცარ პატივისცემას და სიყვარულს ამჟღავნებდა თითოეული ადამიანის მიმართ.

მარიამს ღია ფერის თმა ჰქონდა, შავი წარბები, მახვილი მზერა, მოგრძო სახე, გრძელი თითები... სამოსელი კი ძალზედ უბრალო ეცვა, უფრო სწორად – ღარიბული... ყოველი მისი სიტყვა მადლმოსილი იყო და მაშინაც კი, როცა იგი ადამიანებს ესაუბრებოდა, შეიძლება გეფიქრა, რომ იგი ახლაც ღმერთთან საუბრობსო. ბევრს ხელსაქმობდა. განსაკუთრებით უყვარდა წმიდა წერილის კითხვა...

ყოვლადდიდებული დედა უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი მარიამი, ნაზარეთში მცხოვრები მართალი და ღვთისმოშიში მეუღლეების – იოაკიმესა და ანას ოჯახში იშვა. ამ დღესასწაულს ეკლესია 21 სექტემბერს ზეიმობს, ხოლო 4 დეკემბერს აღინიშნება პატარა მარიამის იერუსალიმის ტაძარში მიყვანა და იქ დატოვება, რადგან მშობლებს ღვთის წინაშე აღქმა ჰქონდათ დადებული, რომ უფალს შესწირავდნენ ნანატრ ყრმას.

წმიდათაწმიდა გახდა მარიამის მუდმივი სალოცავი ადგილი. განმარტოება იქცა მის ჩვეულ მდგომარეობად. აქ ამ საკვირველი ყრმის ამაღლებული გონება ღვთის შემეცნებას იყო მთლიანად მიქცეული. ღრმად უფიქრდებოდა იგი ღვთის სიდიადეს და სულიც მისი სულ უფრო მეტად ამჟღავნებდა ღვთაებრივ თვისებებს.

მზის პირველ სხივებს ასწრებდა მარიამის მადლმოსილი ლოცვის პირველი სიტყვები. ასე ლოცულობდა დილის 9 საათამდე. შემდეგი 6 საათი ხელსაქმესა და წმიდა წერილის კითხვას ხმარდებოდა.

მარიამი ბევრს ფიქრობდა და ძალიან ცოტას ლაპარაკობდა. ძაფის დართვა და ქსოვა იყო მისი ჩვეული ხელსაქმე. ხშირად აბრეშუმის ძაფით ქარგავდა, განსაკუთრებით სამღვდელო შესამოსელს.

დღის 3 საათიდან კვლავ ლოცვას იწყებდა და ლოცულობდა მანამ, სანამ ანგელოსი, რომელიც მას მსახურებდა, საჭმელს არ მოუტანდა.

მღვდელმთავარმა ზაქარიამაც შენიშნა ერთხელ, რომ ანგელოზები მოდიოდნენ მარიამთან და არ ტოვებდნენ მას. ამან განაცვიფრა იგი და ღრმად ჩააფიქრა...

მალე ყრმა მარიამი დაობლდა. ჯერ 80 წლის მართალი იოაკიმე მიიცვალა, შემდგომ კი – წმიდა ანა.

ასეთ პაწია და სათუთ ასაკში იგემა ობლობის სიმწარე მან, რომელსაც შემდგომში თავად უნდა გაექარვებინა ობლობის სევდა ყველა მარტოხელა და მიტოვებული ადამიანისათვის და გამხდარიყო დედა, ნუგეშისმცემელი და მეოხი ყველა ობლისა...

ხარების საიდუმლოს აღსრულების შემდეგ სამი თვე მარიამმა თავის ნათესავთან, – ელისაბედთან გაატარა. რა საიდუმლოებანი, გრძნობანი, გულისთქმანი გაანდეს მათ ერთმანეთს?! როგორი თვალებით უცქეროდა წმიდა ელისაბედი ღვთისმშობელს?!.. ისინი ხომ ერთად საუბრობდნენ, ლოცულობდნენ, შრომობდნენ და ატარებდნენ თავიანთ სხეულებში ორ უძვირფასეს სიცოცხლეს – იესო ქრისტესა და იოანე ნათლისმცემელს, რომელთაც მთელი სამყაროს ბედი უნდა შეეცვალათ.

ასე იწურებოდა ჟამი ძველისა აღთქმისა.

მარიამი ნაზარეთში დაბრუნდა. უკვე ხილული გახდა მისი მიდგომილობა. იოსებ დამწინდველმა კი ჯერ არაფერი იცოდა ამ უდიდესი საიდუმლოს შესახებ. ამიტომ შეშფოთებულია – იგი ხომ ასე ხარობდა იმით, რომ მოწიწებითა და კრძალვით იცავდა ამ უბიწო ყვავილს, და აი, უცებ, მარიამი ემზადება გახდეს დედა. რაღა თქმა უნდა, ხვდებოდა მარიამი, რაც ხდებოდა მისი დამწინდველის სულში. მაგრამ

# უწოდებ სახელად იესოს

რა ექნა? ნუთუ მისთვის უნდა გაენდო ის საიდუმლო, რომელიც მარიამსა და ღმერთს შორის არსებობდა? ეს საიდუმლო იმდენად დიდი და ზებუნებრივი იყო, რომ შეუძლებლად მიაჩნდა მისი გამხელა ღვთის ნების გარეშე.

ამიტომაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა არჩია ის, რასაც შემდგომში ყოველთვის აკეთებდა თავისი გამოუთქმელი მწუხარებითა და ნაღველით სავსე ცხოვრების მანძილზე: დაეთმინა და ეტანჯა უხმოდ. არავითარი თავისმართლება, არავითარი გოდება, ყვედრება. უბრალოდ აღელვებული სიტყვაც კი არასოდეს დასცდენიათ მის უწმიდეს ბაგეებს.

იგი ხომ მაშინაც დუმდა, როცა დეკემბრის ცივ ღამეს არ შეეძლო თავისი ახალშობილი ძე სადმე თბილ სახლში შეეყვანა და შეეფარებინა.

იგი დუმდა, როცა ჰეროდე მოკვლას უპირებდა ჩვილ იესოს და შვილზე შიშით შეპყრობილი იოსებთან ერთად ეგვიპტეში გარბოდა...

იგი დუმდა, როცა სიღატაკეში იზრდებოდა მისი შვილი და მოხუცებული დურგლისა და მისი დაუღალავად მოსაქმე ხელებით გულმოდგინე შრომა არ იყო საკმარისი, რათა ნორჩი იესოს ღირსეული საზრდო ეშოვათ...

იგი დუმდა, როცა მისი იესო იდგა ნაგვემი, ეკლიანი გვირგვინით თავზე; სისხლი შეხმობოდა მის სხეულს. ეს ხომ მისი შვილის სხეული იყო, მისი იესოსი, ბავშვობაში უდიდესი სიყვარულით რომ ეკონებოდა დედის მკერდს.

იგი დუმდა მაშინაც, აღელვებული ბრბო უაზროდ რომ გაჰყვიროდა, ჯუარს აცვათო ეგე, ჯუარს აცვათო იესო, მარიამის იესო.

იგი დუმდა, როცა მის ყურებს ესმოდათ, თუ როგორ [illegible]ლავდნენ ლურსმნებით მისი ღვთაებრივი შვილის სხეულს.

დუმდა, როცა ჯვარცმული იესო იტანჯებოდა და ამ ტანჯვაში იყო თავმოყრილი ყველა დროის – როგორც წარსული, ისე აწმყო და მომავალი დროების – ყველა ადამიანის ტანჯვა და ღვთისმშობელიც ფიზიკურად გრძნობდა, თუ როგორ სერავდა მის სულს მჭრელი იარაღი, როგორ გმირავდა მის მკერდს განუზომელი ტანჯვა ორლესული მახვილივით.

უყურებდა, ითმენდა და არარას ამბობდა...

დუმდა ახლაც. დღე კი დღეს მისდევდა.

იოსებმა განიზრახა ფარულად გაეშვა მარიამი. ეს რომ დააპირა, ანგელოსი უფლისა ეჩვენა სიზმრად, რომელმაც გაუმხილა ხარების საიდუმლო.

როგორ გაიხარა იოსებმა. ამიერიდან ივი უფრო მეტად, უფრო ერთგულად და დაუცხრომლად ემსახურება ქალწულს, ემსახურება მის ღვთაებრივ შვილსაც მომავალში. რა ბედნიერებაა! როგორ თქვა ანგელოსმა?! „და შობს ძეს და უწოდებ სახელად იესოს, რადგან ის იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან...“

მოახლოებულიყო ჟამი ქრისტეშობისა, დასაწყისი კაცობრიობის ახალი, ქრისტიანული ერისა...

**ვახტანგ ახალაძე**

ჩვენი სტუმარი

# ქალბატონი ალექსანდრა გაბრიელი – ჰოლანდიელი ქართველი



*ალექსანდრა გაბრიელი ჰოლანდიის ქალაქ ამსტერდამში ცხოვრობს. იგი მესამედ ჩამოვიდა საქართველოში. თან ჩამოიტანა ჟურნალი „გეორგიკა“-ს (GEORGICA) №4, რომლის გამომცემელი და რედაქტორია.*

*ალექსანდრა ჩვენს რედაქციას ეწვია და არაერთ შეკითხვას უპასუხა. აბა, როგორ არ უნდა გვქონოდა შეკითხვები ქალბატონისადმი, რომლის მამა ქართველი ყოფილა და, რომელიც საქართველოს მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. მიიჩნევს და გასაოცრად უყვარს მისი მთა-ბარი, ადამიანები, აინტერესებს ქართული კულტურა, მეცნიერება, ლიტერატურა, ყოფა თუ ტრადიციები.*

*ამ ინტერესის დასტურია მისი ჟურნალი „გეორგიკა“, რომელიც მთელ ევროპაში ვრცელდება ქართველოლოგებს შორის.*

ალექსანდრას დედა, ანა მარია 1917 წელს საფრანგეთში დაბადებულა და მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში ცხოვრობდა. სწორედ აქ შეხვედრია ტყვედჩავარდნილ მაღალ, ლამაზ ახალგაზრდა ქართველს გაბრიელს. მომავალი შვილისთვის, თურმე, მეგობრის ალექსანდრეს სახელი ჰქონდა შერჩეული, მაგრამ მის დაბადებამდე დაიკარგა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, გერმანელებმა იგი 1945 წელს დახვრიტეს. ანა მარია მშობლიურ ჰოლანდიაში გადავიდა და სამი თვის შემდეგ ალექსანდრა შეეძინა. გოგონას დედა და დეიდები ზრდიდნენ.

გავიდა წლები.

ალექსანდრა მამის სიყვარულით შეძლებისდაგვარად ეცნობოდა საქართველოს და იმ გადაწყვეტილებამდე მივიდა, რომ ჰოლანდიელებისათვის გაეცნო მამის სამშობლო. ამ მიზნით დააარსა ჰოლანდიაში ალექსანდრე ბაგრატიონის (არჩილ მეორის ვაჟის) ფონდი და 1996 წელს საკუთარი ხარჯით გამოსცა ჟურნალ „გეორგიკის“ პირველი ნომერი. მომდევნო წელს თბილისში ჩამოსულს ტექსელის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილის ქალიშვილმა გულიკო არტემიძემ უმასპინძლა. მათ ბევრი აღმოაჩნდათ საერთო.

1998 წელს საქართველოში მეორედ ჩამოსული ალექსანდრა შეხვდა ქართველ მხატვრებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, დაათვალიერა მუზეუმები, დაესწრო მცხეთობას, თბილისობას. და აი, მის ჟურნალში დაისტამბა ფიროსმანის „თამადა“, თამარ მეფის ფრესკა ბეთანიიდან, რუსუდან ქიაბრიშვილის ნახატი – მცხეთა, ქართველი მხატვრების ალექსანდრე ბანძელაძის, მაია ჩიჯავაძის, ირაკლი ფარჯიანის, კერამიკოს მალხაზ შველიძის ნამუშევრები.

ალექსანდრას ჟურნალის ფურცლებზე ჰოლანდიურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული აქვს წერილები ქართულ ლიტერატურაზე, ისტორიაზე, მუსიკაზე, არქიტექტურაზე, ეთნოგრაფიაზე.

2000 წელს იუნესკოს ეგიდით მთელს მსოფლიოში „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 800 წლისთავი აღინიშნება და ალექსანდრას განზრახული აქვს ამ მოვლენას ჟურნალის სპეციალური ნომერი მიუძღვნას, ჟურნალში ქართველი ავტორების წერილები დაბეჭდოს.

წლეულსაც დადიოდა თბილისის ქუჩებში სტუმრად ჩამოსული ალექსანდრა გაბრიელი. აკვირდებოდა ყველაფერს, უნდოდა შეეტყო, როგორ იცვალა სახე ქალაქმა ამ ბოლო დროს. ბევრი რამ მოსწონდა, ზოგი – არა და არც მალავდა ამას.

კიდევ გამოვა ამსტერდამში „გეორგიკა“, კიდევ ჩამოვა და ჩამოგვიტანს ახალ ნომერს ალექსანდრა. გამომიგზავნეთ წერილები ჰოლანდიაში, აი, ჩემი სავიზიტო ბარათიო, – გვითხრა გამომშვიდობებისას და ყოველ ჩვენგანს სიყვარულით გადაგვეხვია.

იყო რაღაც ქართული ამ გულისაჩუყებაში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლოდ ცხელი პური გვექნებოდა

1942 წლის დეკემბერი იწურებოდა. სამამულო ომის პირქუში დღეები ზლაზვნით მიდიოდა. მოდიოდა მშიერი ახალი წელი. მამამ შინ მეუღლე და ოთხი შვილი დაგვტოვა. დედა არ მუშაობდა, ძალიან გვიჭირდა. ყველაფერს ვყიდდით, უფრო მეტად კი სურსათზე ვცვლიდით.

ახალი წელი ახლოვდებოდა, შინ არაფერი გაგვაჩნდა. დედა ლოგინად იყო ჩავარდნილი. მშველელი არ ჩანდა. არადა, დედა სოფელში მოლაპარაკებული იყო, რომ 10 ლიტრ ნავთს პურის ფქვილში გადაუცვლიდნენ. მე მაშინ თოთხმეტი წლისა ვიყავი, დედას შევთავაზე მის მაგივრად სოფელში წასვლა. ძლივს დავითანხმე. თბილისის ვაგზალში ურბნისამდე ბილეთი ვიყიდე და მატარებელს ძებნა დავუწყე. ვიღაცამ მიჩვენა გორისკენ მიმავალი მატარებელი და მეც ჩავჯექი.

მატარებელი კივილ-წივილით მიჰქროდა თოვლიან გზაზე. უფლისციხეს რომ გავშორდით, ისეთი ბარდნა დაიწყო, გზაზე აღარაფერი ჩანდა. გორში თითქმის მთელი მატარებელი დაიცალა. ერთი მე ვიჯექი, მაგრამ მალე ახალი მგზავრებით გაივსო ვაგონი. ჩემს გვერდით მოხუცი ქალი დაჯდა. ურბნისამდე რამდენ ხანში ჩავალ-მეთქი – შევეკითხე. მოხუცმა გაოცებით შემომხედა და მითხრა: – რას ამბობ, შვილო, ეს ხომ ცხინვალის მატარებელია, ახლავე ჩადი, თორემ სადაცაა დავიძრებითო. მე უმალ წამოვხტი, ვიღაც ახალგაზრდამ ნავთის ჭურჭელი ჩამატანინა და მატარებელიც დაიძრა ცხინვალისკენ. პერონზე თითქმის მარტო დავრჩი. გავიკითხ-გამოვიკითხე და მითხრეს, საღამომდე აღარაფერი იქნებაო. რა მექნა არ ვიცოდი. დავაზუსტე ურბნისისაკენ მიმავალი ლიანდაგის ხაზი და გზას გავუყევი. ურბნისამდე ერთი სადგური – სკრა უნდა გამევლო. მივუყვები შუა ლიანდაგს. საშინლად ბარდნის. წამდაუწუმ ვისვენებ, ხელები მეყინება, ხელთათმანები არ მშველის. არ ვიცი, რა მანძილი მქონდა გავლილი, რომ უცებ ჩემს უკან ხმაური გავიგონე. მივიხედე და რას ვხედავ? დაახლოებით ერთი-ორი მეტრის სიშორეზე ჩემგან ელმავალი დგას. ძალზე შევშინდი. ავტირდი. ელმავლიდან ჭაღარა მამაკაცი ჩამოვიდა, მომიახლოვდა და მკითხა: „შვილო, ვერ ხედავ, რა ამინდია, ქვეყანა იქცევა. შუა ლიანდაგზე რომ დამდგარხარ, ასე მარტოდმარტო, სად მიდიხარ?“ მე ზლუქუნ-ზლუქუნით ავუხსენი ჩემი მოგზაურობის მიზეზი. კაცმა დამიყვავა და ბარგიანად ელმავალზე ამიყვანა. იქაც ერთი ხანშიშესული კაცი მაგიდის მსგავს დაფასთან იჯდა. დაფაზე შავი პური, ხელადით წყალი, ცოტაოდენი ყველი და კომბოსტოს მწნილი ედოთ. მიმიპატიჟეს, მოშიებული იქნებიო. ძლივს გადავყლაპე ორიოდე ლუკმა. ურბნისს უცებ მივუახლოვდით. ეს ბაქანი იყო და იქ მხოლოდ სამგზავრო მატარებლები ჩერდებოდნენ. კაცმა, რომელმაც ელმავალზე ამიყვანა, ნახევარი „ბუხანკა“ პური და ყველი გამომატანა. კეთილმა ძიამ ბაქანზე ჩამიყვანა და ამხანაგს ასძახა, ბორნამდე მივაცილებო...

ჩვენს სოფელსა და ბაქანს შორის მდინარე მტკვარი ჩამოდიოდა და მეორე მხარეზე გასასვლელად ბორანი მუშაობდა. მებორნე, რომელსაც ტუხას ეძახდნენ, ადგილზე არ იყო, ვინაიდან საღამომდე მატარებლის მგზავრები არ იქნებოდნენ. სოფელი მტკვრიდან მაღლა მდებარეობს. სოფლელები მდინარეზე გადმოსახედს „გვერდას“ ეძახიან. ჰოდა, მოხდა სასწაული – უამრავი ხალხი გამოეფინა „გვერდაზე“. უკვირდათ, რა მოხდა, რაზედ გაჩერდა „ტავარნიო“ (ასე ეძახდნენ სოფლელები სატვირთო მატარებელს). ჩემმა მეგზურმა ხალხს გასძახა – „ტუხას დაუძახეთო“. მართლაც, ძალიან მალე მოვიდა ძია ტუხა. კაცები ერთმანეთს გამოელაპარაკნენ. ჩემი თავი ჩააბარა ძია ტუხას და უთხრა: ძალიანა გთხოვ, ამ ბავშვს ეს ტვირთიც სახლამდე მიუტანეო. ისიც, რა თქმა უნდა, შეჰპირდა და ასეც მოიქცა. ძია ბესომ წასვლისას თავზე მაკოცა, პალტოს ჯიბეში ცოტაოდენი ფულიც ჩამიდო და გამაფრთხილა, ასე აღარ მოიქცე, შვილო, შეიძლება მატარებელმა გაგიტანოს ან გზაზე ნადირი შემოგხვდესო. ვიდრე ბორნით მეორე ნაპირზე არ გადავედით, იქ იდგა.

იმ დღის შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა. რა თქმა უნდა, ის მემანქანეები ცოცხლები აღარ იქნებიან, მე კი, ჩემი ბავშვური დაუდევრობის გამო, მათთვის გვარი არ მიკითხავს. ისე კი, მათ ადამიანურ, მამაშვილურ დამოკიდებულებას რა დამავიწყებს...

მარტო ის რად ღირს – იმ საახალწლოდ ოთხ ბავშვს და უმწეო ქალს ცხელი პური გვექნებოდა.

იყვნენ მაშინ ადამიანები, რომლებიც მიუხედავად გაჭირვებისა, გული სიკეთით და სითბოთი ჰქონდათ სავსე და თავად არაფრის მქონენი, ლუკმას სხვას უნაწილებდნენ. ადამიანობა იყო მათთვის უპირველესი, გულის სითბო და კეთილშობილება, რომელიც... ესოდენ გვაკლია დღეს.

**ნაზი ელიაშვილი**



# რესპუბლიკის ქალთა საბჭოში



საქართველოს ქალთა საბჭოს უმთავრესი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობით პროცესში ქალის როლისა და აქტიურობის ამაღლებას. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ გარდამავალი პერიოდის იმ რთული პრობლემების გაცნობიერებას, რომლებსაც ვხვდებით სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში.

ამ ამოცანას ემსახურებოდა სემინარი, რომლის ჩატარება შესაძლებელი გახდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით, და რომლის თემა იყო „ქალთა სოციალური და სამართლებრივი მდგომარეობა გარდამავალ პერიოდში, არსებული პრობლემების გადაჭრის გზები“.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქალაქებისა და რაიონების, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ქალთა საბჭოების ხელმძღვანელებმა.

სემინარზე მოისმინეს და განიხილეს მიმდინარე ეკონომიური რეფორმების და საბაზრო ეკონომიკურ პირობებთან ქალთა ადაპტირების, დასაქმებისა და შრომითი ურთიერთობის საკითხები, ქალთა ბიზნესის განვითარების, ქალის სოციალური უფლებების დაცვის, ქალთა როლისა და აქტივობის ამაღლების ამოცანები. მოხსენებები წარმოადგინეს ქ-ნებმა ლია ლომიძემ, ლიზა ზაზაძემ, ნათია თურნავამ, ვერონიკა მეტონიძემ, როზა კუხალაშვილმა.

შეკრებილთ სიტყვებით მიმართეს აკად. ნინო ჯავახიშვილმა და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორმა ნარგიზა მგელაძემ.

მოხსენებების განხილვისა და დისკუსიების პროცესში გამოიკვეთა ამ სფეროებში დღეისათვის ყველაზე მწვავე, აქტუალური პრობლემები, მათი გადაჭრის გზები და ამოცანები. შემუშავდა ქმედითი რეკომენდაციები ქალთა ორგანიზაციების გააქტიურებისათვის, მათი როლის ამაღლებისათვის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით ქალთა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

სემინარი შეაჯამა ქალთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ქ-ნმა ზინაიდა კვაჭაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჟამი აღიარებისა...

„მინდვრის ყვავილები დღენიადაგ ებრძვიან წვიმას, ქარიშხალს და მაინც თავიანთი უბრალოებით ყველა ყვავილზე ლამაზები არიან“, – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა მწერალმა გუგული ტოგონიძემ, ერთ მეტად თბილ და დასამახსოვრებელ შეხვედრაზე. იგი მწერლისა და პუბლიცისტის ციალა არდაშელიას წიგნის „ჟამი მოვალს!“ განხილვას მიეძღვნა. მინდვრის ყვავილს ტყუილად როდი შეადარა ციალა არდაშელია მწერალმა. ეს გარეგნულად მშვენიერი ქალბატონი ბუნებით მებრძოლი, შემტევი შემოქმედია, რომლის სახელი პირველად სამოციან წლებში ჟურნალ „ცისკარსა“ და „საქართველოს ქალის“ ფურცლებზე გამოჩნდა. მისმა ნაწარმოებებმა იმთავითვე მიიქციეს ყურადღება თემატიკის აქტუალობით, მსჯელობათა, მათ შორის საბჭოურ დროში „ტაბუდადებულ“ საკითხთა გაბედულად წამოჭრით. შემდეგ მან თავისი საქმიანობაცა და შემოქმედებაც მჭიდროდ დაუკავშირა ეროვნულ მოძრაობას და ეს სპონტანურად როდი მოხდა. ეს იყო და რჩება მწერალი ქალის მრწამსად, იგი ერთგულია თავისი იდეალებისა, რომელთა მთავარი აზრი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „ყოველივე გარდამავალია, მარადიულია მხოლოდ სამშობლო, საქართველო და მისი ინტერესები ყოველმა ქართველმა პირადულზე მაღლა უნდა დააყენოს“.

როცა „ჟამი მოვალს!“ წავიკითხე, ქალბატონი ციალა ისე ამაღლდა ჩემს თვალში, როგორც მისი შესანიშნავად გამოძერწილი გმირები, რომელთათვის უპირველესი სამშობლოა.

წიგნი „მერანმა“ გამოსცა ორასამდე ტირაჟით. ციალა არდაშელია – „დისიდენტად“ მიჩნეული მწერალი დამთრგუნავ ცენზურასთან „ნევიეზდნაია“, რა თქმა უნდა, ნაკლებად იბეჭდებოდა... წიგნში გარდა რომანისა „ჟამი მოვალს!“ შევიდა მოთხრობები: „ქვაკაცი“, „დიდოუ ნანა“, „მეც წამიყვანე, მანჩა!“

„ჟამი მოვალს!“ ბრწყინვალე ალეგორიაა, რომელშიც ქართველი კაცის გენიით შექმნილი ლეგენდებისა და თქმულებების ფონზე მოქმედებენ რეალური პიროვნებები, ისინი ჩვენი თანამედროვენი არიან, განიცდიან, ბჭობენ სამშობლოს ბედზე, ეძებენ ერის გამთლიანების გზებს, გმობენ შუღლსა და მტრობას, ძმათაკვლას, რომლებიც დამღუპველია ერისათვის.

წიგნის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მოვიდნენ ჭაბუა ამირეჯიბი, ქართული ლიტერატურის სხვა აღიარებული წარმომადგენლები: საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი დავით მჭედლური, აკაკი გასვიანი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვასილ გვეტაძე, ჯუმბერ კოპალიანი, გურამ ბედოშვილი, ნინო ქუთათელაძე, მანანა სტვილია, ნათელა ბერიკაშვილი, თაკო ჩარკვიანი, ეკა ჩილაჩავა და სხვები. რადიოს დიქტორებმა თინათინ ელბაქიძემ და ნათელა ბერიკაშვილმა წაიკითხა ნაწყვეტები ციალა არდაშელიას ნაწარმოებებიდან.

წაიკითხეთ ციალა არდაშელიას შესანიშნავი მიგნებებით, დიალოგებით სავსე ნაწარმოებები, და თქვენ აღმოაჩენთ მწერალს, რომლის მართალი სიტყვა ღრმად ჩაგრჩებათ გულსა და გონებაში.

**ლამარა გაგუა**




# მკურნალობა ბიოენერგიით. XXI საუკუნის თერაპია. მაგული გორდელაძე

ქართველმა მკითხველმა კარგად იცის მაგული გორდელაძის სახელი, რადგან მას შემდეგ, რაც გაზეთ „თბილისში“ 1989 წლის 21 მარტს გამოქვეყნდა ჩემი წერილი ბიოენერგიით მკურნალი ქალბატონის საოცარი შედეგების შესახებ, რაც მაშინ დიდი იშვიათობა იყო, მრავალი გაზეთი და ჟურნალი დაინტერესდ ამ ფენომენით.

შემდეგ ქ-ნმა მაგულიმ ბავშვთა საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა და შედეგებმა არ დააყოვნა. მის კართან არ წყდებოდა ავადმყოფების რიგი. მაგულის მკურნალობის მეთოდებითა და შედეგებით სწავლული მედიკოსებიც დაინტერესდნენ.

რამდენიმე წლის წინ გამოვიდა წიგნი, რომელშიც თავმოყრილი იყო ყველაფერი მაგული გორდელაძის მუშაობის შედეგების შესახებ.

მალე მკურნალი გერმანიაში მიიწვიეს სამუშაოდ.

როცა გერმანელები გაეცნენ მისი მკურნალობის მეთოდებსა და შედეგებს, ყოველგვარი პირობები შეუქმნეს კლინიკაში სამუშაოდ და ქართველი ქალბატონი მალე იქაც პოპულარული პიროვნება გახდა.

ახლახან მივიღეთ გერმანიაში, გერმანულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი „მკურნალობა ბიოენერგიით. 21-ე საუკუნის თერაპია. მაგული გორდელაძე“.

წიგნში შესულია ქართულ და რუსულ მასმედიაში დაბეჭდილი ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაციის თარგმანი მაგულის შესახებ და გერმანელი სპეციალისტების მოსაზრებანი ქართველი მკურნალის გერმანიაში მუშაობის 2 წლის პერიოდზე. აქვე მოცემულია მაგულის მიერ დამუხტული წყლის ანალიზი, რომელიც გაკეთდა ჰორბის ბიოფიზიკის ინსტიტუტში. ცნობილი მეცნიერი ლუდვიგ ვოლფგანგი აღნიშნავს, რომ ამ დამუხტულ წყალს დიდი სასიცოცხლო ძალა აქვს და ახსნილია ადამიანის ორგანიზმზე მისი მოქმედების მექანიზმი.

ქ-ნ მაგულის გერმანიაში ტელეფონით დავუკავშირდით. მან თქვა: – გული მწყდება, როცა ქართულ პრესაში წერენ ქართველი ქალები უცხოეთში მრეცხავებად და მოსამსახურეებად მიდიანო. მართალია, არც უამისობაა, მაგრამ ყველა ხომ ამ მიზნით არ არის წასული.

მე აქ გინეკოლოგიურ კლინიკაში ვმუშაობ, სადაც ფუნქციონირებს ნატურალური თერაპიის განყოფილება. უამრავი პაციენტი მყავს განკურნებული, ჩემი მუშაობა ჩემივე განკურნებული პაციენტების ცოლ-ქმარი ნიგერმანების მიერ გამოცემულ წიგნში აისახა. მქონდა საჯარო ლექცია ბიოენერგიით მკურნალობაზე, რის შესახებაც წერდა ადგილობრივი პრესა. დაგეგმილია ჩემი მეორე ლექციაც. თქვენ იცით, რომ გერმანელები ტყუილად არ გაისარჯებიან, რომ არ ხედავდნენ ჩემეული მკურნალობის ეფექტს და არ აფასებდნენ მას.

ასე რომ, ვფიქრობ გერმანიაში სასარგებლო საქმეს ვაკეთებ. ვიფართოვებ ცოდნას და გამოცდილებას და დარწმუნებული ვარ, ეს ჩემს სამშობლოს გამოადგება.

ძალიან მინდა იცოდეთ, რომ არჩევნებში ჩემ ხმას მოქალაქეთა კავშირს ვაძლევ, რადგან ღრმად მწამს, სადაც ჩვენი პრეზიდენტია, რომელსაც აქ გერმანიაში უაღრესად დიდ პატივს სცემენ, გამარჯვებაც იქ იქნება. შორიდან ეს ჭეშმარიტება უფრო მკვეთრად ჩანს (ეს საუბარი არჩევნების წინ შედგა ნ.მ.).

**ნარგიზა მგელაძე**

# არმაზი – ლევან გოთუას

მწერალი ლევან გოთუა გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ სულ იმას გაიძახოდა – უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ლიტერატურული მუშაობა უმძიმეს პირობებში მომიხდა. ჩამწყვდეული ვიყავი ღრმა მაღაროში, მაღალი ძაბვის ელექტრო მანქანების ხმაურსა და გრუხუნში.

ამჯერად ოცნებამ ფრთები გაშალა, თავში კინოკადრებივით ერთმანეთს ეჭიდებიან დიდი მხატვრული ტილოები. უნდა ვწერო და ვწერო, დარჩენილი ცხოვრების მონაკვეთში მოვასწრო ყველა ჩანაფიქრის დასრულება. ვერც თბილისში ჩავიკეტები. ჩემს სულსა და მუხლს ბუნების სილაღე, ხატოვნება და მყუდროება სწადია.



ლევან გოთუა სტუმრებთან არმაზში

ლევანმა აიკიდა თავისი ზურგჩანთა, აილო კალამი, ნერაყინი და გზას გაუდგა. „ადამიანი რომელიც კარგად არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არ არის ღირსი ამ მიწა-წყლისა". ასე სწამდა მას.

სააგარაკო კარმიდამოს საძებნად დიდხანს არ უვლია, მცხეთის რკინიგზის სადგურიდან 3 კილომეტრში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, პლატფორმა ნავთსადენის ირგვლივ პატარა დასახლება იპოვნა. ეს პატარა, მაგრამ დიდი წარსულის კარმიდამო არმაზის ხევში, მტკვრის და არმაზის ხევის შესართავთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზეა, არმაზი მოიცავს მარტაბის ხევს, საგრის ხევს, არმაზისა და ძეგვის ხევის ზოლს და ბარგიყარია მთას თავისი ლეგენდარული წარსულით.

1960 წელს ამ დასახლებაში ჩემი ძმის, მწერალ ლევან გოთუას ბანიანი სახლი აშენდა. სახლი ამოყვანილია არმაზის ხევის კლდოვან ბორცვზე ისე, რომ არმაზიდან ძეგვამდე ულამაზესი მტკვრის ხეობა თითქოსდა ხელის გულზეა. ზემო ბანიდან კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გემით მოგზაურობ.

სახლის მშენებლობაში გოთუების მთელი ოჯახი იღებდა მონაწილეობას, განსაკუთრებული დიდი წვლილი ჩვენს ძმას სანდრო გოთუას ეკუთვნის.

1960 წელს ამ პლატფორმას და დაბას ლევან გოთუამ ოფიციალურად შეუცვალა სახელწოდება და არმაზის სახელი დაუბრუნა. შემდეგ ის პატარა დასახლება გაძლიერდა, აშენდა აგარაკები, გამრავლდა არმაზის მოსახლეობა, აშენდა კორპუსები რადიო ქარხნის მუშებისათვის.

ლევანი მოხიბლა არა მარტო ამ ადგილმდებარეობის წარმტაცმა ბუნებამ, ტყეში ნადირობის, მტკვარში ცურვის და თევზაობის შესაძლებლობამ, არამედ ამ შემოგარენის ისტორიულმა წარსულმა: ბუნების საოცრებით, ხუროთმოძღვრული საუკუნოვანი ძეგლებით, არქეოლოგიური გათხრებით, რაც მწერლისათვის უდიდესი სულიერი საზრდო იყო.

არმაზი ქართლის მეფეთა დედაქალაქის მცხეთის ერთ-ერთი უბანია, ქართლის უზენაესი წარმართული ღვთაება.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, იქვე გზის პირას გათხრილია ერისთავების (პიტიახშების) მდიდარი სამარხები, აბანოები, ნაქალაქევის ნანგრევები.

არმაზის კულტი საქართველოში მას შემდეგ გავრცელდა, რაც პირველმა ქართლოსიანმა მეფე ფარნავაზმა იგი გამოაცხადა სამეფოს უზენაეს ღმერთად. მანვე მთის წვერზე, არმაზის თავსა ზედა აღმართა კერპი. წმინდა ნინოს წინაშე კერპი წარმოდგა ვითარცა დიდი ზომის სპილენძის კაცის ქანდაკება წელზე ოქროს ჯაჭვით. კერპის საოცრებას წარმოადგენდა ზურმუხტის დიდი მოელვარე თვალები. კერპი მთის ციცაბოზე ისე იდგა, რომ მზის პირველი სხივის ანარეკლი აბრწყინვალებდა დედაქალაქ მცხეთის ბანიან სახლებს. ეს კილოცვის დაწყების ნიშანი იყო. კერპი მეხმა დაამსხვრია, დროთა მსვლელობამ კი ძეგლი მთლიანად მოსპო.

ტყეში, უფრო ქვევით, შემორჩენილია არმაზის ციხის ნანგრევები, რომელიც თარიღდება XIII-XV საუკუნით. ეს ციხე ზვერავდა მცხეთაში მიმავალ გზას. ტყის შუაგულში, ფოთლოვანით შემოსილ ტაფობზე შემორჩენილია მირიან მეფის სასახლის ნანგრევები.

ლევანი ასევე ნადირობდა და ხეტიალობდა არმაზის ხევის მარცხენა გორაკზე, თავისი საყვარელი ადგილებიც ჰქონდა მის მიერვე დარქმეული სახელებით. მაგალითად – არმაზის ხევის დასაწყისში, რკინიგზის გადაღმა, ორი მაღალი კლდოვანი, ძეძვით შემოსილი უთავსახურო ქვაბულია, ეს კუების ადგილ-სამყოფელია. ლევანს იქედან თავის ეზოში ბევრჯერ წამოუყვანია კუ და საკვირველება ის იყო, რომ დაღდასმული კუ ისევ თავის სამყოფელში ბრუნდებოდა. უფრო ზევით, ღრმა ფოთლოვანში მოჩუხჩუხე წყაროების შემოგარენში პეპლების სამფლობელოა. საოცარი სილამაზის სხვადასხვა ზომის და ფერის პეპელთა გუნდები იქ ფუსფუსებენ. ამ სილამაზეს კაცი რომ დაინახავს – ამბობდა ლევანი, – სიამოვნებით დატკბება, უფრო რბილი და კეთილი ხდებაო. ამ ადგილებში ყოველთვის შეისვენებდა და პურს გატეხავდა. ამყოლი ბილიკის ზევით მთის ციცაბოზე დაშლილ ქანებში უამრავი დამსხვრეული და გამოფიტული ლოკოკინებია – ლოკოკინათა სასაფლაო. საიდან სადაო, ამ სიმაღლეზე, ამ მთა-ღრეში ხომ წარმოუდგენელია წარსულში ზღვის ან მდინარის არსებობა. უფრო ზევით კი კაკლიანში ძველი სოფლის ნანგრევებია. იქით მთის გადაღმა დიდგორის ჭალები და მთებია თავისი ისტორიული სიდიადითა და წარსულით.

ლევანს ნაკლებად როდი მოსწონდა მდინარე მტკვარი და მისი მარცხენა ნაპირი. ცურვის და თევზაობის მონატრებულმა მტკვარში რომ შეტოპა, ძალიან ეამა, პირდაპირ დატკბა – უჩვეულო სილაღე და ტანის მოქნილობა შევიგრძენიო, – იმეორებდა ის.

– მტკვრის ტალღას გულაღმა რომ წამოვაწექი ერთდროულად ცა და მდინარე გავჭვრიტე, ახალი სიცოცხლე და დაუშრეტელი ენერგია ვიგრძენი, მხარული გავკარი და ალმასწრაფვით გადავსერე ჩქეფი, გაღმა რიყეზე სწრაფად გავედი, სილაზე ჩემი ნაკვალევი ირმის ნაკვალევს ჰგავდა. ნამდვილად მტკვრის მარცხენა ნაპირის ძეძვით დაფარული მთაგორის ზევით შიო მღვიმის მონასტრის ტყეებში ნაკრძალი იყო და მყვირალობის თვეში სწორედ აქ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ჩამოდიოდნენ ირმები წყალში ჩასასველელად. მახსოვს ბევრჯერ დილა უთენია ომახიანი შეძახებით ლევანს ყველა გაუღვიძებივართ და ეს საოცრებანი უჩვენებია.

– იქვე სილაზე ჩავწექი, ბუმბულის საწოლი ვუწოდე მკერივ და საამო სილას, აქ ყველაფერი ულამაზესია და სასიყვარულო.



ამაღლევა მოჩუხჩუხე წყალში გაცრილმა ცოცხალმა სიტყვამ, რომელიც საამურად ჟღერდა, წყალში ნებიერს დამეუფლა აღტაცების გრძნობა, რომ ამ ქვეყანაზე ბევრ სიკეთესთან ერთად ადამიანის საოცნებოდ სამი სიკეთეა, ძირითადი: პირველი – ჯანმრთელი სიცოცხლე, მეორე – გახანგრძლივებული ახალგაზრდობა და მესამე – უღალატო ბუნების წიაღში ყოფნა.

სილამაზის დანახვა, მისი შეგრძნება და სწორად შეფასება უდიდესი ნიჭია, იგი, აკეთილშობილებს და უფრო გულკეთილს ხდის ადამიანს. ლევანის ჩანაწერებში ასევე არმაზის ხოტბას წავაწყდი:

ჰოი, არმაზო, წარმართულავ ძლიერთ ძლიერო,
უკვდავო ბრძენო, მრისხანევ სველმობიერო,
იდუმალთ გარდაცვალებავ ბუნებისა ათასწლიანო,
სავანო თვალსაწიერო, ათასი აღდგომისა
და მობრუნებისა.

არმაზი – ლევანმა შეიყვარა იქაური ყოველი კუნჭული, არმაზის ყოველ კუთხე-კუნჭულს საქართველოს ისტორიად და ქართლის ცხოვრებად თვლიდა. დრო უხმაუროდ მიედინება, მარტო ბობოქრობს ცხოვრება, – ამბობდა ის. ამ მყუდრო და ლამაზმა კარმიდამომ ჩემ ძმას ბევრი ლამაზი და საინტერესო რომანი, ნოველა თუ მოთხრობა დააწერინა. აქ არმაზში გაითხარა ლევან გოთუას საფლავიც.

ლევანის სიკვდილის შემდეგ ჩაკვდა მისი კარმიდამო, მისი სახლის ულამაზესმა ბანებმა წყალი გაატარეს, სახლი ჩაინგრა. მძიმე წლებმა არმაზს და განსაკუთრებით ლევანის სახლს ყოველმხრივ დაღი დაასო. სახლი არაკაცებმა ბევრჯერ დაარბიეს და წაიღეს ყველაფერი, რისი გატანაც კი შეიძლებოდა. ჩაამსხვრიეს კარები, ფანჯრები, ეზო გაპარტახდა, მრავალწლოვანი ხეები ზეზეულად გახმენ უწყლობის გამო. წყალი საერთოდ გადაიჭრა. ყველა ელექტრო კაბელი სპილენძის გამო მოპარულია.

1999 წელს ზაფხულში მდგომარეობა შეიცვალა. დიდი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე

## სავანე

თამაზ ნივნივაძე და პოეტი სილოვან ნარიმანიძე, რომლებმაც მწერალ გოთუას სახლის გადარჩენისათვის დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს.

მადლობა გვინდა გადავუხადოთ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს კობა ბუჩუკურს და განსაკუთრებით მცხეთის გამგებელს არმაზ შამანაურს, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს მწერალ ლევან გოთუას სახლის მდგომარეობა და შესძლეს სათანადო დახმარების გაწევა. გვინდა განსაკუთრებით ხაზი გაუსვათ არმაზ შამანაურის გულისხმიერებას და ზრუნვას, მის კაიკაცობას და ნამდვილ ვაჟკაცურ საქციელს.

პრაქტიკული დახმარებისა და მზრუნველობისათვის მადლობელი ვართ არქიტექტორ ირაკლი ხოსიტაშვილის და ინჟინერ გურამ მღებრიშვილის.

მწერალ ლევან გოთუას სახლთან გვერდზე აშენდა ოთარ კირვალიშვილის შესანიშნავი ვილა. ეს კეთილი მეზობლები ლევან გოთუას სახლ-კარს არ აკლებენ მზრუნველობას.

**თამარ გოთუა**



ლევან გოთუას საფლავი არმაზში. ავტორი ჯემალ თუშურაშვილი

საგანმანათლებლო

## „ვინდ შესულხარ სამოთხეში"...

ვაზისუბანი ყოველთვის ძლიერი სოფელი იყო და საბავშვო ბაღებშიც ყველაფერი უ[illegible] რამ როცა ქვეყანა დაინგრა, რესპუბლიკის [illegible] რებაზე გამარჯვებულ ვაზისუბნის [illegible] ბაღსაც გაუჭირდა. მაშინ ბაღის გამგეს ქალბატონ თამარ თამაზაშვილს ბავშვებისათვის ხშირად სახლიდან მოჰქონდა პროდუქტები. მისმა თანამშრომლებმა მითხრეს: რამდენიმე ზამთარი თამრიკო მასწავლებლის მოტანილი პურის ფქვილით, ღორის ხორცით, შაქრითა და ლობიოთი გამოცხვებული ჰატარები, ოჯახს აკლებდა და აქ მოჰქონდაო.

ბაგა-ბაღის ეზოში შესულს თვალწინ ყვავილების ზღაპრული ხალიჩა გადაგეშლება, შენობის მთელ სიგრძეზე დაშვებული მცენარეთა ულამაზესი „ფარდებით". ეს ყველაფერი თამრიკო მასწავლებლის ხელითაა შექმნილი, მისი მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. არც თანამშრომელთა თანადგომა აკლია, ყველა მხარში უდგას.

ახლახან ბაღმა დაარსებიდან 25 წლისთავი იზეიმა. ეს მთელი სოფლის ზეიმი იყო. საპატიო სტუმრებს შორის უმრავლესობა ბაღის აღზრდილები იყვნენ, რომლებსაც კარგად ახსოვდათ, რომ სწორედ ამ საიუბილეო დღეებში, მათი საყვარელი თამრიკო მასწავლებელი 65 წლის გახდა. – კახური სიალალით ულოცავდნენ დაბადების დღეს. შემთხვევით არაფერი ხდება, – საბავშვო ბაღი და ბაღის გამგე ერთად აღნიშნავდნენ იუბილეს და, ეს ყველას ძალზე ბუნებრივად ეჩვენებოდა.

პირველად საბავშვო ბაღი სამი წლის წინ ვნახე. გულდაწყვეტილი ქალბატონი თამარი ეზოს მათვალიერებინებდა და სიმწრით ეცინებოდა, – ახლა შემოდგომის აზნაურივით უნდა აგიხსნათ, რომ ეთნოგრაფიულ კუთხეში გვქონდა ტყის სახლი, აი აქ ჩამოდიოდა „მდინარე", ეს ხიდი „მდინარეზე" იყო გადებული, გვქონდა ნიჟარებისაგან გაკეთებული სამმეტრიანი ნიანგი, შადრევანი მარგალიტებად იფრქვეოდა, ყვავილნარი კი ცისარტყელას ფერების მიხედვით ყვაოდა. ეზოს კუთხეში გვქონდა ძველებური გლეხური სახლი, წნელით მოწნული მარნით, ჭით, პატარა თონით, სადაც პაწია შოთებს ვაცხობდით. მარანში გვქონდა ვარცლი, საწნახელი და მიწაში ჩაფლული ქვევრები. სახლში გვედგა ძველი ავეჯი, ძველებური ხის ტახტი – ფარდაგით, გვქონდა ბუხარი სპილენძის ქვაბებით, ნახშირის უთო და ლამპა. გვყავდა კრუხი წიწილებით, კურდღლები, ბაჭიები, ძაღლი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მელაც კი გვყავდა. აქაურობას ზღაპრის გმირები ამშვენებდნენ, ვის აღარ ნახავდით: წითელქუდას, კონკიას, კომბლეს, პინოქიოს... ღერეფანში ეკიდა: წიწაკის ასხმულა, ზაფრანის კონა, ხახვის და ნივრის გალები: აქვე ვაკეთებდით თათარას და კუნტალებს (პატარა ჩურჩხელებს) ვავლებდით. ეზოში გვქონდა ყურძნის ხეივანი, რომელსაც ბავშვების დახმარებით ვკრეფდით. – ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულით ცლიდნენ პაწია კალათებს პაწია გოდრებში... ეჰ, ყველაფერი გვქონდა, გვქონდა, მაგრამ ახლა აღარ გვაქვს. – დროის უკულმართობით გათავხედებულმა მოთარეშეებმა მოგვპარეს და დაგვინგრიეს. ჩვენ კი, ღვთის წყალობით და საკრებულოს თავმჯდომარის დახმარებით, ყველაფერს აღვადგენთ. – „მდინარეშიც" გავუშვებთ წყალს, შადრევანსაც ავამუშავებთ, ნიჟარებისაგან „ნიანგსაც" გავაკეთებთ და მელაკუდასაც მოვაცუნცულებთ...

XXX

საიუბილეო დღეებში სიტყვა საქმედ აქციეს საბავშვო ბაღის თანამშრომლებმა – ყველამ ერთად მოიწადინა და იქაურობას ძველებური სახე დაუბრუნეს.

...ახლაც, ვინდ შესულხარ ვაზისუბნის №1 ბაგა-ბაღში, ვინდა სამოთხეში.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედა, მე ის ძალიან მიყვარს

## ესეც შენი ხავერდის ბაჭია...

სარეცხს გასარეცხად რომ აგროვებდა, რომელიღაც ჯიბიდან ამოვარდნილ ქაღალდზე ვერამ წაიკითხა: „ლენა, მგონი გადამიცდა. არ მესმის, ეს როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, ჩვენ ხომ ყველაფერს ისე ვაკეთებდით, როგორც შენ მასწავლე“. მისი ქალიშვილის ხელწერა იცნო. ფურცლის მეორე მხარეს პასუხი მიეწერათ: „ნუ პანიკობ, თუ რაღაცა იქნა, გალია დეიდასთან წაგიყვან, ის საერთო ნარკოზით აკეთებს...“

ვერას თვალთ დაუბნელდა. ეს ხომ მისი ქალიშვილია, რომელსაც სულ ახლახან დაბადების მეცამეტე წლისთავზე ხავერდის უზარმაზარი ბაჭია აჩუქა.

დედის თავში ყველაფერი აირია.

მართალია, წაკითხული ჰქონდა, რომ სკოლების უფროსკლასელ გოგონათა შორის ქალწულის პოვნა ისეთივე პრობლემა იყო, როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის ასპირანტ ქალთა შორის გმირი დედისა. მაგრამ სტატისტიკის ციფრები მას სადღაც აბსტრაქტულად არსებული ეგონა, რომელთაც არ შეიძლებოდა მის სვეტლანასთან კავშირი ჰქონოდა. თუმცა ვერამ იცოდა უფროსკლასელის მაქსიმის – „სუპერკლასის ბიჭის“ არსებობის შესახებ, რომელიც აგერ უკვე სამი თვის მანძილზე სვეტას სატელეფონო საუბრების მთავარი გმირი იყო, მაგრამ თუ აქამდე მივიდოდა საქმე, ამას ნამდვილად ვერ წარმოიდგენდა.

იმავე საღამოს, როცა სვეტა „ლენას სახლიდან“ დაბრუნდა, დედამ, რომ იტყვიან კედელთან მიაყენა, პირდაპირ მიახალა:

„აბა, რა გითხრა დეიდა გალიამ?“

## ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი

სვეტა თავიდან ცდილობდა ისეთი სახის მიღებას, ვითომც არ ესმოდა, რას ეკითხებოდა დედა, მაგრამ მალე გამოტყდა: – ყველაფერი რიგზეა დედა. განგაში ტყუილი აღმოჩნდა, ფეხმძიმედ არა ვარ.

– როგორ თუ რიგზე, – აღშფოთდა ქალი, – ამას ეძახი შენ რიგზე ყოფნას?

– ჩვენ ხომ გვიყვარს ერთმანეთი, – სრულიად სერიოზულად მიუგო გოგონამ – თუ რაღაც მოხდა, ჩვენ აუცილებლად დავქორწინდებით.

## აკრძალვა საქმეს ვერ უშველის

ამ საუბრის შემდეგ ვერა თავის სკოლის მეგობართან, ბავშვთა ფსიქოლოგთან წავიდა ერთადერთი შეკითხვით – როგორ მოვიქცე?

ფსიქოლოგმა პრინციპული მნიშვნელობა მისცა სვეტლანას აღიარებას.

„რა გაწუხებს ასე ძალიან? – თქვა მან, – შენი გოგო რომ სხვადასხვა კამპანიებში დადიოდეს, შემთხვევით ხალხთან ჰქონდეს სქესობრივი კონტაქტები, აი, მაშინ ნამდვილად უნდა აგეტეხა განგაში. ნუთუ ასე ძალიან ცუდია, რომ მას ინტიმური კავშირი აქვს ახალგაზრდასთან, რომელიც უყვარს (თუნდაც უმწიფარი, მაგრამ მგზნებარე სიყვარულით).

– შენ რა გიჭირს, საქმე შენს ქალიშვილს არ ეხება, როგორ იქნება მისი სწავლის საქმე, ინსტიტუტი, ანდა მართლაც რომ დაორსულდეს რა უნდა ვქნა?

– შენ უნდა ასწავლო, როგორ დაიცვას თავი, – აუღელვებლად მიუგო ექიმმა.

– როგორ, მე თვითონ?

– დიახ, სწორედაც შენ, თუ გსურს, შენი ქალიშვილი ჯანმრთელი და ბედნიერი იყოს, უნდა შეეგუო აზრს, რომ ის უკვე ქალია.

– მე ხომ შემიძლია საერთოდ ავუკრძალო მაქსიმთან შეხვედრა.

– როგორც გინდა, მაგრამ გახსოვდეს, აკრძალვით ვერაფერს მიაღწევ.

– ნუთუ ასეთი ცუდი დედა ვიყავი? – ცრემლი მოერია ქალს.

– არც იფიქრო თავის დადანაშაულება. გიხაროდეს, რომ შენი შვილი ასე სერიოზულად უცქერის თავის პირველ გრძნობას.

## მათ არ უნდათ მოცდა

სამედიცინო თვალსაზრისით სქესობრივი ცხოვრების დაწყებისათვის ოპტიმალურ ასაკად 17 წელია მიჩნეული. ამ დროისათვის ორგანიზმის განვითარებაც დასრულებულია და ძირითადად პიროვნების ფორმირებაც. მაგრამ როგორც ყველგან, აქაც არის გამონაკლისი. გარდა ამისა, დღეს კონტრაცეპცია იმდენად არის განვითარებული, რომ მოსალოდნელი შედეგების შიში ქრება და ახალგაზრდებს არ უნდათ გაიგონ, რატომ უნდა იცადონ ამდენი და უარი თქვან სიამოვნებაზე.

## კომენტარი თემაზე

ქვეშეცნეულად ყველა ჩვენგანს სურს, რომ მისი შვილი სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები არაფერში იყოს. მაგრამ ისეთ რთულ და მნიშვნელოვან საქმეში, როგორიცაა სიყვარული, ერთნაირი გზები, ერთნაირი ბედი არ არსებობს, რჩევის მიცემა აქ ძნელია. თუ თქვენს ქალიშვილს ან ვაჟს გაუჩნდა პირველი ძლიერი გრძნობა, აკრძალვით მისი მოქცევა რაიმე შაბლონში წარმატებას არ მოგიტანთ.

პირველი სიყვარული შესაძლოა ხანგრძლივი და მარადიული არ აღმოჩნდეს, მაგრამ ის ადამიანის ცხოვრების ნაწილია, რომლის წართმევის უფლება არა გაქვთ.

ჟურნალი „ლიზა“, 1999 წ.

*„საქართველოს ქალის“ მინაწერი:*

*აი, ასეთ კომენტარს უკეთებს რუსული ჟურნალის „ლიზას“ რედაქცია თავის ამ პუბლიკაციას. იგი შეგნებულად გამოგვაქვს თქვენს სამსჯავროზე. ფაქტია, პრობლემა არსებობს. როგორ გესახებათ მისი გადაწყვეტა, პატივცემულო მშობლებო.*

*ნუ ვიტყვით, რომ ჩვენთან მსგავსი არაფერი ხდება. სტატისტიკა გვეუბნება, რომ თბილისში საგრძნობლად იმატა არასრულწლოვან ორსულთა რიცხვმა.*

*მოგვწერეთ თქვენი მოსაზრება ამ თემაზე.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მშობელი მასწავლებელს სათამაშოსავით ექცევა“

ყურადღებით წავიკითხე ჟურნალ „საქართველოს ქალში“ (№7-8.99 წ.) დაბეჭდილი მარინე ნაკაიძის წერილი „უწვრთნელი შვილის ყოლასა“, რომელმაც სერიოზულად დამაფიქრა.

წერილში შენიშნულია თითქმის ყველა ის ხინჯი, რომელიც დღევანდელი სკოლის ცხოვრებას ახასიათებს. ავტორი კარგად მიგნებული მაგალითებით ასურათებს სკოლებში შექმნილ სიტუაციას და ქვეტექსტებით, ნებსით თუ უნებლიეთ, ყველა ცოდვის მიზეზს სკოლის კედლებში ეძებს, გასაწმენდელი გზაც აქ ეგულება.

სამწუხაროდ, დღევანდელი სკოლა სრულყოფილად მართლაც ვერ ასრულებს იმ ფუნქციას, რაც მას ეკისრება და რასაც მოზარდის სწავლა-აღზრდა ჰქვია. მე დედა ვარ და, სხვათაშორის, ბებიაც. ამიტომ ჩემთვის მშობლის სატკივარი უცხო ხილი არ არის, მაგრამ ამავე დროს სკოლის მასწავლებელიც ვარ და პედაგოგების მისამართით გამოთქმულ შენიშვნებს, ბუნებრივია, მტკივნეულად განვიცდი.

მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება მაქვს. ბავშვის სიყვარულის გარეშე სკოლაში ვერავინ იმუშავებს – დაღლის, უმადურობის, დამცირების მეტი დღევანდელ პედაგოგს რა ხვდება? თუ არა სიყვარული, სხვა ვერაფერი გააძლებინებს თანამედროვე სკოლაში მასწავლებელს. თუმცა ულირსიც ბევრია და ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ვიღაც მოსწავლის მშობლისაგან საჩუქრად ლობიოსაც მოითხოვდეს და ზოგჯერ უფრო მეტსაც. არიან, ნამდვილად არიან ასეთებიც. საბედნიეროდ, მე სხვა მაგალითებიც ვიცი.

ჩემი ახლობელი ახალგაზრდა კაცი ერთ-ერთ რაიონში სკოლის დეირექტორია და ყოველდღე სკოლის შენობაში 2-3 ცალი პური შეაქვს. შესვენებისას ამ პურს თავის კაბინეტში იმ ბავშვებს აჭმევს, შიმშილისაგან ძლივს რომ დალასლასებენ და გონება ებინდებათ. გგონიათ თვითონ ბევრი აქვს? არა, თავის ცოლ-შვილს სანიმუშოდ მოვლილ კარ-მიდამოში მოყვანილი ჭირნახულით აცხოვრებს. ამით მხოლოდ ერთი რამის თქმა მინდა, როცა ერთი ლობიოს ითხოვს, მეორე თავის მოსწავლეებისათვის უკანასკნელ ლუკმას იმეტებს.

მადლობა ღმერთს, ასეთები ბევრია და სკოლაც ასეთი მასწავლებლებით არის ძლიერი.

საჩუქრებს დახარბებული პედაგოგების გამართლებას არ ვაპირებ, მაგრამ მინდა ასეთი შეკითხვაც დავსვა – ვინ აძლევს მასწავლებელს ქრთამს და რატომ? ისიც ვიკითხოთ, როგორი მასწავლებელი სურს მშობელთა უმრავლესობას? ისეთი, ვინც პრობლემას არ შეუქმნის. იოლი გზით ატარებს მის შვილს და კარგ ნიშანს დაუწერს. ამისთვის კი ისინი ყველაფერს გაიღებენ, ზემოქმედების ყველა გზას მიმართავენ.

ამიტომ არა მგონია, მხოლოდ მასწავლებელთა ხელმოკლეობის, მათდამი უყურადღებობის, ღირებულებათა მკვეთრი გადაფასების შედეგად გაუფასურებული პედაგოგის იერ-სახე იყოს ყველა იმ უბედურების მიზეზი, რასაც წერილში ასახელებთ. ცალწვერა ჯოხი არ არსებობს. სკოლა ქვეყნისგან მოწყვეტილი კუნძული არ არის, იგი საზოგადოების განუყოფელი ნაწილია, მისი პროდუქტია და აქ ყველაზე კარგად მართლდება ბრძნულად ნათქვამი: რაც ერი – ის ბერიო.

ბოლო დროს საზოგადოებაში მომხდარმა სოციალურმა ძვრებმა ღირებულებათა მკვეთრმა გადაფასებამ, სულიერზე წინ მატერიალურის წამოწევამ, ბუნებრივია, სკოლის არსსა და ავტორიტეტზეც სერიოზული გავლენა იქონია. მასწავლებელი ყველასათვის ხელწამოსაკრავად იქცა. ბევრი მას საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენად მიიჩნევს, მშობელიც სათამაშო ნივთივით ექცევა და სულაც არ არის გასაკვირი, რომ მოსწავლეც ანგარიშს არ უწევს – ისე იქცევა, როგორც მას მშობლებმა თავისდაუნებურად ასწავლეს. მისთვის აღარც მასწავლებლის წახალისებას აქვს ფასი და შენიშვნასაც ირონიით ხვდება.

რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, ეს არც მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაციით და არც მისი ხელმოკლეობით არ არის გამოწვეული.

დღეს მშობელი სკოლაში ხშირად დადის, მაგრამ არა იმისთვის, რომ შვილის რეალური აკადემიური მოსწრებით, მისი ყოფაქცევით დაინტერესდეს, არამედ მოდის იმისათვის, რომ მასწავლებელს ნებისმიერი ხერხებით შვილისთვის ნიშანი გამოსტყუოს, ან თავისი უპირატესობა დაუმტკიცოს. მერე ასევე ნებისმიერი საშუალებით უმაღლესში „მოაწყოს“, თავი მოიწონოს და დაგვიმტკიცოს, თუ როგორ ვერ დავაფასეთ, თორემ მისი შვილი პრესტიჟული სასწავლებლის პრესტიჟულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა.

ძალიან ხშირად ბავშვებს სკოლაში მშობლის ხელით შესრულებული დავალება მოაქვთ და მშობლის ცოდნაში ნიშანს ითხოვენ. ეს არის ფონს იოლად გასვლის, შვილის თავიდან მოცილების სურვილი, რადგან გაცილებით მარტივია შვილს თემა დაუწერო ან ამოცანა ამოუხსნა, ვიდრე საათობით დაუჯდე და თემის ან ამოცანის არსში გაარკვიო, კითხვის, ცოდნის მიღების სურვილი აღუძრა.

ბავშვი ყველაფერს ხვდება, ყველაფერს ხედავს და ამგვარი „აღზევებულისაგან“ ზერელობით, უცოდინრობით გზის გაკვალვის მცდელობის მეტს არაფერს უნდა ველოდეთ.

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ საზოგადოებამ, ოჯახმა სკოლაზე, მასწავლებელზე ზრუნვისაგან „ხელები დაიბანა“. სწავლა-აღზრდაზე მთელი პასუხისმგებლობა კი მას გადააბარა. მასწავლებლის მხრები იმდენად ძლიერი არ არის, ასეთი მძიმე ტვირთი მარტოდმარტომ ზიდოს. მას მხარში ოჯახიც უნდა ამოუდგეს. ოჯახის ერთი ნაწილი თავის მოვალეობას მხოლოდ შვილის მატერიალურ უზრუნველყოფაში ხედავს. მაგალითს დიდი ძალა აქვს. რასაც შვილი მშობლებში ხედავს, ქვეშეცნეულად, თავის თავშიც სწორედ იმ თვისებებს ავითარებს.

შვილიშვილთან ერთად ზოოპარკში ირმების ვოლიერთან შევჩერდი. თვალს ახარებდა ბუნების ამ საოცარი მშვენიერების ხილვა. გვერდით ორი კაცი ამოგვიდგა. თან ათიოდე წლის ბიჭუნა ახლდათ.

ირმებმა ბავშვი „აღტაცებაში“ მოიყვანა და წამოიძახა: „მამა, შეხედე, რა სამწვადეა!“ მამამ ხარხარით სხვა ვოლიერისაკენ გადაინაცვლა ისე, რომ ბავშვისთვის პასუხიც არ გაუცია.

სამწუხაროდ, ხმის ამოღება ვერ შევძელი. ჯერ ერთი, ბავშვის ამ წარმოუდგენელმა „წარმოსახვამ“ დამაბნია, თანაც მივხვდი, ბავშვისთვის შენიშვნა რომ მიმეცა, შეურაცხყოფას ნამდვილად ვერ გადავურჩებოდი.

გული მეტკინა. უთქმელობით დავმარცხდი, როგორც პედაგოგი, თუმცა სხვა უფრო ადრე დამარცხდა, როცა თავის დროზე იმ „ზნემაღალ“ მამას ყოფაქცევაში დადებითი ნიშანი დაუწერა და თავიდან მოიშორა. ყველაზე დამარცხებული კი ის „ბედნიერი“ ბავშვია, მშვენიერების აღქმა რომ არ აქვს.

ერთმა მოსწავლემ მითხრა: დღეს კაცი ისაა და ქუდი იმას ხურავს, ყველა ჯიბიდან ფული რომ სცვივა და შინ სულ დატვირთული ბრუნდებაო.

როცა ვკითხე, როგორ, საიდან-მეთქი, მიპასუხა – სამსახურიდან, მაგრამ „გზები“ უნდა იცოდესო...

მოდი ახლა და იკითხე მგლის თავზე სახარება. მშვენიერ ირემში „სამწვადე ხორცისა“ და ქუდოსან კაცში ჯიბესქელის დამნახავს სკოლა ვერ აქცევს ფრთაშესხმულ ანგელოზად, რომელსაც გაცნობიერებული ექნება სილამაზის, სიკეთის, სათნოების არსი და თანადგომის გრძნობა. დღეს მოზარდები დიდი ხალისით და „საქმის ცოდნით“ საუბრობენ ბარების, დისკოთეკების, კაზინოების მომაჯადოებელ სამყაროზე, სადაც მშობლებთან ერთად დადიან, თუმცა, ორ სიტყვასაც ვერ გეტყვიან სიონის, ანჩისხატის, ნარიყალას, მეტეხის წარსულზე. ვერ იხსენებენ, სად დგას თბილისში ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დავით გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ნიკო ფიროსმანაშვილის, ზაქარია ფალიაშვილის ძეგლები.

მასწავლებელი ვალდებულია მოზარდები ამ დიდი ადამიანების შემოქმედების ზღაპრულ სამყაროს აზიაროს, მაგრამ ვერც ერთი პედაგოგი ვერ დადგება რესტორნებისა და კაზინოების კარებთან, ვერ დაუგეგმავს მათ, სად და როგორ გაატარონ თავისუფალი დრო. ეს მშობელმა უნდა იცოდეს.

მოსწავლე რომ გაკვეთილზე ყოველ დილით იგვიანებს, განა ეს მშობლის სკოლისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებიდან არ მოდის?

განა მოსწავლე რომ სკოლას აცდენს (უმიზეზოდ ან უბრალო მიზეზის გამო) მშობელმა არ იცის? (თუ არ იცის, მით უარესი).

ბავშვი არ სწავლობს ყველა გაკვეთილს. ეს საგანი მას არ სჭირდება – აცხადებს მშობელი. ის კი ავიწყდებათ, რომ ყველა საგანი ერთმანეთს ავსებს – სკოლაში ბავშვი მხოლოდ ცოდნას როდი იძენს. სკოლა უფრო მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით წარმოგვიდგენია. სკოლა – ეს ყოველდღიური წესრიგია, მოვალეობის შეგნება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხისმგებლობის გაცნობიერებაა. თვითდამკვიდრება, პიროვნების საზოგადოებრივი შეფასება და დაფასებაა, საკუთარი ღირსების შეგრძნებაა.

სკოლა – განსჯაცაა და თანადგომის, თანაგრძნობის სწავლებაც. ბავშვები სკოლაში იძენენ მეგობრებს და სწავლობენ მეგობრობას.

სკოლა მეტყველების კულტურის, ცოდნის რეალიზაციის უნარის გამომუშავებაა, აზრის გამოთქმის, კამათში მონაწილეობის კულტურაა, ყველაფერს რა ჩამოთვლის...

ერთმა ახლობელმა თავისი ორი გოგონა VIII-IX კლასებიდან ღამის სკოლაში გადაიყვანა, მაგრამ არც იქ ატარებს. ოთხ საგანში ამეცადინებს რეპეტიტორებთან. ვერ გადავარწმუნებ, რომ სწორად არ იქცევა. ის ვერც კი გრძნობს, რამდენი რამ წაართვა საკუთარ შვილებს. ზოგჯერ მშობლიური სიყვარული მართლაც ბრმაა.

ცხოვრებაში ბოლო დროს მომხდარმა საზოგადოებრივმა ძვრებმა ყოველდღიურობასაც ნირი უცვალა. დემოკრატიულმა მშენებლობამ ადამიანები წლობით განმტკიცებული სტერეოტიპებისაგან გაანთავისუფლა და პიროვნების თავისუფლების პრინციპები დაამკვიდრა.

ჩვეულებრივ მოვლენად იქცა: მშობლები და მოზარდები ერთად უყურებენ ეროტიკულ ფილმებს. ცოტა თუ ინუხებს თავს, ბავშვს აუხსნას, გააგებინოს ნანახის ავკარგი, მისაღები მიუღებლისაგან განასხვავებინოს.

ერთი სიტყვით, რაც სკოლაში ხდება, იგი სკოლის გარეთ იწყება და, სამწუხაროდ, სკოლაშიც გრძელდება. მის აღსაკვეთად კი სკოლისა და ოჯახის, საზოგადოების ურთიერთთანადგომაა საჭირო.

ასე რომ, ჩვენ ჩვენი „ცოდვებიც“ გვეყოფა და სხვათა ცოდვებსაც ჩვენს მხრებზე ნუ გადმოვტვირთავთ.

არ მინდა იფიქროთ, რომ ყველა „ცოდვა“ მასწავლებელს მოვხსენი და მშობელს გადავულოცე. ყველაზე დიდი ცოდვილი მაინც ისაა, ვინც საკუთარ უცოდველობას ამტკიცებს. ჩვენს რიგებში უამრავია ხელჩაქნეული, სასოწარკვეთილი, არაპროფესიონალი მასწავლებელი, რომელთა საქციელიც საზოგადოების გულისწყრომას იმსახურებს. რა ვუყოთ, ყველას ვერ მოვთხოვთ ჯვარცმულის სიწმინდეს და ამტანობას, მაგრამ განა მათი არსებობა, გამონაკლისების განზოგადოების ან ათასების შრომის უგულვებელყოფის უფლებას გვაძლევს?

მაპატიეთ, თუ წერილი ცოტა კატეგორიული და აღელვებული ტონის გამომივიდა, მაგრამ მოზარდი თაობის აღზრდაზე აუღელვებლად ლაპარაკი იოლი არ არის, მითუმეტეს, თუ იგი ზნეობრივ ნორმებს ეხება, რომელიც მარტო სკოლის საზრუნავი არ უნდა იყოს.

**ლილი ძერია,**
პირველი კლასიკური გიმნაზიის პედაგოგი.

**რედაქციისაგან:** პედაგოგის წერილში ბევრი საყურადღებო პრობლემაა დასმული. გთხოვთ გამოგვეხმაუროთ და მოგვწეროთ თქვენი აზრი თემაზე: დღევანდელი სკოლა: პედაგოგი და მშობელი.

# ქრიალოსანი

*სამოციანი წლები. ახალგაზრდული გაზეთის რედაქცია.*

*ყველაფერი ახალგაზრდული ხალისით სუნთქავს.*

*რედაქტორი არაჩვეულებრივად კოლორიტული, უკომპრომისოდ პატიოსანი ახალგაზრდა კაცი — ბატონი გოგი გელაშვილი.*

*ჩვენ — ახალგაზრდები ასაკით უფროს რედაქტორს ძალიან ვერიდებით. მაგრამ გვიყვარს მისი სხარტი გამონათქვამები და ხანდახან ხუმრობასაც ვბედავთ.*

*ახლახან წიგნებიდან გადმოვარდა გახუნებული რვეული. გადავშალე. 60-იანი წლების ჩანაწერებმა ის ატმოსფერო გააცოცხლეს ჩემს თვალწინ. იქნებ მკითხველსაც გადავდო ჩემი მაშინდელი განწყობა და ამ კრიალოსნის მძივებივით პაწია მოგონებებით ღიმილი მოვგვარო.*

თამაზ ბიბილურს გურჯაანში ბებია გარდაეცვალა. დაკრძალვიდან ჩამოსულებს სამსახურში შეგვაგვიანდა.

– სად იყავით ამდენი ხალხი? – განგებ წარბშეკრულმა გვკითხა რედაქტორმა (თამაზი განსაკუთრებით უყვარდა).

– ბებიაჩემის დაკრძალვაზე, – იყო მოკრძალებული პასუხი.

– ჰმ, გადამიქციე ბებიაშენის დაკრძალვა ფელიქს ძერჟინსკის დაკრძალვად.

– მაინც ადამიანი იყო, ხრამში ვერ ჩავაგდეთ, – უპასუხა თამაზმა.

მოუხელთებელი ღიმილი რედაქტორის სახეზე.

* * *

პასუხისმგებელმა მდივანმა რედაქტორს ფოტოები შეუტანა. რედაქტორს სურათები არ მოეწონა. არც იყო მოსაწონი.

– ვინ გადაიღო? – ცალყბად იკითხა, დაწუნების საბაბს ეძებდა.

– დავბეჭდოთ, – თხოვა მდივანმა, – ერთი კაცია, საწყალს ცოფიანმა ძაღლმა უკბინა და... – აცოდებს ავტორს მდივანი.

– მე ხომ არ მიკბენია, – ცხარობს რედაქტორი და სურათების დაბეჭდვაზე უარს ამბობს.

* * *

ერთმა ახალგაზრდა პოეტმა რედაქციაში ლექსები მოიტანა. ლექსები მოგვეწონა. გადაიბეჭდა. ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგე გურამ გომართელი რედაქტორთან ლექსების შეტანაზე ფეხს ითრევს. ყოყმანობს.

– რა იყო, გურამ, რატომ არ შეგაქვს? – ვკითხეთ.

– ვიცი გამიწყრება, ტაგუ რა სახელიაო. (ასე ერქვა პოეტს) ცოტა ხნის წინ რედაქტორმა მკაცრად მკითხა: „რატომ ჰქვია ჩვენს ახალ ფოტორეპორტიორს ოლეგი და მამამისს არტემიო? რა მეპასუხა?

* * *

წინა დღით თბილისის „დინამომ“ – ბატონი გოგის საყვარელმა გუნდმა თამაში წააგო კიევში.

დილით რედაქტორის მრისხანებას საზღვარი არ ჰქონდა.

დაიწუნა და უკან დააბრუნა მაკეტი, გაუწყრა დაგვიანებულებს, ყველა მასალა სტილისტთან გაგზავნა.

* * *

ერთი ცნობილი პედაგოგის პატივსაცემად დაწერილ საიუბილეო წერილს სათაურად „რასაცა გასცემ, შენია“ ვუწოდე.

რედაქტორმა შემომითვალა: აჯობებს თუ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“ დაარქმევდიო.

იმის შემდეგ სულ ვცდილობ, სათაურში ციტატის გამოტანას მოვერიდო.

* * *

ჯონდო გაფრინდაშვილთან რედაქციაში მისმა ცოლისძმამ დარეკა. ჯონდო გასული იყო.

ჯონდოს გადაეცით, – გვთხოვა მან, – წუხელი სიდედრი მომიკვდა, დაწვრილებით მოვიდეს და გაიგოსო.

* * *

რედაქციაში პალტო დაიკარგა.

მილიციაში დავრეკეთ და ვკითხეთ:

– ასე და ასეა ჩვენი საქმე და პალტოს ქურდობაში ხომ არავინ გყავთ შემჩნეული?

– არა, პალტოსი არა, – გვიპასუხეს მილიციიდან სერიოზულად, – მაკენტოშების ქურდი კი ვიცით ერთიო.

* * *

გურამ ხარაიძეს, რომელიც ხშირად გვაცინებდა თავისი ენამოსწრებულობით ნამდვილი სახელი გერასიმე რქმევია და სკოლაში ბავშვები „მუმუს“ ეძახდნენ თურმე.

გურამმა გვიამბო: გრიშაშვილისთვის სიცოცხლის ბოლოს მეხსიერებას უღალატნია, ცოლს ეკითხებოდა თურმე:

– ქეთო, ჰა ქეთო, ლექსი მინდა დავწერო იმ კაცზედა, აი, ერევნის მოედანზე რომა დგას და ხელი აქვს გაშვერილი, რა ჰქვიან, სახელი კი დამავიწყდაო.

* * *

გურამს და ფილიპე ბერიძეს შალვა ალხაზიშვილის სახლში ილია ხოშტარია გაუცურებიათ. მთელი საღამო ილიას ეგონა თურმე, გურამ ხარაიძე იყო ბულგარეთის თუ რუმინეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და ყველაზე ახალგაზრდა ნობელის პრემიის ლაურეატი.

* * *

გურამი ეუბნებოდა შიო ლარცულიანს: ლიბრეტოს ვწერ ოპერისათვის „შიო შიო სან“ ჰქვიაო.

* * *

ჩვენი ერთი ახალგაზრდა ჟურნალისტი მოსკოვში გავგზავნეთ კომკავშირულ სკოლაში. მთელი იმ ხნის მანძილზე, როგორც გურამი გვიმტკიცებდა, მას ერთხელაც არ უღალატნია ცოლისთვის. წამოსვლის წინ გადამყიდველ ქალს ფეხსაცმელები მიუტანია საერთო საცხოვრებელში. ეს ახალგაზრდა ფრთხილი კაცი იყო, სპეკულანტს რომ ველაპარაკები, არავინ დაგვინახოსო, უფიქრია და კარები ჩაუკეტავს.

სწორედ იმ დროს დადგომია თავს თბილისიდან ჩასული ცოლი და საქმე კინაღამ გაყრამდე მისულა.

* * *

ზაურ ბოლქვაძის მეუღლე ნანა დარჩია და მე თანაკურსელები და მეგობრები ვართ, სტუდენტობისას ერთ ნაქირავებ ოთახში ვცხოვრობდით.

ნანაზე უსაზღვროდ შეყვარებული ზაური ხშირად გვაკითხავდა შინ და ერთი-ორჯერ ტორტიც მოგვართვა. ტარიელ ჭანტურიას შეუნიშნავი არ დარჩენია ეს მომენტი და მერე, როცა ახალგაზრდები შეუღლდნენ, გვახსენებდა ხოლმე: ზაური რომ და-ტორტ-ნანობდა, ის როგორ იყოო (ზაურს ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში აქვს სტრიქონი: „ტატოს ფერხთა ქვეშ დედამიწა დატორტმანებდა, კოჭლიც იმიტომ ეგონათ ალბათ“).

* * *

ზაურთან და ნანასთან სტუმრად ვიყავით. ნანა ნამცხვრებით გაგვიმასპინძლდა. რაც დაგვრჩა, უსაზღვროდ კეთილმა ზაურმა ხელი მოხვია და ჩანთაში გვიტენიდა.

– ქაღალდში მაინც გაახვიე, – შენიშნა ნანამ.

– ნანა, სიყვარული არ იხვევა, – არ დაიბნა ზაური.

* * *

მე და ნანა დარჩია აუდიტორიაში წინა მერხზე ვისხედით. პარტისტორიის ლექციაზე მთელი ჯგუფი სახუმარო მიწერ-მოწერით ვერთობოდით.

კაფიებს, მეგობრულ შარჟებს, ლექსპრომტებს ვწერდით ერთმანეთს. ლექტორი ტამერფორსის კონფერენციაზე და ბოლშევიკურ პარტიაზე ჰყვება მთელი მგზნებარებით. ჩვენ კი უკანა მერხიდან ვიღებთ წერილს, რომელზეც მისამართი ასეა აღნიშნული:

„როგორც ქართულ ალფავიტში ანის შემდეგ ბანი,
წინა მერხზე, წინა პლანზე ნარგიზას და ნანის“.

და შემდეგ:

კეფის გასწვრივ შეკრეჭილი წაბლისფერი თმები,
თვალები კი, რა თვალები – მარგალიტის თვლები!
ეშხი – ცხვირზე გადმოღვრილი, პალტო – ცეცხლისფერი,
კტო კაკ ხოჩეტ, მე კი დამწვავს ეს წითელი ფერი.
მეორე კი თითქოს უფრო ნაზია და წყნარი,
სილამაზის მალვა უყვარს, ნება მისი არი,
ეჰ, სადა ხართ პოეტებო, თქვენი მგზნებარებით,
შავ ზღვას სიგრძივ გადასწვდება მისი ნაწნავები.

(ნანა გამხდარი, ჰაეროვანი გოგო იყო და გრძელი თმა, ბათუმიდან რომ ჩამოჰყვა, კარგა ხანს არ შეუჭრია).

გასართობი სახუმარო ლექსი უფრო გრძელი იყო და ახლა ზეპირად აღარ მახსენდება, ავტორი კი გახლდათ ჩვენი უაღრესად ნიჭიერი თანაკურსელი, სამწუხაროდ, აწგარდაცვლილი ივერი ტაბიძე, რომელმაც თავისი სიტყვა თქვა ქართულ ჟურნალისტიკაში და ჭაბუკობაში გვარიან ლექსებსაც წერდა.

მახსოვს, ერთხელ ერუდიტმა პროფესორმა სერგი დანელიამ როგორ შეუქო სტუდენტურ გაზეთში დაბეჭდილი ლექსი „ავტობუსი №5“. ივერმა მალე შეწყვიტა ლექსის წერა: – ჩემი გვარის კაცმა რომ თქვა, იმაზე უკეთესს და ვერც ისეთს, მაინც ვერ ვიტყვი და, რაღაზე ვწეროო.

ის დაუწერელი ლექსები მენანება.

* * *

თენგიზ ბუაჩიძე უნივერსიტეტში რუსული ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა. თენგიზი ყველას გვიყვარდა, მაგრამ ადრე მოსვლა ზოგს ეზარებოდა და პირველ საათზე ერთხელ მხოლოდ ხუთიოდე სტუდენტი დავხვდით. ლექტორი გაჯავრდა და შესვენების შემდეგ ლექციაზე შემოსული გაბუტულივით დაჯდა. ხმას არ გვცემდა.

– რა ვქნათ ახლა, ვიტიროთ თუ ვიცინოთ? – იკითხა ნანა დარჩიამ წყნარად.

– იტირეთ, იტირეთ! – იყო ლექტორის პასუხი.

– ზოგჯერ „სიცილი ცრემლზე ბევრჯერ მწარეა“, – ჩავილაპარაკე მე.

აქ ჩვენ სტოიკს გაეღიმა და ლექციის კითხვა განაგრძო.

* * *

უნივერსიტეტის ერთმა კურსდამთავრებულმა განაწილების წინ ასეთი განცხადება წარუდგინა კომისიას:

„დედ-მამა მყავს ავადმყოფები ლენტეხში, გათხოვილი და – ქუთაისში. ამიტომ გთხოვთ, სამუშაოდ დამტოვოთ თბილისში“.

* * *

ქუთაისის აეროპორტში რუსი სამხედროები სადილობდნენ. შეუკვეთეს მწვადი.

– სამი ვაენი მწვადი, – გასძახა ოფიციანტმა მებუფეტეს.

გასაგები იყო, რა ხარისხის მწვადს მიართმევდნენ.

* * *

– საზამთრო გიყვარს? – ვკითხე ერთხელ გივი გუნცაძეს.

– რა შეკითხვაა, – ხელები გაასავსავა მან, – კითხვა ასე უნდა დაისვას. დედა უფრო გიყვარს თუ საზამთრო?

* * *

ორი წლის იყო ჩემი ქალიშვილი ნათია, როცა კატეგორიულად თქვა:

– საჭმელებში სასისკი მიყვარს, ადამიანებში – დედა.

* * *

ინტერვიუს დროს ერთ რეჟისორს ვკითხე:

– იდეალური აფიშა თქვენი თეატრისათვის?

– ისეთი ცუდი ხარისხის ქაღალდს გვაძლევენ, რა აფიშაზე შეიძლება ლაპარაკი, – სერიოზულად მომიგო მან.

* * *

საოპერაციო მაგიდაზე მწოლ მოხუც ქალს ქუთაისელი ანესთეზიოლოგი ეკითხება:

– ბიცოლა, ანესთეზიისათვის საჭირო წამლების ფული – 300 ლარი გაქვს?

– უი, არა, შვილო, სამასი ლარი თვალით არ მინახავს.

– კაი, აბა, გადაბრუნდი და დაიძინე შენით.

* * *

უნივერსიტეტში ძველ ქართულ ლიტერატურაში სესიისათვის ვემზადებით მე და ჩემი მეგობარი, ახლა ჩემი შვილის თეას ნათლია, ლია გოდერძიშვილი.

ტექსტს ვკითხულობ ნელა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ ყოველ სიტყვას, ვითომ რა და, რუსთაველი კი გვასწავლის რაა საჭირო მიჯნურობისათვის, მაგრამ ამათგან ჩვენ რა გვაქვს-მეთქი.

„მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მათ ვითა მზეობა, (ამოვიოხრეთ)

სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, სიყრმე და მოცალეობა, (თავი გადავიქნიეთ, რა სიმდიდრეზეა ლაპარაკი ნაქირავებ ოთახში ნავთქურასთან ვართ მიყუჟულები).

ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა, (ეს ცოტა იმედიანად წავიკითხე, რადგან ენა და გონება ასე თუ ისე გვიჭრიდა)

ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“. გადაგვიწურა იმედი ჩვენმა გენიოსმა.

გავჩუმდით. ლიამ ჭერს ახედა და ნაღვლიანად თქვა: ამ ჩამოთვლილიდან მე მოცალეობის მეტი არაფერი გამაჩნია, რაზეა ლაპარაკიო. (მოცალეობაში ლიამ მოცლილობა იგულისხმა).

* * *

ერთხელ გაზეთ „თბილისის“ ჟურნალისტები ექსკურსიაზე ვიყავით. ერთი თანამშრომელი გვახლდა, გვარად ტარიელაშვილი. ამ ქალმა რაღაც მოსწრებულად თქვა, გავიცინეთ და სოსო ჭუმბურიძემ ხმადაბლა მკითხა:

– ეს ტარიელაშვილი საქართველოს რომელი კუთხიდანაა ნეტავ? იმერელი არ არის, მგონი არც კახელია, არც გურულობა ეტყობა.

– მე მგონი ხატაეთიდან უნდა იყოს, – სერიოზული სახით მივუგე მე და მერე კარგა ხანს ღიმილით ვიგონებდით ჩვენს „ხატაელ“ თანამშრომელს.

**ნარგიზა მგელაძე**

# ორსულობა — სრულიად განსხვავებულ ჭრილში



*წლეულს აკად. ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში ახალგაზრდა მეცნიერის ბესო ტყეშელაშვილის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა წერილი „ახალგაზრდა დოქტორის ახალი სიტყვა“, რომელშიც მაღალი შეფასება ეძლეოდა დისერტანტის ნაშრომს.*

**— ბ-ნო ბესო, „საქართველოს ქალის“ მკითხველებისთვის საინტერესოა თქვენს დარგში მიღწეული ყოველი სიახლე. თუ შეიძლება გვითხარით, რა პრობლემებს ეხებოდა თქვენი ნაშრომი და რა სიახლე შეიტანა გამოკვლევამ მეცნიერებაში?**

— პირველ რიგში, მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ პატივისათვის, რომელიც დამდეთ თქვენს ჟურნალში სასაუბროდ მოწვევით. ანალოგიური საკითხებით თქვენი მკითხველი აუდიტორიის დაინტერესება ბუნებრივია.

რაც შეეხება ნაშრომს, იგი განეკუთვნება ფუნდამენტურ ნაშრომთა რიგს. მასში განხილულია ორსული ქალის ორგანიზმში მიმდინარე პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ნაყოფის ზრდა-განვითარების პროგრამის უზრუნველყოფას. სისხლისა და გულსისხლძარღვთა სისტემების შესწავლამ ორსულობამდე და მისი მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ორსულობა ზოგად ადაპტაციურ რეაქციას წარმოადგენს, ხოლო ფიზიოლოგიური მენსტრუალური ციკლი ქალის — მომავალი დედის, რეპროდუქტიული ფუნქციის ბიოლოგიურ გარანტს. რაც შეეხება ორსულობის დროს განვითარებულ და ორსულობით გამოწვეულ ე.წ. გესტაციურ დაავადებებს, ისინი განხილულნი არიან, როგორც ადაპტაციის პროცესის დარღვევის ვარიანტები.

უმთავრესი სიახლეა ორსულობის განხილვა სრულიად განსხვავებულ ჭრილში. დამტკიცებულია, რომ ქალის ორგანიზმში ჟანგბადის სატრანსპორტო სისტემები — სისხლი და გულსისხლძარღვთა სისტემები ორსულობის სხვადასხვა ეტაპზე ზუსტად ისე „იქცევიან“, როგორც ნებისმიერი ადაპტაციური რეაქციის დროს. ამ მეცნიერული დასკვნის საშუალება მოგვცა ჩვენს მიერ პირველად მოწოდებულმა ქალის ორგანიზმის ორსულობასთან შეგუების უნარის ობიექტური შეფასების თვისობრივად ახალმა მეთოდიკამ.

ამ მეთოდიკის საშუალებით დადგინდა ისიც, რომ ფიზიოლოგიური მენსტრუალური ციკლის დროს ზემოთნახსენები ჟანგბადსატრანსპორტო სისტემები ისეთსავე ცვლილებებს განიცდიან, როგორც ორსულობის დროს. თითქოს ყოველი ციკლის დროს ქალის ორგანიზმში ხდება ორსულობის უზრუნველმყოფი ზემოაღნიშნული სისტემების „ტრენინგი“ — წვრთნა. აღნიშნულის საფუძველზე სამედიცინო მეცნიერებაში პირველად გაიჟღერა სრულიად ახალმა მოსაზრებამ მენსტრუალური ციკლის ბიოლოგიური როლის თაობაზე.

მნიშვნელოვანია ის დასკვნაც, რომ ორსულობის ბოლო პერიოდში ქალის ორგანიზმში ჩამოყალიბებული მდგომარეობა განაპირობებს მუცლადმყოფი ნაყოფის წვრთნას მშობიარობისა და დაბადებისშემდგომ პერიოდისათვის. შესაბამისად სამშობიარო სტრესისა და ცხოვრების ახალ პირობებთან სრულყოფილი ადაპტაციის შეგუების მიზნით. ანუ, ჩვენ დავადგინეთ ქალის ორგანიზმში მიმდინარე ადაპტაციური პროცესების ბიოლოგიური მნიშვნელობა ორსულობის, ნაყოფისა და ახალშობილის ფიზიოლოგიურ განვითარებაში.

**— რა პრაქტიკული ღირებულება აქვს სადისერტაციო ნაშრომს და რა უნდა გაითვალისწინონ მომავალმა დედებმა?**

— ნაშრომის ძირითადი პრაქტიკული მონაპოვარია სისხლის ბიოფიზიკური კვლევის სრულიად ახალი მეთოდიკის შემუშავება და დანერგვა, რის საშუალებითაც შესაძლებელია ორსულობის პერიოდის მთელ რიგ დაავადებათა, კერძოდ კი ადრეული და გვიანი ტოქსიკოზების პროგნოზირება, დიაგნოსტიკა და მკურნალობის ეფექტურობის შეფასება, რისთვისაც სისხლის ძალზე მცირე ულუფაა საჭირო. ორიგინალური აპარატურა, რომელიც ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბიოფიზიკის ლაბორატორიაშია დამონტაჟებული, მთლიანად ავტომატიზებული და კომპიუტერიზებულია, რაც განაპირობებს კვლევის მაღალ ხარისხს.

სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, ორსულობის მიმდინარეობის შესაფასებლად საკმარისი არ არის სისხლის საერთო ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობა, რაც აქამდე ხდებოდა. ამ თვალსაზრისით ჩვენი გამოკვლევა სრულიად განსხვავებულ და განუზომლად მეტი მოცულობის ინფორმაციას აწვდის ექიმს.

დისერტაციაზე მუშაობის პროცესში მრავალ პრობლემას შევეხეთ, რომელთაც უშუალო კავშირი აღმოაჩნდათ ორსულობასთან. ასე მაგალითად: ორსულის კვება, კინეტიკური აქტივობა და გადატანილი ე.წ. გლანდების ამოკვეთა — ტონზილექტომია, რომელიც გაკეთებულია მენსტრუალური ციკლის ჩამოყალიბების წინა პერიოდში. შესწავლილი მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ ორსულობა გაცილებით ხშირად რთულდება იმ ქალებში, რომელთა კვების რაციონში დიდი რაოდენობით შედის რაფინირებული პროდუქტები, ძირითადად უმაღლესი ხარისხის ფქვილი და, ამავე დროს, ძალზე მცირეა საკვები ბოჭკოებით მდიდარი პროდუქტების (ხილი, ბოსტნეული, მწვანილი) წილი.

კინეტიკური ანუ ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა მნიშვნელოვანი სტრესული ფაქტორია ორსულისათვის, რაც ხშირად განაპირობებს რიგი დარღვევების განვითარებას ორსული ქალის ორგანიზმში.

რაც შეეხება ანთებადად შეცვლილ ნუშურების ამოკვეთას მენსტრუალური ციკლის ჩამოყალიბების პერიოდში, დაავადებულ ორსულთა დიდ უმრავლესობას აღნიშნული ოპერაცია ჰქონდათ გაკეთებული. ჩვენი ვარაუდით, ცხვირ-ხახაში არსებული ინფექცია, რომლის გავრცელებასაც გზას ტონზილები (ნუშურები) ულობავენ, მათი მოცილების შემდეგ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აღწევს თავის ტვინის იმ უბნებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მენსტრუალური ციკლის რეგულაციასა და ზოგადად ადაპტაციური რეაქციების ფორმირებაში. სწორედ ამიტომაც, ხშირია მენსტრუალური ციკლის სხვადასხვა სახის დარღვევები და ორსულობის დროს კი ე.წ. ტოქსიკოზების მაღალი პროცენტი აღნიშნული კატეგორიის ქალებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაჟინებით ვურჩევთ მშობლებს — ხელაღებით და იოლად ნუ გადაწყვეტენ ნუშურების ამოჭრის საკითხს, სპეციალისტთან ერთად ყოველმხრივ შეეცადონ, იზრუნონ ამ ჯირკვლებზე და შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ ისინი, განსაკუთრებით კი გოგონებისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში.

**— როგორია თქვენი მომავალი გეგმები? რა პრობლემებზე მუშაობთ ამჟამად?**

— ბედმა მარგუნა ჩემი, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბება მომხდარიყო აკად. ჩაჩავას სახელობის მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტში, სადაც მეცნიერული კვლევის დიდი ტრადიციაა. ამჟამადაც, სრული დაუფინანსებლობის მიუხედავად ინსტიტუტში მუშავდება მრავალი საინტერესო პრობლემა, რაც უშუალოდ ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს პალიკო კინტრაიას დამსახურებაა.

ამჟამად ხდება ჩემი კვლევის შედეგებისა და სხვა მეცნიერული პროდუქციის შეჯერება, ურთიერთდაკავშირება, განზოგადება, რის შემდეგაც ვაპირებთ ამ მეცნიერული კონცეფციების მონოგრაფიად გამოცემას, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს პრაქტიკოს მეან-გინეკოლოგთა ფართო წრისათვის.

**ესაუბრა მანანა იმესაშვილი**

# აღთქმულ მიწაზე

ისრაელში მიღებულ შთაბეჭდილებათა სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. თავად უნდა იხილოთ იერუსალიმი თავისი მრავალრიცხოვანი ტაძრებით და მუზეუმებით, გოდების კედელი, ნაზარეთი, წმინდა მდინარე იორდანე, ბეთლემი, მკვდარი და წითელი ზღვები, თელავივის უძველესი ნაწილი — იაფო და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი რამ.

ქალთა საერთაშორისო სემინარში მონაწილეობის მისაღებად წლეულს ისრაელში საქართველოდან მიწვეული ვიყავით ქ-ნი ლეილა სადრაძე, ქ-ნი თამარ ახაშიძე და ამ წერილის ავტორი. სემინარი თელავივთან ახლოს მდებარე ულამაზეს ადგილას — ბეითბერელში მიმდინარეობდა. პროგრამა გადატვირთული იყო, მაგრამ მასპინძლებს იმდენად მარჯვედ ჰქონდათ ყველაფერი გათვლილი, რომ დაღლა არ გვიგრძნია: ლექციებს მაღალ დონეზე ორგანიზებული კულტურული ღონისძიებები ცვლიდა. ცნობილი სპეციალისტების ლექციებში ისრაელის სახელმწიფოს ისტორიის, სამართლისა და კანონმდებლობის, ეკონომიკის, კულტურის, განათლების სისტემის სამეცნიერო მიღწევების შესახებ, ყურადღება გამახვილებული იყო ქალის როლსა და უფლებებზე. იმართებოდა საქმიანი დისკუსია ქალთა საერთო პრობლემებზე და სატკივარზე. ჩვენც წარმოვაჩინეთ საქართველოში ქალთა უფლებების, დასაქმების, ქალთა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მოღვაწეობის, პრესის შესახებ არსებული მასალები. ვაჩვენეთ ფილმი „ერთი წვეთი საქართველო“ (რეჟისორი ნანა ჯანელიძე, პროდიუსერი მანანა შევარდნაძე), რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. სასემინარო მუშაობა დასრულდა იმით, რომ თითოეულ მონაწილეს საერთაშორისო სერთიფიკატი და უაღრესად საპატიო „იერუსალიმის პილიგრიმის“ დიპლომი გადმოგვცეს.

მინდა გამოვყო საინტერესო შეხვედრა ისრაელის ქალთა ორგანიზაციის „ნამათის“, თელავივის თავმჯდომარესთან ქ-ნ ჰანა ბენდევიდთან. „ნამათი“ საქმიანობას ეწევა ქალთა უფლებების დასაცავად და კანონთა შესამუშავებლად. ორგანიზაციას აქვს უფასო იურიდიული კონსულტაციები ქალებისათვის, საბავშვო ბაღები, კურსები ახალგაზრდა ქალებისათვის პროფესიის მისაღებად და დასასაქმებლად. იგი დიდ დახმარებას უწევს მარტოხელა, ინვალიდ, ხანდაზმულ ქალებს, აკონტროლებს ალიმენტების გადახდას, ქალთა ჯანმრთელობის საკითხებს და სხვა.

ორიოდე სიტყვით იერუსალიმის („მშვიდობის ქალაქი“) შესახებ. იგი წმინდა ქალაქია იუდეველთა, ქრისტიანთა, მუსლიმთა თუ სხვა რელიგიათა მიმდევართათვის. მთის ფერდობებზე წრიულად ნაგები ქალაქი შორიდანვე საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. იერუსალიმის ძველი ნაწილი უზარმაზარი გალავნის შიგნითაა მოქცეული. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან უწყვეტ ნაკადად მიემართება იერუსალიმისკენ ზღვა ხალხი, რათა გოდების კედელთან სანუკვარი სურვილი თუ ნატვრა შესთხოვონ უზენაესს. ათასი ჯურის ეს ხალხი, სხვადასხვა სარწმუნოების ტაძრები, ეკლესიების ზარები, მუეძინთა ძახილი, ეგზოტიკური ბაზარი — ეს ყველაფერი მთლიანობაში კოსმოპოლიტური ქალაქის განუმეორებელ ჰარმონიას ქმნის.



ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

ნაბიჯ-ნაბიჯ გავიარეთ ის გზა (ვია დოლოროზა — გზა წამებისა), რომელიც იესომ განვლო გოლგოთამდე. ბოლოს კი თვალწინ მაცხოვრის საფლავის უზარმაზარი ტაძარი გადაგვეშალა.

იერუსალიმის შემდეგ ქრისტეს შობის ქალაქი ბეთლემი (ბეით ლეჰემ — პურის სახლი) მოვინახულეთ; იერუსალიმთან სიახლოვის მიუხედავად, ერთბაშად პოლარულად განსხვავებულ გარემოში ხვდებით, რადგან ბეთლემი ამჟამად პალესტინის ტერიტორიაზეა მოქცეული, სადაც ძირითადად არაბები ცხოვრობენ. ბეთლემის უზარმაზარ ტაძარში, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება (ბერძნების, კათოლიკების და სომეხ-გრიგორიანელების), ვიწრო კიბით ქრისტეს შობის ადგილისკენ მივემართებით და ბოლოს მარმარილოს ოვალური ფილა მოვერცხლილი თოთხმეტქიმიანი ვარსკვლავით იმ წმინდა ადგილს მიანიშნებს, სადაც მაცხოვარი დაიბადა.

გალილეაში ნაზარეთის ხარების ულამაზესი ტაძარი აგებულია იმ ადგილას, სადაც მთავარანგელოზმა გაბრიელმა პირველად ახარა მარიამს. ტაძრის კედლები სხვადასხვა ქვეყნის ღვთისმშობლისა და იესოს გამოსახულებებითაა მოფენილი. მათ შორის ბ-ნ ზურაბ წერეთლის მიერ შესრულებული მარიამ ღვთისმშობლის მშვენიერი ხატიც ვიხილეთ. ტაბღაში შემონახულია ის დიდი ქვა, რომელზეც მაცხოვარმა თავისი პირველი სასწაული მოახდინა — ხუთი პურით და ორი თევზით 5000 ადამიანი დააპურა. ვნახეთ ადგილი, სადაც იორდანეში იესო მოინათლა. ჩვენც წილად გვხვდა დიდი ბედნიერება, რომ ამ განსაცვიფრად სუფთა და თბილ წმინდა წყალში განვბანილიყავით.

საგანგებოდ მინდა აღვნიშნო ისრაელში საქართველოს საელჩოს მხრიდან (რომელსაც სათავეში ბ-ნი რ. გაჩეჩილაძე უდგას) გამოჩენილი ყურადღება ჩვენს მიმართ. მათი დახმარებით დავათვალიერეთ ქართული ჯვრის მონასტერი იერუსალიმში, წმინდა გიორგის ტაძარი ქ. ლოდში, სადაც მისი საფლავიცაა. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ამ ტაძარში ჩვენს პატივსაცემად წირვა აღავლინა ბერძენმა მოძღვარმა დამიანემ. დავათვალიერეთ ღვთისმშობლის ტაძარი იერუსალიმში, სადაც მარიამი და მისი მშობლებია დასაფლავებული; ქრისტეს ამაღლების ტაძარი, რომელიც ამჟამად თურმე თურქების კერძო მფლობელობაშია; მარიამ მაგდალინელის ტაძარი, სადაც იესომ უკანასკნელი ლოცვა აღავლინა; მათგან ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე, როგორც ისტორიულად ქართულ წმინდა ტაძარზე.

XI საუკუნის 30-50-იან წლებში შავშელი მოღვაწის გიორგი პროხორეს მიერ აგებული ეს მონასტერი იმთავითვე იქცა ძლიერ ცენტრად წმინდა მიწაზე სხვადასხვა სავანეებში გაფანტული ქართველებისათვის. ამასთანავე, ნათლად გამოიკვეთა მისი უდიდესი როლი ქართული კულტურის მონაპოვრის საერთაშორისო ასპარეზზე გატანაში.

დღეს ის ბერძნული საპატრიარქოს კუთვნილი ტაძარია, რომელიც იერუსალიმის შესასვლელთან, გზატკეცილის პირას მდებარეობს. გზის მეორე მხარეს ისრაელის ქნესეთია, რომელიც ისტორიულად ქართულ მიწას წარმოადგენს. ტაძრის ეზოში შესვლისთანავე თითქოს ძველის ბაღში ხვდებით. ლამაზად მოხატულ ფრესკებსა და ხატებს შორის გამოცოცხლებით ვეძებდით შოთა რუსთაველის გამოსახულებას... და ბოლოს, ტაძრის მთავარი დარბაზის ერთ-ერთი სვეტის ქვედა ნაწილში, მომცრო ზომის რუსთაველის ფრესკამაც გამოანათა. მისმა ხილვამ საოცარი ამაღლებული განწყობა შეგვიქმნა. ტაძრის გარეთა კიბეებით სულ ზემოთ ავედით (ნაგებობა ხუთსართულიანია), საიდანაც მონასტრისა და მისი შემოგარენის ულამაზესი პანორამა გადაიშალა ჩვენს თვალწინ. უნებურად შორეული წარსულის დრამატული ფურცლები წარმოვისახეთ: მტრისაგან მრავალგზის დარბეული და კვლავ აღმდგარი ქართული მონასტერი, მუსლიმ დამპყრობთა მიერ მისი მეჩეთად ქცევა, სისხლისმღვრელი ომები წმინდა სავანის დასაუფლებლად, შემდეგ თამარ მეფე და შოთა რუსთაველი, გაშლილი ქართული დროშებით იერუსალიმში ამაყად შემოსული ქართველი მეფე-მთავრები, ქართველ დიდებულთა და ღვთისმსახურთა დიდი ძალისხმევა ჯვრის მონასტრის შესანარჩუნებლად... და ბოლოს, XVII საუკუნის მიწურულიდან ბერძენთა საპატრიარქოს მიერ მისი დაუფლება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა პილიგრიმობა წმინდა სავანეში მომდევნო ხანებშიც გრძელდებოდა.

შოთა რუსთაველის ფრესკასთან ახლოს, ტაძარში მოთავსებულია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ ჯვრის მონასტრისათვის მიძღვნილი ულამაზესი ნაკეთობა „ქრისტეს ჯვარცმა“, რომელსაც მისი წარწერა ახლავს: „იესო, ტკბილო ჯვარცმულო, დამფარე ერი ჩემი ყოველთაგან განსაცდელისა და მოგვმადლე ძალა ამაღლებისა“.

**ნანა ბელაშვილი,**
ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

# ავთო ვარაზი, ქართული პასიონი და... ვნებანი შემოქმედთა



ავთო ვარაზი

გახსოვთ, ალბათ, გიორგი შენგელაიას საოცარი ფილმი „ფიროსმანი", რომლის თითოეული კადრი დასრულებული მხატვრული ტილოა. ფიროსმანის როლს მახსავით კეთილად უცნაური მხატვარი ავთო ვარაზი ასრულებს, თუმცა იგი კი არ თამაშობს, მართლა ნიკალადაა გარდასახული. იქნებ იმიტომაც, რომ იმ პერიოდში მასაც ძალიან უჭირდა მორალურად თუ ფიზიკურად და კარგად ესმოდა ნიკალასი. ის კი არა, ისე ბუნებრივად „ნაწერილა" როლში, „არყის დიეტაც" კი დაუნიშნავს რეჟისორს შინაგანი ბუნებით ფიროსმანის გასაოცრად თანაზიარი მხატვრისათვის. „არ არსებობს თვითნასწავლი და სხვისნასწავლი მხატვარი", – ხშირად ამბობდა თურმე ავთო ვარაზი. იგი მოთაყვანე გახლდათ ფიროსმანისა.

მას ხომ არ შეეძლო ხატვის გარეშე. არადა, თავიდან, ბავშვობაში ვიოლინოზე დაკვრის ხელოვნებას ეუფლებოდა, ჰქონდა არაჩვეულებრივი მონაცემები, მაგრამ პირველსავე კონცერტზე, თორმეტი წლის იყო მაშინ, ისე აღელდა, რომ... დებიუტი წარუმატებლად დაამთავრა. ამაყი იყო და ამის შემდეგ უარი თქვა ვიოლინოზე, თუმცა ვიოლინოს დიდი სიყვარული ნახატებში დააფიქსირა – შეიქმნა ვიოლინოების მთელი სერია. მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი ხატავდა მუსიკის ფონზე. სახელოსნოში გამუდმებით ჟღერდა ვალს-ბოსტონი „ვარსკვლავები შენს თვალებში", აღმერთებდა მოცარტის თითქმის ყველა ნაწარმოებს და პაგანინის „კამპანელას"...

ნამუშევრებისათვის იყენებდა თითქმის ყველაფერს: ასანთისა და სიგარეტის კოლოფებს, ღერებს, ნამწვებს, ძველ აფიშებს, ფიცრის ნატეხებს, გაზეთის ნაგლეჯებს... იგი პირველი და ერთადერთი ნონ-კომფორმისტი მხატვარია საქართველოში. მისი სალებავდადებული შარვლებისგან შექმნილი ხარის, ცხენის და კრავის თავების სერია საზღვარგარეთ არაერთ სოლიდურ მუზეუმსა და კერძო კოლექციაშია დაცული. ერთ-ერთი ნამუშევარი 2 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

მართლაც საოცარია მისი სურათები: ხარის თავები, თევზები, ვიოლინოები, „მანანები" – პორტრეტები მეუღლის მანანა ღვთისიაშვილისა და ა.შ.

* * *

მანანა ღვთისიაშვილი – სიმბოლოებით დატვირთული სახელი და გვარი. ასეც ეუბნებოდა ავთო ვარაზი, სახელი ზეციური გაქვს, გვარი – ღვთიურიო. გაცნობისას თეთრ სპეტაკ ფერში აღიქვა მომავალი მეუღლე და ეს ფერი იყო მთელი მათი შემდგომი ცხოვრებისა და სიყვარულის ფონი, თუმცა დროდადრო ცხოვრებისეული არასასიამოვნო ამბები ლაქებად ედებოდა, მაგრამ სწრაფადვე ფერმკრთალდებოდა.

ვარაზი ექვიანობდა მუსიკაზე (მანანასთვის მუსიკა იყო თითქმის ყველაფერი) და... ნოტებს უმალავდა ხანდახან, მაგრამ თვითონაც ხომ მუსიკის მოტრფიალე გახლდათ, ხატავდა მანანაც, ოღონდ ვარაზის თანდასწრებით – არასოდეს. როცა ნახატს აჩვენებდა, და იგი, თავარი მხატვარი რჩევას არ აძლევდა, ერჩივნა, მეუღლე თავისთავადი მხატვარი ყოფილიყო.

ვარაზის ბინაში მისი ნამუშევრების გარდა მანანა ღვთისიაშვილის ნახატებიცაა გამოფენილი. რამდენიმე ნახატში უცხოელმა დამთვალიერებლებმა სოლიდური თანხაც შეაძლიეს, მაგრამ ქალბატონი მანანა ბევრ მათგანს ვერაფრით შეელია.

მანანა ღვთისიაშვილი თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორია, კითხულობს მსოფლიო მუსიკის ისტორიის კურსს. სხვათაშორის, პირველად საბჭოურ სივრცეში, მისი ძალისხმევით დაიწყო საეკლესიო მუსიკის კურსის სწავლება. მრავალი საინტერესო გამოკვლევის ავტორიც არის, მაგრამ მის ბოლო აღმოჩენას ნამდვილად შეიძლება ეწოდოს სენსაციური – ეს არის ქართული პასიონი.

პასიონი ანუ ვნებანი სახარების ტექსტის მიხედვით დაწერილი ურთულესი მუსიკალური ნაწარმოების საიდუმლო სერობის, იესოს შეპყრობისა და ჯვარცმის შესახებ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პასიონი კათოლიკური ღვთისმსახურების წიაღში IV საუკუნეში ჩაისახა და რომ მართლმადიდებლურ სამყაროს (მათ შორის რა თქმა უნდა ქართველებსაც) პასიონი არ გააჩნდა.

მანანა ღვთისიაშვილი: ყოველთვის მიკვირდა, როგორ შეიძლებოდა ეს ჟანრი კათოლიკურ სამყაროში აღმოცენებულიყო, როცა IV საუკუნეში ეკლესია



არლეკინი

განუყოფელი იყო. ეს მერე, მოგვიანებით მე-11 საუკუნის დასაწყისში მოხდა მისი გამიჯვნა, ამიტომ პასიონი მართლმადიდებლურ ეკლესიისთვისაც ისეთივე ორგანული უნდა ყოფილიყო, როგორც კათოლიკურისთვის.

და ამის დამტკიცებას ქართულ ნიადაგზე შეეცადა. თითქოს ხელჩასაჭიდი არაფერი არსებობდა, მაგრამ დაუღალავი ძიებით, რწმენითა და ღვთის ნებით გაცხადდა, რომ არსებობს ქართული პასიონი.

ქალბატონმა მანანამ მიაკვლია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ საგალობელთა კრებულს ამგვარი სახელდებით: „მარხვანი შეხვეტილიანი, დიდი პარასკევის ცისკარი, ათორმეტ სახარებაზე აღესრულოს". ეს საგალობლები მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩაუწერია ფილიმონ ქორიძეს ანტონ დუმბაძისაგან და მას შემდეგ ვის აღარ სჭერია ხელში, მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია, რა ფენომენთან ჰქონდათ საქმე.

– ამის მიზეზი ის იყო, – ამბობს ქალბატონი მანანა, – რომ ხელნაწერი მეოცე საუკუნისაა და თანაც ათეისტური თვალთახედვიდან გამომდინარე, ჩვენში საგალობლებს არასწორად იკვლევდნენ – განცალკევებით ლიტურგიკიდან... „შეხვეტილიანის" საყრდენის ძიება თვით ლიტურგიკაში დავიწყე. ცნობილია, რომ ევროპული პასიონი დიდი პარასკევის ღვთისმსახურება გახლავთ, ჩვენი ძეგლიც პირდაპირ გამოხატავს მსგავს პროცედურას: გადმოცემულია ქრისტეს „ვნებანი" საიდუმლო სერობიდან ქრისტეს საფლავად დადებამდე. ჩავუღრმავდი სიტყვა „შეხვეტილიანის" ეტიმოლოგიასაც. შევისწავლე მეათე-მეთერთმეტე საუკუნის ქართული ხელნაწერები: წმინდა იოანეს ეპისტოლეში თევდორეს მიმართ და „წამებაი წმიდისა ვარაზისაში" სიტყვა „ხვეტა" სიმბოლურად აისახება და გულისხმობს ქრისტიანთა წამება-ვნებებს, ტანჯვას.



მანანა

კვლევა ამით არ დასრულებულა. შევეცადე, გამომესახა „შეხვეტილიანის" კონსტრუქცია და წარმოჩინდა საინტერესო კომპოზიციური ქსოვილი: იგი ზუსტად მიესადაგება ევროპული პასიონის კონსტრუქციას.

რაც შეეხება ძეგლის თარიღს... „შეხვეტილიანის" შეჯერებამ მეექვსე საუკუნის იერუსალიმის წერილობით ძეგლებთან და კონსტანტინოპოლურ იადიგართან მიმიყვანა... იერუსალიმურ ძეგლში ზუსტად ის ხმებია დაფიქსირებული, რომლებიც ჩვენს „შეხვეტილიანში" გვხვდება – გადის ამდენი საუკუნე და ხმები არ იცვლება.

ჩვენი მუსიკალური ძეგლი განწყობილია რვა ხმისათვის, არის აღსავლები ანტიფონებით, ხოლო ანტიფონების წაკითხვა არ შეიძლება – ისინი იგალობება. ამდენად, ქართული პასიონი მე-10-მე-11 საუკუნეს მიეკუთვნება, მისი უძველესი ფენა კი მე-8 საუკუნისაა.

„შეხვეტილიანის" აღმოჩენამ ქალბატონ მანანას აფიქრებინა, რომ უნდა არსებობდეს ქართული რექვიემიც... კვლევა გრძელდება.

ბედნიერი ვიქნები, – ამბობს ქალბატონი მანანა, – როგორც ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი ქართველი, რომ ვნების კვირის დიდ პარასკევს ქართულ ეკლესიაში უძველეს ქართულ საგალობლებს თუ მოვისმენ...

* * *

ავთო ვარაზს მეუღლის მრავალი პორტრეტი აქვს შესრულებული – პოპარტიცა და ფერწერულიც... ერთ-ერთ მათგანს „მანანა მონაზონი" ჰქვია – მანანა ღვთისიაშვილი აქ მონაზვნის ტანსაცმლითაა გამოსახული და მისი თვალები საოცარ სიმშვიდესა და სისუფთავეს გამოხატავს. ცხოვრებაშიც ასეა – მონაზონივით მშვიდი და მოკრძალებული. ვარაზების ბინას მხოლოდ ძალზე აუცილებელი და უკვე საკმაოდ მოძველებული ავეჯი ამშვენებს. დიახ, ამშვენებს, რამეთუ აქ ყოველი საგანი, თითოეული ნახატი და კედელზე მიჭედებული ლურსმანიც კი საოცარ ჰარმონიას ქმნის...

მეორე პორტრეტს „მანანა წინასწარმეტყველი" ჰქვია – ზღვის ბალახის თმებით, წინწამოწეული ნებისყოფიანი ნიკაპითა და ღრმა თვალებით. ნახატის ფონს უზარმაზარი რიცხვი 13 თითქმის ავსებს.

მანანა ღვთისიაშვილი: „ცამეტი ჩვენთვის განუყრელი რიცხვი იყო, სადაც არ უნდა წავსულიყავით, თეატრში, კინოში – ყველგან 13 გვხვდებოდა და ბევრი, ჩვენთვის არასასიამოვნო მოვლენაც სწორედ ცამეტში მოხდარა. ვერაფრით დავაღწიეთ თავი მას... ავთო წინასწარმეტყველს მეძახდა... საოცრად გულუბრყვილო კაცი იყო – ხშირად ატყუებდნენ და ვერ ხვდებოდა, ვაფრთხილებდი, არ მიჯერებდა, მერე უკვე ფაქტის წინაშე დამდგარი ამბობდა, არა, შენ ნამდვილად წინასწარმეტყველი ხარო.

ისე, მართლაც მაქვს წინასწარგანჭვრეტის უნარი, ოღონდ მაშინ, როცა ცუდია მოსალოდნელი. ავთოს სიკვდილი წინასწარ ვიგრძენი და ეს ჩემს პოპარტში „ტრიპტიხში" გამოვხატე"...

„ტრიპტიხი" – პირველი ნაწილი: მაცხოვარი ძეწნის გვირგვინით, გოლგოთა, მისი მისტერია მისტერიის სიმძაფრეს კედელზე დამჩნეული ჩრდილება გამოხატავს; მეორე ნაწილი: კრეტსაბმლის გაწყვეტა – უნარი, თავი დავაღწიოთ ცოდვებს და დავიმკვიდროთ ცათა სასუფეველი... მესამე ნაწილი: ზეციურთან მიახლოება.

მანანა ღვთისიაშვილი, როგორც ვთქვით, ვარაზის სიცოცხლეშივე ხატავდა, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მისთვის მხატვრობა ტკივილის დამაყუჩებლად გადაიქცა. მანანას ნახატები მონატრებაა ავთო ვარაზისა და მისი ნამუშევრების. მოენატრება „თეთრი ქალი", რომელიც საზღვარგარეთ არის გატანილი და ქმნის მის ასლს, მოენატრება „წაქცეული ვიოლინო" და ქმნის „ვიოლინოების სასაფლაოს".

აი, ვარაზის „თეთრი თევზის" ასოციაციით შექმნილი პოპარტი: „თევზი".

მანანა ღვთისიაშვილი: „თეთრი თევზი" ვინმე ხახანაშვილმა გაიტანა საზღვარგარეთ და მერე ამერიკის მუზეუმს მიჰყიდა მეტად სავალალო მდგომარეობაში – იმ თეთრი თევზის ნაცვლად რაღაც საშინელება იყო მიწებებული. მე ეს მუზეუმის კატალოგში ვნახე და გული კინაღამ შემიღონდა. ავტეხე განგაში. ნამუშევარი აღადგინეს შეძლებისდაგვარად. ამ ამბის ასოციაციით შევქმენი „თევზი"... თევზი ხომ მაცხოვარია და მერე როგორი მორწმუნე იყო ავთო...

საერთოდ, მანანა ღვთისიაშვილის ღელვის მუდმივი საგანია ვარაზის ნამუშევრების აღგილ-სამყოფელის დაფიქსირება, ეს კი ძალიან ძნელია, ღმერთმა უწყის, სად არის მიმობნეული მრავალი მათგანი. ყოფილა შემთხვევა, ვიღაცას მხატვრის სახელით მიუყიდნია საკუთარი ნაცოდვილარი. ვარაზის ნამუშევრების ღირებულებას ხომ მრავალნულოვანი ციფრები გამოხატავს...

რა უცნაურად აეწყო ყველაფერი... ვარაზს სიცოცხლეში არ ღირსებია პერსონალური გამოფენა – ერთხელ დააპირა, მხოლოდ ერთხელ მხატვარ ღოლბარიანის ბინაში და მოვიდნენ „იქიდან", საიდანაც მოელოდნენ ჭეშმარიტების დასათრგუნავად და სულ თითის ქნევით დატუქსეს. შენაო, – უთხრეს, – ასეთი მამის შვილი, არა გრცხვენია, რაებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯღაბნი. წესიერ საქმეს ვერ მოკიდებ ხელსო? ეს იყო და ეს, არასოდეს გასჩენია სურვილი გამოფენის მოწყობისა, თუმცა ელენე ახვლედიანი ეხვეწებოდა და საკუთარ დარბაზს უთმობდა... ამაყი იყო (გავიხსენოთ, რატომ თქვა უარი ვიოლინოს დაკვრაზე), ძალიან ამაყი... ისე სხვათაშორის, არც არასდროს დაუკრავს მას მერე ვიოლინო, სამაგიეროდ ქმნიდა „ვიოლინოების სერიას“ და კიდევ, როცა ძალიან ხალისიან გუნებაზე იყო, თავისიანების (მსოფლიო მაყურებელის) წინაშე წარდგებოდა ავთო ვარაზი (პაგანინი) ვითომდა ვიოლინოთი და აგიჟებდა მსმენელს ვირტუოზული დაკვრით და მერე აპლოდისმენტებს ცრემლმორეული და აღტაცებული მძაფრი ჟესტიკულაციის გამოხატვით ღებულობდა. ნამდვილი მარსელ მარსო იყო, – ეღიმება მანანა ღვთისიაშვილს.

„ჩვენ, 25 ოქტომბერს დაბადებულნი“... ამას ხშირად ამბობდა თურმე ვარაზი და იმ მეორეში პიკასოს გულისხმობდა. ამ ფრაზით გამოხატული იყო მძაფრი თვითირონია და დიდი სიამაყეც...

ერთში კი ნამდვილად ჰქონდა ბედი, ღმერთმა მანანა ღვთისიაშვილი რომ შეახვედრა მეუღლედ – მისი ნიჭიერების მოთაყვანე, მისი უთავბოლოდ „გადაყრილი აზრების“ მომპოვებელი და მომწესრიგებელი.

„გადაყრილი აზრები“ შემთხვევით არ მითქვამს – ვარაზს სჩვეოდა ასე, თავის ნააზრევსა და ნაფიქრალს მიაწერდა ქაღალდის ნაგლეჯსა თუ პაპიროსის კოლოფზე, ხშირად ასანთის კოლოფზეც და მორჩა, ივიწყებდა მის არსებობას. მანანა კი აგროვებდა, აწესრიგებდა და დღეს რომ გამოსაცემადაა წიგნი „ავთო ვარაზი“ გამზადებული, სწორედ ამ „აზრებითაა“ შედგენილი და იგი ლურჯი ფერით გამოიხატება, ხოლო წითელით – მანანა ღვთისიაშვილის განმარტებანი, თუ როდის, სად და რატომ დაიწერა იგი. საოცარი აზრებია, საოცარი განმარტებანი... სათუო მხოლოდ ეს არის – როდის იხილავს ეს წიგნი სამზეოს? მოგეხსენებათ, წიგნის გამოცემას რა თანხები სჭირდება.

კიდევ მეორე სათუო – როდის ეღირსება ვარაზის შემოქმედების ნაყოფს მოწესრიგება? მისი თითქმის მთელ საქართველოში გაბნეული ნამუშევრები საზღვრებს გარეთ უთავბოლოდ იყიდება და საჩუქრდება.

კიდევ მესამე სათუო – როდის ეღირსება ქართულ პასიონს გამოცემა? ეს ხომ დიდი აღმოჩენაა, ქართველთათვის მეტად საამაყო...

ჰოდა, ასეთი მრავალი „სათუოები“ მწკრივად ლაგდება, ჭეშმარიტი ხელოვნება კი ჯერჯერობით კვლავ დაუცველია და...

**მანანა ზარიძე**

# გადაუდებელი პოსტკოიტალური კონტრაცეფცია

თანამედროვე მედიცინის პრიორიტეტული მიმართულებაა დედისა და ბავშვის ჯანმრთელობა. ამ პრობლემის გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა აქვს შობადობის რეგულაციას და ოჯახის დაგეგმვას. დღეისათვის არსებული შობადობის რეგულაციის თითქმის ყველა თანამედროვე მეთოდი მეტნაკლები პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში.

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მეტად გამოიყენება პოსტკოიტალური ანუ გადაუდებელი კონტრაცეფცია, რაც სქესობრივი კონტაქტის შემდეგ კონტრაცეფციული საშუალების ერთჯერად გამოყენებას გულისხმობს. დადგენილია, რომ დაუცველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ, მენსტრუალური ციკლის განმავლობაში, დაორსულების პროცენტი 0-26 პროცენტის ფერგლებში მერყეობს, ხოლო ციკლის შუაში – 7-30 პროცენტის ფარგლებში.

პოსტკოიტალური საშუალებების ხმარება მიზანშეწონილია იმ ქალებისათვის, რომლებიც არარეგულარულ სქესობრივ ცხოვრებას ეწევიან, სქესობრივი კონტაქტები მათთვის იშვიათ ხასიათს ატარებს და ორგანიზმის გადატვირთვა ჩასახვისსაწინააღმდეგო ყოველდღიური აბებით მიზანშეწონილი არ არის. ეს მეთოდი შეიძლება გამოიყენონ ქალებმა, რომლებიც არასასურველი ორსულობისაგან თავს ე.წ. კალენდარული მეთოდით იცავენ, მაგრამ გარემოებათა გამო, დაარღვიეს იგი და დაუცველი კონტაქტი ჰქონდათ დაორსულებისათვის საშიშ დღეებში; მათ, ვინც თავს იცავს კონდომის (პრეზერვატივის) საშუალებით, მაგრამ იგი დაზიანდა და ბოლოს, ეს არის ერთადერთი საშუალება იმ ქალებისათვის, ვისზედაც ძალა იხმარეს. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში პაციენტმა უნდა მიიღოს რომელიმე პოსტკოიტალური პრეპარატი.

ამისათვის არსებობს სხვადასხვა პრეპარატები, რომლებიც ერთმანეთისგან მიღების წესითა და შესაძლო გვერდითი მოვლენებით განსხვავდება. ამიტომ მათი შერჩევა და მიღება უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, ექიმთან კონსულტაციის შემდეგ. ადრე ჩვენთან გავრცელებული იყო უნგრული პრეპარატი პოსტინორი, რომლის მიღებაც შემდეგნაირად ხდებოდა: პაციენტი პრეპარატის ერთ აბს იღებდა უშუალოდ სქესობრივი კონტაქტიდან ერთი საათის მანძილზე, განმეორებითი კონტაქტის შემთხვევაში კი მეორე აბს – 3 საათის განმავლობაში. პრეპარატი ხასიათდებოდა გვერდითი მოვლენებით, რომელთა შორის ყველაზე მეტად გამოხატული იყო გულისრევის შეგრძნება, ღებინება, იშვიათ შემთხვევაში მენსტრუალური ციკლის დარღვევა.

ამჟამად ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტში წარმატებით გამოიყენება ფრანგი მეცნიერის ე. ბოლიოს მიერ სინთეზირებული ახალი პრეპარატი RU-486, რომელიც ქირურგიული აბორტის ალტერნატიულ საშუალებასაც წარმოადგენს. პრეპარატს ფართოდ იყენებენ საფრანგეთში, ინგლისში, სკანდინავიის ქვეყნებში, ჩინეთსა და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან პრეპარატის გამოკვლევა და მოხმარება პირველად სწორედ საქართველოში დაიწყო და ამჟამად მისი გამოყენების საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება გვაქვს. მსოფლიოს ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, ჟორდანიას ინსტიტუტის ბაზაზე, წარმატებით განხორციელდა ხუთი საერთაშორისო პროექტი, რომლებიც აღნიშნულ პრეპარატს შეეხებოდა. ამჟამად მიმდინარეობს მეექვსე პროექტი და იგი პოსტკოიტალურ კონტრაცეფციას ეხება. თავისი ანალოგებისაგან განსხვავებით პრეპარატს ბევრი უპირატესობა აქვს: მისი მიღება შეიძლება სქესობრივი კონტაქტიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა ანუ 120 საათის განმავლობაში, რაც საშუალებას აძლევს პაციენტს, კიდევ ერთხელ დაფიქრდეს, საერთოდ მიიღოს თუ არა პროფილაქტიკური საშუალება. პრეპარატის მიღება შეიძლება ექიმთან სათანადო კონსულტაციის შემდეგ, რაც შეეხება გვერდით მოვლენებს – მათი რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი და პაციენტებს არ აღენიშნებათ გულისრევის შეგრძნება, ღებინება, მენსტრუალური ციკლის დარღვევები.

პოსტკოიტალური კონტრაცეფცია სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოში, რადგან საკმაოდ მაღალეფექტური მეთოდია და თავისი კონტინგენტი ჰყავს.

პრეპარატის შერჩევა და მიღება, ისევე, როგორც სხვა კონტრაცეფციული საშუალებებისა, უნდა მოხდეს ექიმთან კონსულტაციის საფუძველზე, რითაც მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ყველა არასასურველი გვერდითი მოვლენა.

**პაატა მაჭავარიანი,**
**თამარ წერეთელი,**
ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ
ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტში

# უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, საიმედოდ

## გინეკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკის და ქირურგიული მკურნალობის სიახლენი

უშვილობის დიაგნოსტიკისა და მისი გამომწვევი რეპროდუქციული და გინეკოლოგიური დაავადებების მკურნალობისათვის დღეისათვის ფასდაუდებელია ენდოსკოპიური ქირურგია.

სპეციალური გამანათებელი ხელსაწყოს გამოყენებით მუცლის ღრუს დათვალიერების იდეა ჩვენი საუკუნის დასაწყისში გაჩნდა, ხოლო ბოლო 20 წლის განმავლობაში მისი განსაკუთრებით სწრაფი განვითარება ბოჭკოვანი ოპტიკის შექმნასთანაა დაკავშირებული.

საქართველოში ლაპაროსკოპიას განვითარებას 80-იანი წლების დასაწყისიდან ჩაეყარა საფუძველი, მეთოდი მეტად პოპულარული გახდა და რამდენიმე კლინიკაში მისი გამოყენებაც დაიწყო, თუმცა გინეკოლოგიაში მისი დანერგვა ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის პრიორიტეტია და პროფესორების ა. ხომასურიძისა და ე. ვეინბერგის სახელებთანაა დაკავშირებული. სადიაგნოსტიკო ლაპაროსკოპია 1986 წლიდან ფართოდ გამოიყენება აღნიშნულ კლინიკაში, როგორც უნაყოფობის სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდი. აქ ოპერაციათა 80 პროცენტზე მეტი ლაპაროსკოპიულად კეთდება და ამჟამად 6000-ზე მეტი ოპერაციაა შესრულებული.

ლაპაროსკოპიასთან ერთად, გინეკოლოგიურ და რეპროდუქტოლოგიურ პრაქტიკაში დიდი როლი ენიჭება ჰისტეროსკოპიას, რაც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვანი გადიდებით დათვალიერდეს საშვილოსნოს ღრუ, ხოლო ვიდეომონიტორის გამოყენება არა მარტო ზრდის დიაგნოსტიკის ხარისხს, არამედ შესაძლებელს ხდის ისეთი ქირურგიული მანიპულაციების ჩატარებას, როგორიცაა: პოლიპის მოკვეთა, სუბმუკოზური მიომატოზური კვანძების მოკვეთა, შეხორცებების გაკვეთა, უცხო სხეულის გამოღება, საშვილოსნოსშიდა ტიხარის გაკვეთა, საშვილოსნოს ლორწოვანის მოკვეთა.

ი. ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტის კლინიკაში სადიაგნოსტიკო ჰისტეროსკოპია წარმატებით გამოიყენება 1986 წლიდან და დღეისათვის 5000-მდე ოპერაციაა შესრულებული.

ენდოსკოპიური ქირურგიის შესაძლებლობანი დღითიდღე იზრდება და ამჟამად განვითარების ზღვრად აღარ ითვლება ისეთი ოპერაციები, როგორიცაა ჰისტერექტომია, ლიმფადენექტომია ან სხვადასხვა სახის პლასტიკური ოპერაციები, შესამჩნევია ლაპაროსკოპიული ჩარევის მოცულობისა და ჩვენებების გაფართოების ტენდენციაც, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო საინტერესო ხდის ენდოსკოპიის ამოუწურავ შესაძლებლობებს.

უფრო დაწვრილებით ლაპაროსკოპიისა და ჰისტეროსკოპიის თაობაზე:

**ლაპაროსკოპია** ისეთ ენდოსკოპიურ მეთოდს წარმოადგენს, როდესაც ოპტიკური სისტემის (ლაპაროსკოპის), ტელე-ვიდეო აპარატურისა და სპეციალური ინსტრუმენტების საშუალებით, ოპერაცია მუცლის ღრუს გაუხსნელად კეთდება. ამისათვის მუცლის წინა კედელზე კეთდება 0,5 და 1სმ ზომის 3 ნაჩხვლეტი, რომლებიც არ იწვევენ კუნთოვანი ქსოვილის ტრავმირებას და ამიტომაც პაციენტი ოპერაციის შემდეგ გაცილებით ნაკლებ ტკივილს გრძნობს, ძალიან მალე უბრუნდება ცხოვრების ნორმალურ რიტმს.

მუცლის წინა კედლის გახვრეტა სპეციალური მილის – ტროაკარის მეშვეობით ხდება, რომლითაც მუცლის ღრუში ლაპაროსკოპი შეჰყავთ. ლაპაროსკოპთან მიერთებულია სინათლის წყარო და ვიდეოკამერა. გამოსახულება ვიდეომონიტორზე გამოდის. დამატებითი ტროაკარების მეშვეობით მუცელში შეჰყავთ სპეციალური ქირურგიული ინსტრუმენტები (მაკრატელი, დანა, დამჭერები და სხვ.). ქირურგის მიერ წარმოებული ოპერაცია ვიდეომონიტორის ეკრანზე კონტროლდება და ვიდეოფირზე იწერება.

ოპერაცია ნარკოზის ქვეშ კეთდება და მისი ხანგრძლიობა არ აღემატება ჩვეულებრივი ოპერაციების ხანგრძლივობას. როგორც წესი, პაციენტი ოპერაციის მეორე დღიდანვე თავისუფლად დადის, არ აწუხებს ტკივილები და მეორე-მესამე დღესვე შესაძლებელია მისი კლინიკიდან გაწერა.

**ჰისტეროსკოპია** – საშოს მხრიდან საშვილოსნოს ყელის გავლით საშვილოსნოს ღრუს დათვალიერებაა სპეციალური ოპტიკური ხელსაწყოს – ჰისტეროსკოპის მეშვეობით. როგორც ლაპაროსკოპიის დროს, აქაც გამოსახულება ტელეეკრანზე მიიღება. ჰისტეროსკოპიის ჩატარება ამბულატორიულადაც შესაძლებელია და პაციენტი ცხოვრების ჩვეულ რიტმს უმოკლეს დროში უბრუნდება.

ლაპაროსკოპიის შესაძლებლობები რეპროდუქტოლოგიასა და გინეკოლოგიაში განუსაზღვრელია და შესაძლებელია პრაქტიკულად ყველა იმ ოპერაციის შესრულება, რომლებიც სრულდება ტრადიციული გაკვეთით ანუ ლაპაროტომიული წესით. ის გამოიყენება ისეთი დაავადებების სადიაგნოსტიკოდ და სამკურნალოდ, როგორებიცაა: უშვილობა, საკვერცხის კისტები, ენდომეტრიოზი, საშვილოსნოს ფიბრომიომა, საკვერცხეების პოლიკისტოზი, კვერცხსავალი მილების გაუვალობა, შეხორცებითი პროცესი მუცლისა და მენჯის ღრუში, საშვილოსნოსგარე ორსულობა, გაურკვეველი გენეზის ტკივილი მენჯის ღრუში. ენდომეტრიუმის პოლიპი, უცხო სხეული საშვილოსნოს ღრუში, სისხლდენები საშვილოსნოს ღრუდან. გარდა ამისა, შესაძლებელია კვერცხსავალი გზების მექანიკური დახშობა ქირურგიული კონტრაცეფციის მიზნით, რაც დღეისათვის ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული მეთოდია არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად.

ლაპაროსკოპიული ოპერაციების უპირატესობა ისაა, რომ ამ დროს არ გამოიყენება ტრადიციული ქირურგიისათვის დამახასიათებელი დიდი განაკვეთი, რაც ტრავმას აყენებს კუნთოვან ქსოვილს, პაციენტს არ აწუხებს ჭრილობის შეხორცებასთან დაკავშირებული ტკივილი, რაც თავიდან გვაცილებს ძლიერი გამაუტკივარებელი პრეპარატების, ზოგჯერ ნარკოტიკული საშუალებების დანიშვნის აუცილებლობას, სტაციონარში ყოფნის დრო შემცირებულია მინიმუმამდე, ცხოვრების ნორმალურ რიტმში დაბრუნება შესაძლებელია გაცილებით სწრაფად, პაციენტს არ რჩება ოპერაციისშემდგომი ნაწიბური და მასთან დაკავშირებული კოსმეტიკური დეფექტი, შესაძლებელია ისეთი დაავადებების აღმოჩენა და მკურნალობა, რომლისთვისაც ლაპაროტომიული მიდგომა არ გამოიყენება (მაგ. უშვილობის გამომწვევი პათოლოგიები).

ლაპაროსკოპიული ქირურგიის გამოყენებით თქვენი დაავადების მკურნალობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ კითხვაზე ამომწურავი პასუხის მისაღებად უნდა მიმართოთ ექიმ-სპეციალისტს, რომელიც უშუალოდ ფლობს ენდოსკოპიური ოპერაციების ტექნიკას.

ჩვენ კი გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ, უახლესი ტექნოლოგიის ოპერაციულ მკურნალობას თქვენთვის მომგებიანი ეკონომიური ეფექტით.

**არსენ გვენეტაძე,**
მედ. მეცნ. კანდიდატი, სპეციალისტი
ენდოსკოპიური ქირურგიის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „დილა“ – 95

*ჟურნალ „დილას“ – დიდებისა და პატარებისათვის ერთნაირად საყვარელ, თვალხატულა ჟურნალს დიდებული საიუბილეო თარიღი – **95** წელი შეუსრულდა.*

*„საქართველოს ქალი“ – თქვენი ნორჩი მკითხველების დედებისა და ბებიების სახელით გილოცავთ სასახელო თარიღს. გვიხარია, რომ აყვავებულს და დამშვენებულს გხედავთ.*

*ილხინეთ და იხარეთ!*

**გუგული ტოგონიძე**

## ირემი

ირემს რქები ზურგზე გადაეყარა, თავი წინ გაეშვირა და გარბოდა.

– საით, ხომ ხედავ, ამოვედი! – წამოსძახა მთის წვერზე შემოსკუპებულმა მზემ და ქორბუდა თავის სხივებში გაახვია.

– მზეო, გამიშვი, მომდევენ. წუთიც და წამომეწევიან.

– მონადირეები?

– ირემს მოსდევენ, ირემს! ვუშველოთ! – აკრიახდნენ შაშვები, კაჭკაჭები, აწრიპინდნენ ბოლოქანქარები. ააბათქუნეს ფრთები, აატკაცუნეს. ნისკარტები ააჭახუნეს.

– იჰ, გაჩერდით ერთი, – დასჩხავლა ყვავმა, – თქვენ რა შეგიძლიათ ნეტავ?

– არ არაფერი – საცოდავად ჩამოუშვა ფრთები არწივმა. ადამიანი მოსდევს...

– რით, რით ვუშველოთ? – აშრიალდნენ ფოთლები იფნარში. ფშანში ირემმა გაიშლიგინა! შეტოკდნენ შამბნი და მაყვალნი. ბალახებში ჩაძინებული ნამი ძირს ცვიოდა და წითლად იფერებოდა. ნაძვებს თათებივით გამოეშვირათ ტოტები. თითქოს გულში უნდოდათ ჩაეკრათ დევნილი ირემი.

კოკროჭინა გირჩები ღელავდნენ, ტოტებზე ქანაობდნენ.

– ირემო, ჩქარა! ჩქარა! თორემ წამოგეწევიან...

– ნეტავ დაიფაროს ვინმემ, – ინატრა ნიბლიამ.

– მაინც ვინ, ვინ გადაარჩენს? – აწრიპინდა წივწივა.

მირბოდა დაჭრილი ირემი. აი, ტყე დაილია. მერე საურმე გზა გამოჩნდა. ირემი ამ გზას დაადგა. გეზი სოფლისაკენ აიღო. გული აუფართქალდა. წუთით მოეჩვენა, რომ გაუჩერდა, თვალებზე რაღაც გადაეფარა, მთელი ტანით აძაგძაგდა. ის იყო, ღონე მიხდილი უნდა ჩაჩოქილიყო, რომ სოფელი გამოჩნდა.

– ადამიანებთან მოვსულვარ უკვე... სოფელში... – გაიხარა ირემმა, თვალებიდან ბურუსი გადაეცალა და იმედის ცრემლი მოადგა.

**ვანო ჩხიკვაძე**

## კიჭი

დაიტანჯა ბიჭი –
არ ამოდის კიჭი.
შე ოხერო კიჭო,
ამოხვიდე, გიჯობს!
ასლუკუნდა კიჭი.
– ამოძრომა მიჭირს.
ჯერ მოიცა, კიჭო,
რომ მოთქვამს და ტირის,
როგორ გამტვრევინოს
კაკალი და თხილი.
ვერ ისვენებს ბიჭი,
არ ამოსდის კიჭი.

**ნოდარ შამანაძე**

## კურდღელი და კენგურუ

– კენგურუ, ჩანთა მათხოვე,
სკოლაში მიმყავს ბაჭია.
– თუმცა დასავით მიყვარხარ,
სალაპარაკო არცკია, –
რა ვუყო, როგორ გათხოვო,
შიგ მიზის შვილი პაწია.

**ნარგიზა მგელაძე**

## დათუნიას განცხადება

დათუნიამ განცხადება
გააჭრელა სამ ფურცელზე:
„გთხოვთ დამნიშნოთ ტყის მეფუტკრედ
განცხადების საფუძველზე
აღშფოთება მაწუხებს და
არ დავმალავ, სწორად არ ვთვლი,
როცა ასე უპატრონოდ
იკარგება ქვეყნის თაფლი.
გასამრჯელოს არ მოვითხოვ,
ქვეყნისაგან ამ ამაგზე,
უანგაროდ ვიმსახურებ
დათუნია აჩბაჩაძე“.

**მერი ბოლქვაძე**

## პატარა ღრუბელი

დაღვრემილი, მოქუფრული. –
გათხუპნული, თითქოს მურით...
უჰ, რას ჰგავდა.
ცას ღრუბელი გამობრძანდა:
არც აილო, არც დაილო,
თუმცა ერთი ციცქნა იყო,
იმხელაზე იგრიალა,
გული გადაგვიტრიალა.

**ლინა ბარათაშვილი**

## მზე ხატავდა საქართველოს

ღვთისმშობელის კალთისქვეშ,
სიყვარულით უთქმელით
მზე ხატავდა საქართველოს
ვარდისფერი ფუნჯებით...
შლიდნენ სურათს არაბები,
ყრუები და გურჯები!..
მზე ხატავდა მერე ისევ
ვარდისფერი ფუნჯებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ყველაფერი მეხერხება ფულის კეთების გარდა“...



ბადრი გაგნიძე

გჯერათ ბედისწერის? მე მჯერა. ან კი როგორ არ მჯეროდეს...

მათ ბედნიერებას წინ თითქოს არაფერი ეღობებოდა. დღე-დღეზე უნდა დაქორწინებულიყვნენ. დიახ, თითქოს... ომი. მილიონობით ადამიანის დამსხვრეული ცხოვრება. ლოდინი, თეთრად გათენებული ღამეები და პატარა სამკუთხა ბარათები, უხილავ სიმებად გაბმული შეყვარებულებს შორის. „ის დაბრუნდება“, – ლოცვასავით იმეორებდა გოგონა. სხვა რამეზე ფიქრი უკვე აღარ შეეძლო. იმ დღესაც ფიქრებში ჩაფლული მიაბიჯებდა ქუჩაში. უცებ... მუხრუჭების ღრჭიალი, აუტანელი ტკივილი და რამდენიმე დღე სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. გოგონას მოჭრილი ფეხი აივანზე გაიტანეს, რომ შემდეგ ქალიშვილთან და მის ოცნებებთან ერთად დაესამარებინათ. ტკივილი, სიცარიელე, და თავზე დანგრეული ყველა იმედი.

ვაჟი კი, ტყვედჩავარდნილი, შორს იტანჯებოდა. რაღაც ცუდს უგრძნობდა გული – „ალბათ გათხოვდა“, – ფიქრობდა მწარედ...

დამთავრდა ომი. სადგურში ვაჟი ამაოდ ეძებდა შეყვარებულის თვალებს ახლობლებს შორის. შემდეგ... მოკლედ გეტყვით იმას, რაც მხოლოდ რომანებში და ფილმებში არ ხდება თურმე... შეყვარებულები დაქორწინდნენ. მათი სიყვარულის გამოცდა ამით არ დამთავრებულა. მკვდრადშობილი პირმშო და ახალი გოლგოთას გზა. ტყვედყოფილები ყაზახეთში გადაასახლეს, ფეხმძიმე ცოლი თან გაჰყვა ქმარს. საქართველოში ბუთხუზა ბიჭთან ერთად დაბრუნდნენ. წლები მალე გაფრინდა. ბადრი გაგნიძე თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. ჯგუფში ბადრისთან ერთად ლამაზი გოგონა სწავლობდა. თინათინ ჯაფარიძე, თინიკო, თინკა... ერთი დანახვით არ შეყვარებიათ ერთმანეთი. სიყვარული მოგვიანებით ეწვიათ და დღეს, წყნეთში მაღლობზე მდგარ სახლში, წყნეთელები მხატვრის სახლს რომ ეძახიან, ლამაზი, ტრადიციული ქართული ოჯახი ცხოვრობს.

– პირველ კურსზე ჯგუფხელად ამირჩიეს, – იხსენებს ბადრი. – შაბათობაზე ჯგუფელებს ვუბრძანე, დააკრიალეთ ყველაფერი, მე ვერ დავრჩები-მეთქი. თინიკო ბუნებით სიმართლისმაძიებელია და რომ იტყვიან, გამაშავა.

– იმ დღეს ისე გავბრაზდი, აკადემიიდან გამოსულს მანქანა კინაღამ დამეჯახა, – გაცხარდა თინიკო.

**– რაში ჰგავხართ ერთმანეთს და რაში არა?**

– ბადრის კამათი უყვარს, მე – არა. ბადრის პატიება არ შეუძლია, მე – მიმტევებელი ბუნების ვარ. ერთ რამეში კი უდავოდ ვგავართ ერთმანეთს, – ამბობს თინიკო. – საშინლად არაპრაქტიკულები ვართ. სამწუხაროდ, თემურიც ჩვენ დაგვემსგავსა.

– მართალია, ყველაფერი მეხერხება ფულის კეთების გარდა, – ეთანხმება მეუღლეს ბადრი.

**– გავიგე, ანტიკვარული როიალი გიჩუქებიათ ახლობლისათვის...**

– კი, ასეთი რამეებიც ხდება ჩვენს ცხოვრებაში, – ეღიმებათ. – მას ჩვენზე მეტად ჭირდებოდა...

**– ამბობენ, მხატვრები თავისებურები არიანო. რაში გამოიხატება ეს თავისებურება?**

– მე მგონი არავითარი თავისებურება არ არსებობს, – აუფერულებს კითხვას ბადრი, – სხვათა შორის, მხატვარიც ადამიანია და მასაც აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები.

– მე კი მგონია, რომ ეს თავისებურება ყველაფრის თავისებურ, ორიგინალურ აღქმაში გამოიხატება. ჩემი მხატვრობა ქმარ-შვილს შევწირე. დიდი ხანია თითქმის აღარ ვხატავ. ჩემს ოჯახს წლობით



ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის მოთხრობისთვის „კაცია ადამიანი.“





21.308

სხვადასხვა ქვეყანაში უხდებოდა ცხოვრება. მახსოვს, ქაიროს ხმაურიან ბაზარში ისე შემეშინდა, დედას ჩავეხუტე და ტირილი დავიწყე: ჩქარა, თბილისში ჩემს სახლში წამიყვანე-მეთქი. მრავალფეროვან, კოლორიტულ გარემოში დავიბადე და შემიძლია ვთქვა, რომ შემდგომშიც გამიმართლა, ბადრის რომ შევხვდი და მისი მეუღლე გავხდი.

ჩემგან უხერხულია ამის თქმა, მაგრამ იგი მართლაც ნიჭიერი, მრავალმხრივი და ნაყოფიერი შემოქმედია. სწორედ მისი ტალანტის გამოა, რაც უარყოფითი აქვს ვაპატიე და ახლაც ვპატიობ. ყველა ნახატს როგორც შვილს, ისე უყურებს. ძალიან უჭირს მათთან განშორება, მტკივნეულად განიცდის თითოეული ნამუშევრის სახლიდან გატანას.

– დღეს ხელოვანი, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მხატვრები არავის ჭირდება, – საუბარში ერევა ბადრი, – ძალიან ცოტაა ხელოვნების დამფასებელი და მეც გარანტია არ მაქვს, რომ ჩემი ნახატი ისეთი ადამიანის ხელში მოხვდება, რომელიც ერკვევა, აფასებს მხატვრობას.

სამწუხაროდ, მხატვრობით ოჯახი უნდა ვარჩინო. ნახატებს ვყიდი და თითოეულ მათგანს ჩემი სულის ნაწილი თან მიჰყვება.

რამდენი ნიჭიერი მხატვარი უკვალოდ დაიკარგა და დღესაც იკარგება. მე თუ ჩემი სახე შევინარჩუნე და რაღაც შემიქმნია ღირებული, ჩემი პედაგოგების სერგო ქობულაძის და ლადო გრიგოლიას დამსახურებაა, რომლებსაც ღმერთკაცებთან ვაიგივებდი. ყველა ადამიანი თავის მწვერვალთან უნდა მივიდეს. დიდი ადამიანები მწვერვალის აღმოჩენაში და დაპყრობაში გვეხმარებიან.

**– თქვენი მწვერვალი აღმოაჩინეთ?**

– მხატვრობა ისეთი რამ არის, რომ მთელი ცხოვრება უნდა იარო შენი მწვერვალისაკენ. ვფიქრობ, მწვერვალზე ასვლა შეუძლებელია. თუ ადამიანი ჩათვლის, რომ მან უკვე მიაღწია მწვერვალს, მაშინ ალბათ თავი უნდა მოიკლას. გასათვალისწინებელია შიშის მომენტიც. როცა რაღაცას კარგს შექმნი, შემდეგ შეიძლება შიშიც გაჩნდეს, ვაითუ უკეთესი ველარ გავაკეთოო.

**– ოთხმოციანელებს ეკუთვნით. რა არის ამ პერიოდის მხატვრობისათვის დამახასიათებელი?**

– მაშინ დაიმსხვრა იდეოლოგიური ბორკილები და მხატვარმაც, ბუნებრივია, თავისუფლად იგრძნო თავი. ძირითადად რელიგიური თემა წამოვიდა წინა პლანზე. ადრე კი შრომის გმირები უნდა გეხატა.

**– თქვენც ხატავდით?**

– რა თქმა უნდა და საკმაოდ კარგ გასამრჯელოსაც ვიღებდი.

**– ნახატებს რომ ვათვალიერებდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ყველა ნახატი სხვადასხვა მხატვრის დახატულია.**

– ყოველთვის ვცდილობ, ისეთი რამ გავაკეთო, რაც არ გამიკეთებია. გამეორებას არასოდეს ვცდილობ. თუმცა ხანდახან ორ-სამ ნახატზე ერთ პერიოდში ვმუშაობ და მაშინ კი შეიძლება დაემთხვეს ნახატების განწყობა ერთმანეთს. ფერწერაში ძირითადად ინტუიციას და ფანტაზიას მივყვები. ვიწყებ რაღაცას და მივდივარ სადღაც. როგორც ჯაზში, მხატვრობაშიც იმპროვიზაცია სჭარბობს.

**– პერსონალური გამოფენის მოწყობაზე არ ფიქრობთ?**

– სერგო ქობულაძე ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, პერსონალური გამოფენა არ ჰქონია. მხატვარს ბევრი და ღირებული უნდა ჰქონდეს გაკეთებული, რომ ფართო სამსჯავროს წინაშე წარადგინოს თავისი შემოქმედება. მე ჯერ სანახევროდაც არ მითქვამს ჩემი სათქმელი.

გამოფენებში კი ხშირად ვიღებ მონაწილეობას, საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. ჩემი ტილოები გამოფენილი იყო რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის, ჩეხოსლოვაკიის საგამოფენო დარბაზებში. რამდენიმე ნამუშევარი საზღვარგარეთაც გაიყიდა.

– საზღვარგარეთიდან ყოველთვის მაღალი შეფასება მოდის, – ჩაერია საუბარში თინიკო, რომელიც დროდადრო საოჯახო საქმეებს მიუბრუნდება. – ბადრი ბევრს მუშაობს ფერწერაში, გრაფიკაში, ქანდაკებაში. გაფორმებული აქვს მრავალი წიგნი, 100-ზე მეტი ფირფიტა. შრომისმოყვარეა, შეუძლებელია მან რაიმე „გაახალტუროს", თუნდაც უბრალო საფირმო ნიშანზე მუშაობდეს. მაქსიმალურად იხარჯება. ერთ დროს ლექსებსაც კი წერდა. მაგრამ შემდეგ ყველა ლექსი დახია. ერთი გადარჩა მხოლოდ, ისიც იმიტომ, რომ ნახატზეა მიწერილი და ნახატი ვერ გაიმეტა.

**– ბადრი, რამდენიმე ნახატი კორიდის თემაზე გაქვთ შექმნილი.**

– ამ თემაზე ხუთი ნახატი და ორი ქანდაკება მაქვს შექმნილი. კორიდა მსხვერპლთშეწირვას მაგონებს. მსხვერპლად მესახება ხარიც და მასთან მორკინალი ტორეადორიც. ჩემი ნამუშევრები ერთგვარი სიმბოლური პროტესტია ძალადობის, ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის წინააღმდეგ. ბუნებასთან ჭიდილი უაზრობაა, რადგან ადამიანი ბუნების განუყოფელი ნაწილია.

**– ალბათ ბუნებასთან სიახლოვის გამო გადმოხვედით თბილისიდან წყნეთში. არ ნანობთ?**

– ნამდვილად არა. როცა ეზოში შემოვდივარ, თითქოს ტვირთი მეხსნება მხრებიდან. აქ ისეთი სილამაზე, სიმშვიდე და ფერებია... ჩვენმა ძაღლმაც კი აქ იგრძნო თავი ძაღლად. ყეფა და ღრენა დაიწყო. ავი ძაღლის იმიჯი შეიქმნა.

– ყველაფერი ღვთის ნებით ხდება. ჩვენი წყნეთში დასახლებაც უფლის ნებით მოხდა. პრობლემები ყოველთვის იყო და იქნება. მთავარია, ადამიანმა შეძლოს იმით დაკმაყოფილება, რაც აბადია. საკუთარ თავთან ბრძოლა ყველაზე დიდი და მძიმე ბრძოლაა. ცხოვრება სიკეთით უნდა გავილამაზოთ და ღმერთს მივუძღვნათ. როცა ჭეშმარიტების გზაზე დავდგებით, მაშინ უფალიც მოგვხედავს! – ეს უკვე თინიკოს აზრია.

P.S. სახელოსნოში ჩემი ყურადღება ერთმა ნატურმორტმა მიიპყრო. იმდენად მაღალოსტატობით იყო შესრულებული, რომ ბუნებრივია, ბადრის ნამუშევრად ჩავთვალე. „ეს თემურის ნახატია"!, – დაუფარავი სიამაყით მითხრა თინიკომ. „ნეტა, აკადემიაში რაღა უნდა ასწავლონ", – გავიფიქრე უნებურად.

**მარინე ნაკაიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროის მოთხოვნა: ევროპული მოდელის სკოლა

## სელესტენ ფრენეს მეთოდით



სელესტენ ფრენე და მისი მეუღლე აღსაზრდელებთან

151-ე სკოლის დირექტორთან ა. ბურჭულაძესთან სკოლაში თბილისელი პედაგოგებისათვის ფრანგების მიერ მოწყობილ სტაჟირებაზე ვსაუბრობ.

...ახალი სასწავლო წლიდან 151-ე სკოლის დაწყებით კლასებში ცნობილი ფრანგი პედაგოგის და მეცნიერის სელესტენ ფრენეს მეთოდის გამოყენებით იმეცადინებენ. ფრენე დაახლოებით მაკარენკოს თანამედროვეა. ეს ორი პედაგოგი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ საბჭოთა სკოლებში მაკარენკოს მიერ აღიარებულ მკაცრ დისციპლინას, მასწავლებლისადმი მორჩილებას, მოსწავლის თავისუფლების შეზღუდვას მოითხოვდნენ, ფრენე ბავშვს ისეთსავე დამოუკიდებელ პიროვნებად თვლის, როგორც მასწავლებელს (მისი აზრით, ადამიანის უფლებები დაბადების დღიდან შეუზღუდავია). სელესტენი გაემიჯნა დესპოტიზმს, ძალდატანებას, ცინიზმს და ხელი შეუწყო ლაღი, თავისუფალი, განათლებული მოქალაქის ჩამოყალიბებას.

საფრანგეთში 300-ზე მეტი სკოლა ფრენეს მეთოდით მუშაობს, რამდენიმე ათასი პედაგოგი მისი მიმდევარია. ფრენეს საერთაშორისო ორგანიზაცია 150 ქვეყნის პედაგოგებსა და მკვლევარებს აერთიანებს. საფრანგეთის თანამედროვე პედაგოგიკის ინსტიტუტი ფრენეს პედაგოგიკის შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრია. თბილისის 151-ე სკოლა ფრენეს პირველი აღმომჩენი როდია. უფრო ადრე 23-ე, 54-ე, 87-ე სკოლებმა და ეგზიუპერის სახელობის კოლეჯმა გამოიყენეს მისი სწავლების ელემენტები, რის შედეგადაც პატარა მოქალაქეებმა თავისუფლება და დამოუკიდებლობა იგრძნეს, ადამიანების სიყვარული და თანადგომა ისწავლეს, სალი აზროვნება და არგუმენტებით მსჯელობა შეძლეს.

დამოუკიდებლად მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბება, ფრენეს აზრით, ცხოვრებასთან სკოლის სიახლოვით იწყება. ეს აუცილებელი პირობაა, რადგანაც სკოლა ცხოვრების ნაწილია. თავისუფალი სკოლის პრინციპები ცხოვრებაში მიღებულ შთაბეჭდილებებსა და ინფორმაციებს ემყარება. მოსწავლეები გარემოდან მიღებულ ფაქტებს, გაგონილს თუ ნახულს დამოუკიდებლად აფასებენ და ცხოვრებისეული მაგალითებით ავსებენ. და, როცა კლასში გულახდილად ყვებიან, რა აინტერესებთ, რაზე მუშაობენ, რას იკვლევენ, როგორ გაიმდიდრეს ცოდნა, თავიანთ აზრს დაუფარავად გამოთქვამენ და საკუთარი დასკვნები გამოაქვთ, მასწავლებელი მათ გვერდითაა, ან ემოწმება ან სწორი გზისკენ მიუთითებს, ცხოვრებისეული საკითხების გარკვევაში ეხმარება, ჭეშმარიტებისაკენ ხელჩაკიდებულნი მიდიან.

151-ე სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან თავიანთ კლასებში მეცადინეობებს ფრენეს მეთოდზე დაყრნობით ჩაატარებენ სასწავლო ნაწილის გამგე დაწყებით კლასებში, ევროპული სკოლის მოდელის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი დავით კვინიკაძე და ფრანგული ენის მასწავლებელი ნანა ჯინორიძე, რომელიც 1996 წელს მესამეკლასელებთან აკი დუნდუასთან და მარი ახვლედიანთან ერთად პარიზში იუნესკოს მიერ გამართულ ფრენეს დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე მიიწვიეს. შემდეგ ქართველი სტუმრები დამმობილებულ ქალაქ ნანტის წარმომადგენლებმა თავიანთ ქალაქში მიიპატიჟეს. საინტერესო იყო ნანტის ანჟ გეპენის სკოლაში ფრენეს მეთოდის გაცნობა.

წლეულს ფრანგმა პედაგოგებმა 151-ე სკოლაში 50 თბილისელი მასწავლებლისათვის რამდენიმედღიანი სტაჟირება მოაწყვეს.

**ნანა ჯინორიძე**: „ნანტში სტუმრობამდე ერთმანეთს მიმოწერით ვიცნობდით. ჩვენი სკოლის მოსწავლეები ანჟ გეპენის სახელმწიფო დაწყებითი სკოლის მოსწავლეებს თავიანთ ქვეყანაზე, ქალაქზე, სკოლაზე წერილობით უყვებოდნენ. ასეთივე წერილებს ნანტელებიც გვიგზავნიდნენ. ამ გაზაფხულის ღონისძიება თბილისში ფრენეს პედაგოგიკის გასაცნობად ქალაქ ნანტის ანჟ გეპენის სკოლის ინიციატივით და ატლანტიკის თანამედროვე სწავლების ინსტიტუტის მხარდაჭერით დაიგეგმა. ჩამოსულმა ფრანგმა სტუმრებმა სტაჟირება ისე მოაწყვეს, რომ ჩვენ, მასწავლებლები მოსწავლეების როლში გამოგვიყვანეს, მაგრამ ლექციები კი არ წაგვიკითხეს პედაგოგიკაში, არამედ მისი სიკეთე დაგვანახეს და განგვაცდევინეს, რამაც ჩვენი აღფრთოვანება გამოიწვია. სტაჟირების დამთავრების შემდეგ 30 წევრიანი ქართული ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელსაც 2000 წლის ზაფხულში, ავსტრიაში ფრენეს პედაგოგიკის მსოფლიო ასოციაცია თავის რიგებში მიიღებს“.

ფრენეს პედაგოგიკა სამ ძირითად საფუძველს ემყარება. პირველი: ბავშვის მიერ აზრის თავისუფლად გამოთქმას – თვითგამოხატვას, მეორე: მოსწავლეთა თანამშრომლობას ერთმანეთთან და მასწავლებელთან, მესამე: კოლექტიურ და ინდივიდუალურ სწავლებას.

ფრენეს მეთოდის მიხედვით, კლასიკური გაკვეთილი და მასალის ახსნა გაუქმებულია. ისინი შეცვლილია სრულიად ახალი ფორმით – ბავშვის აქტივობით, ძიების უნარის განვითარებით, სკოლაში ნამდვილი ცხოვრების შეყვანით, მიმოწერის კულტურით, სასარგებლო შრომითი საქმიანობით. ყოველივე ეს მიღწეულია მასწავლებლის დაუღალავი შრომით, რომელიც სახელმძღვანელოს ცვლის ბარათებით და უამრავი საინფორმაციო მასალით. მოსწავლეები სათანადო ბარათების დახმარებით ასწორებენ დაშვებულ შეცდომებს, ძლიერი მოსწავლეები ეხმარებიან სუსტებს. ყოველი მოსწავლე ვალდებულია ამომწურავად ისწავლოს მოცემული მასალა.

**დავით კვინიკაძე**: „დღევანდელი სკოლა სინამდვილეს დაშორდა და თვითდინებით ცხოვრობს. მე მაფიქრებს ექიმ-ფსიქიატრთა აზრი ბავშვებზე. ისინი თვლიან, რომ სკოლა ბავშვებს სინთეზისა და გადაწყვეტილებათა მიღების ფუნქციებს არ გამოუმუშავებს, ემოციურობასა და ქმედებას შორის კავშირს არაფრად აგდებს. ფსიქიატრები თვლიან, რომ მათთან სამკურნალოდ მისული ბავშვები უმწეონი იმიტომ არიან, რომ თავის დროზე შესაძლებლობა არ ჰქონდათ, მასწავლებლებთან ნამდვილი ჰუმანური ურთიერთობა დაემყარებინათ.

დღევანდელი სკოლა ბავშვების, საზოგადოების მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს და ისე აყალიბებდეს თავის პოლიტიკას, რომ ყველა ბავშვს შეეძლოს, მიაღწიოს თავისი პიროვნების სრულ გაფურჩქვნას“.

ამიტომაცაა პროგრესული ფრენეს სწავლების მეთოდი.

...გავა ცოტა დრო და საქართველო, როგორც დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფო, ევროკავშირში გაწევრიანდება. მაშინ ჩვენშიაც ევროპული მოდელის სკოლები მომრავლდება.

**ლია კაკაბაძე**



პარიზში ფრენესადმი მიძღვნილ ზეიმზე სიტყვას ამბობს თბილისელი პედაგოგი ნანა ჯინორიძე



# სიგარეტი

**ლუჩიო მასტრონარდი**

დაწყებით სკოლაში მეოთხე კლასს ვასწავლი. ჩემს კლასში ჩემი ერთადერთი შვილიც. საკუთარი შვილის სწავლება არც ისე ადვილია. ძალიანაც ვცდილობ, ობიექტური ვიყო და რაც ეკუთვნის ის ნიშანი დავუწერო, ძალიანაც მოვითხოვ მისგან ჩემდამი თავაზიან მოპყრობას და „თქვენობით" მომართვას, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მოსწავლეებისა და მათი მშობლების წინაშე კომედიას ვთამაშობ. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მიყვარს ჩემი სამუშაო, მაგრამ ჩემთვის ძვირფასია, რადგან მასწავლებლობა პატივსაცემი პროფესიაა. ძალიან მინდა მაფასებდნენ, დიდი ხანია შენიშნული მაქვს, ყველას, ვისაც პატარა ხელფასი აქვს, გაგიჟებულია პატივისცემით მოპყრობაზე, მასწავლებლებში კი ეს პირდაპირ კულტადაა ქცეული. მშობლების გულის მოგება ადვილია. საკმარისია მათ შვილებს მაღალი ნიშნები ჩაუწერო, შეიძლება ითქვას, რომ მათი პატივისცემა მასწავლებლისადმი პირდაპირპროპორციულია დაწერილ ნიშნებთან. გარდა ამისა, საჭიროა ცოტაოდენი თავდაჭერილობის გრძნობაც, რათა დროზე შეიკავო მთქნარება და ბოლომდე მოთმინებით მოისმინო მშობლების გაუთავებელი ტრაბახი მათი შვილების არაჩვეულებრივ ტალანტზე, და უქნიო თავი.

შედარებით ძნელია უფროსობის გულის მოგება. აი, თუნდაც ჩვენი დირექტორი ავიღოთ: ეს ქალი ძალიან ძუნწია შექებაზე. პირდაპირ ტყავიდან ვძვრები, მაგრამ ამაოდ. სკოლაში ყველაზე ადრე ვცხადდები, როგორც კი დავინახავ დირექტორს, მხედრულად ვიჯგიმები და მდაბლად ვუკრავ თავს. ხშირად ვმონაწილეობ პედაგოგთა სემინარებში, როცა რომიდან ინსპექტორი ჩამოდის ლექციების წასაკითხად. არცერთ მათგანს არ ვაცდენ, თუმცა ყოველ ჩამოსვლაზე სულ ერთსა და იმავეს იმეორებს, ლექციის დამთავრებისას კი აღტაცებით ვუკრავ ტაშს. არ ვმონაწილეობ მასწავლებელთა გაფიცვებში, რადგან ვიცი, უფროსებს ეს არ უყვართ. კლასის ჟურნალს ყოველთვის ვავსებ ლამაზი კალიგრაფიით.

დირექტორი მოწევას გვიკრძალავს. ვაი, მასწავლებლის ბრალი, თვალი თუ შეასწრო მოწევის დროს. როცა კლასში ვეწევი, შიშის ფეთება მაქვს, არ შემომისწროს, მაგრამ როგორც კი ნამწვს ფანჯარაში გადავუძახებ, ისეთი შვების გრძნობა მეუფლება, თითქოს ზურგიდან დიდი ტვირთი მომეხსნას.

ერთ დილას (ამას მშვენიერს ვერ დავარქმევდი) ჩემი მოსწავლეები თხზულებას წერდნენ. დროდადრო კმაყოფილებით გადავხედავდი სულგანაბულ კლასს და ნება-ნება ვეწეოდი სიგარეტს. ღრმად ვარტყამდი ნაფაზს, შემდეგ კვამლს რგოლებად ვუშვებდი და თვალს ვადევნებდი. ერთი სიტყვით, სრულ განცხრომაში ვიყავი. ამ დილით რატომღაც არ ვფიქრობდი იმ საშიშროებაზე, რაც ყოველ წამს მელოდა. ის იყო ფანჯრისკენ გავემართე ნამწვის გადასაგდებად, რომ ზურგს უკან დირექტორის გაავებული ხმა მომესმა:

– ვინ ეწევა აქ?

– ბატონი მაესტრო! – წამოხტა ჩემი ყველაზე ბეჯითი მოსწავლე.

– სკოლა პირდაპირ ბიწიერების ბუნაგად გადააქციეს, – აღშფოთებას ვერ მალავდა დირექტორი.

გაჯგიმული ვიდექი მის წინ, ის კი გაავებული და გაცეცხლებული სახით მიყურებდა, როგორც ჩემი სიდედრი.

უცებ მან გადაიხარხარა – პიჯაკს, პიჯაკს რას უშვებით? – სიცილისაგან იგუდებოდა დირექტორი. საქმე ის იყო, რომ დირექტორის ხმის გაგონებაზე ანთებული სიგარეტი პიჯაკში ვიტუცე.

მთელი კლასი დუმდა. უფრო სწორედ, სეირით ტკბებოდა. ჯიბიდან ნამწვი ამოვიღე, თანაც თითები დავიწვი. პიჯაკის ჯიბეზე შავად მოჩანდა ამომწვარი ადგილი.

უცებ დირექტორს კვლავ დაუბრუნდა თავისი სიმკაცრე.

– სენიორ მაესტრო! – მიყვირა მან. – კლასში სიგარეტის მოწევა არ შეიძლება. თუ მაინცდამაინც თავის შეკავება არ შეგიძლიათ, კეთილი ინებეთ და სიგარეტი ტუალეტში მოსწიეთ, ისიც შესვენებაზე.

გაკვეთილების შემდეგ სკოლიდან შვილთან ერთად გამოვედი. დუმილს არცერთი არ ვარღვევდით. დროდადრო მზერა პიჯაკზე გაჩენილ ლაქაზე გადამქონდა, მაგრამ უფრო მეტად დამწვარი თითები მაწუხებდა.

– მამა, მე არაფერს ვეტყვი არც დედას, არც ბებიას!

თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ არ ვუსმენდი. სახლს რომ მივუახლოვდით, შევჩერდით. შვილს შევხედე, სიბრალულით და დანანებით მიყურებდა. მისმა ასეთმა გამოხედვამ მოთმინებიდან გამომიყვანა, საშინლად გამაბრაზა, ვერ მოვზომე და ლოყაზე მძლავრად მოქნეული სილა გავაწანი. ბიჭი უსიტყვოდ გაბრუნდა სახლისკენ, გამწყრალი და გაავებული სახე ჰქონდა. სახლში შესვლისთანავე გავიხადე პიჯაკი. სიდედრმა თვალი შეასწრო ჯიბესთან ამომწვარ პიჯაკს და წამოიძახა:

– როგორ, ახალი პიჯაკი დაწვი? – რა თქმა უნდა, დაუწვავს, შეხედე, სარჩულიც ამომწვარი აქვს. რა მოხდა, არ იტყვი?

– მე ვიცი როგორ, – წამოიყვირა ბიჭმა ტირილით. – მამას დირექტორის შეეშინდა და ანთებული სიგარეტის ნამწვი ჯიბეში ჩაიდო!

სიდედრმა და ცოლმა ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად და თანაც კმაყოფილებით გადახედეს.

პიჯაკს სარჩული გამოვუცვალე, მაგრამ იმ დღიდან სახლში ავტორიტეტი სულმთლად დავკარგე. არაფერს მეკითხებიან.

ამ ცოტა ხნის წინათ, ოჯახისათვის რაღაც ნივთის შეძენა ზედმეტად ჩავთვალე, რაზეც სიდედრმა მწარედ გამკენწლა:

– საჭიროა დირექტორმა აუხსნას ყველაფერი! მაშინ იმ წუთშივე დაგვეთანხმება. ხომ იცი, შიშს ბევრი რამე შეუძლია...

ჩვენ დირექტორს ყოველ დილით ვხვდები სკოლის კარებთან. დიდი სიამოვნებით გავუვლიდი გვერდს სალმის უთქმელად, ზედაც არ შევხედავდი და მის წინ სიგარეტით, სიგარით ან ჩიბუხით ხელში ჩავიგრიალებდი, მაგრამ საკმარისია მივუახლოვდე, რომ მთელი ჩემი გამბედაობა თოვლივით დნება და კვლავაც ჩვეულებრივი მოწიწებით ვუკრავ თავს.

**იტალიურიდან თარგმნა ზაირა სტურუამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვის სიმფონია



## „მთელი პური პირველად 15 წლისამ ვნახე და დავხატე კიდეც“, — თქვა თელაველმა მხატვარმა ელენე ლუხუტაშვილმა

ღმერთმა უსაზღვრო შესაძლებლობები მისცა ადამიანს: ზოგს მუსიკალური, ზოგს – ლექსის წერის, ზოგს – ხატვის ნიჭი მიმადლა...

ხელოვანი, რომლის შესახებაც უნდა გესაუბროთ, საოცარი ნიჭითაა მოვლენილი, – არც კი ვიცი, რა ვუწოდო – ქვის გრძნობა თუ ქვის მოსმენის ნიჭი. თვითონ სერიოზულად ამტკიცებს: ყველა ქვა განსხვავებულ ხმას გამოსცემსო.

ელენე ლუხუტაშვილი დიდი შიმშილობის წლებში დაიბადა, – აკი, მის დედას 3 წლის ბიჭუნა და ელენეს ტყუპისცალი ჩვილი გოგონა შიმშილმა მოუკლა... გაჭირვებით გაზარდა ქმრისგან მიტოვებულმა ქალმა დარჩენილი ერთადერთი ბავშვი, თივაჩაფენილ სპილენძის ქვაბში ჩასვამდა ხოლმე, თვითონ კი კარიკარ დადიოდა და პურის ნატეხებს აგროვებდა.

სპილენძის ქვაბიდან გადმოვიდა თუ არა, ელენემ ნახშირი აიღო და ყვავილების ხატვა დაიწყო. ლუკმაპურის საშოვნელად გასულ დედას მისი ნიჭი არც შეუმჩნევია... გოგონას ხატვის დაუოკებელი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ფუნჯი და ფანქარი მისთვის მიუწვდომელი ფუფუნება იყო. ერთხელ ქუჩაში ძვირფასი ქაღალდის ნაგლეჯი იპოვნა, წამოიღო, გააუთოვა და ზედ შესანიშნავი სურათი დახატა.

ელენე თელავის სკოლაში რომ შევიდა, დედა უკვე დაავადებული იყო. გოგონა გაკვეთილების შემდეგ საკლასო ოთახებს შემოივლიდა ხოლმე, მერხებში დარჩენილ პურის ნატეხებს აგროვებდა და დედასთან მიარბენინებდა... ელენეს დედა რუსულის მასწავლებელი იყო და შვილს ისე კარგად შეასწავლა ენა, რომ ერთხელ გულუბრყვილო ბავშვმა მასწავლებელს სიტყვა შეუსწორა. განრისხებულმა პედაგოგმა კი ისე დაჰკრა მუშტი მაგიდას, გოგონას მოეჩვენა თითქოს ხელი მაგიდის ქვეშ ჩავიდა. სწორედ მაშინ დახატა პირველი კარიკატურა და ამის გამო კინაღამ გარიცხეს სკოლიდან. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, – სხვა პედაგოგებმა ნახატი მოიწონეს და გოგონას პატარა მხატვარი შეარქვეს, – იმ დღის შემდეგ, რაც კი დასჭირდებოდათ, ყველაფერს მას ახატვინებდნენ. ელენეს ქვებზე ნახშირით ხატვა უკვე აღარ აკმაყოფილებდა, – ფერთა შეხამება მოუნდა, ფერადი ფანქრები კი ისევ მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა. ერთხელაც, გაზაფხულით აელვარებულ ალაზნის ველს რომ გახედა, გადაწყვიტა ყვავილებით ეხატა და ჩანაფიქრი შესანიშნავად განახორციელა კიდეც, – ყვავილთა ფურცლებით უჩვეულო სურათებს აკეთებდა, მაგრამ ყვავილები მალე ჭკნებოდა და ნახატები იცრიცებოდა. მერე ხორბლითა და ლობიოს მარცვლებით დაიწყო ხატვა, თუმცა ლობიო საჭმელადაც არ ყოფნიდათ და გოგონა სულ იმას ფიქრობდა, რამენაირად გაეხანგრძლივებინა თავისი ნახატების სიცოცხლე. ფიქრობდა და მიაგნო კიდეც გამოსავალს, – მისმა სურათებმა სიცოცხლე ქვებისგან შეიძინა, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი რიყის ქვებისგან...

სულ პირველად ეს ქვები ისე განალაგა, რომ ყვავილები „დაიხატა“, მერე კი – პორტრეტები, პეიზაჟები... მერე პალიტრა ჭურჭლის ნამტვრევებითაც გამდიდრდა...

15 წლისა იყო ელენე, თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაში რომ დაიწყო მუშაობა, – პირველი ხელფასით პური იყიდა, – მანამდე მთელი პური ნანახი არ ჰქონდა და აღფრთოვანებულმა ეს პური დახატა კიდეც, – „დედამ პურის ნატეხებით გამზარდა, სიცოცხლე შემინარჩუნა, მე კი ჭურჭლის ნატეხებით და რიყის ქვებით ჩემს ნახატებს ვაძლევ სიცოცხლეს“, – ღიმილით მითხრა და ერთ უბრალო კოკის ნატეხზე მიმითითა: აი, ეს ფერი ძალიან მიჭირს, უამრავი ქვა და ჭურჭელი მაქვს, მაგრამ ასეთი მასალა მეტი აღარ მომეპოვება, მეშინია, არ მომპარონო. უნებურად გამეღიმა, – ვის რად უნდა ის კოკის ნამტვრევი, ეს, ელენეს ესმის ქვისა და ნამსხვრევების ენა, მისი ხელი ქმნის საოცრებებს, თორემ სახელოსნოში დახვავებული ქვა-ღორღი სხვისთვის უღიმღამო და უაღრესად პროზაული მასალაა.

უაღრესად პროზაული-მეთქი, – ვამბობ, – არა და, ამ მასალით ისეთ მშვენიერებებს ქმნის ქალბატონი ელენე, რომ სიტყვებით შეუძლებელია გადმოცემა, – ეს უნდა ნახო, უნდა საკუთარი თვალით აღიქვა.

ქვებთან მოსაუბრემ ფაბრიკაში მუშაობის დაწყებისთანავე აბრეშუმის პარკებითაც დაიწყო „ხატვა“. ამ მეთოდით მრავალი სურათი აქვს გაკეთებული, რომელთაგან აღსანიშნავია ოთხმეტრიანი თამარ მეფის პორტრეტი და ამავე ზომის რუსთველის პორტრეტი. ფაბრიკის ადმინისტრაციამ, თავის ტერიტორიაზე საკმაოდ დიდი ფართობი გამოუყო, – ეს არის ელენეს სახელოსნო და საგამოფენო დარბაზიც, აქ დრო შეუმჩნევლად გადის...

რაიონის ხელმძღვანელობა ყოველთვის მხარში edga მხატვარს; ქალბატონი მედეა მეზრიშვილი დღესაც მფარველობს და ადრეც ეხმარებოდა. სწორედ მოამაგე ადამიანების შემწეობით გაჰქონდა საკავშირო მხატვართა კავშირის წევრს თავისი ნამუშევრები რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო კონკურსებზე, ფესტივალებსა და ოლიმპიადებზე თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში... და, ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდა, – მის გარდა არსად, არავის ჰქონდა წარმოდგენილი ქვით ფერწერა. ლენინგრადში რამდენიმე წლით დაიტოვეს მისი ნამუშევრები და ჰონორარსაც უგზავნიდნენ; ახლაც 17 სამმეტრიანი ქვით ნახატი მოსკოვის თვითნასწავლ მხატვართა საგამოფენო დარბაზშია.

ელენეს შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ: ლადო გუდიაშვილი, უჩა ჯაფარიძე, გიგლა ფირცხალავა, ირაკლი აბაშიძე, გოგი ოჩიაური, ზურაბ წერეთელი, იოსებ ნონეშვილი...

ელენე ლუხუტაშვილი, თანამედროვეობის ფონზე, ქვებით აცოცხლებს მისთვის საოცნებო თამარ მეფის დროინდელ საქართველოს, ქვებით ამკობს მშობლიური კახეთის ლამაზ სანახებს, მეგობრობას, სიყვარულს, დედა-შვილურ გრძნობას... დედა-შვილობა მისთვის მტკივნეული თემაა, – შესანიშნავი მეუღლე ჰყავს, მაგრამ შვილის ღირსი ვერ გახდა, ამიტომ, გურამიშვილისა არ იყოს, თავისი შემოქმედება იშვილა... დამშვიდობებისას მითხრა: იანვარში სამოცდაათის ვხდები, ჯანმრთელობას არ ვუჩივი, მუშაობა სიცოცხლეს მიხალისებს, როგორც დედას არ მოსწყინდება შვილების მოფერება, ასე მე არ მბეზრდება ჩემს ქვებთან ლაციცი, მაგრამ... მაინც მეშინია, რამე არ დამემართოს, ეს ქვები და ნამტვრევები ობლად არ დამრჩეს, არ გადამიყარონო...

...ის, რასაც უფლის რჩეული ქალბატონი ქმნის, უკვდავია, როგორც ხელოვნება, როგორც სიყვარული.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო არმანის ტყვეობაში

*შესაძლოა, დაუჯერებლად ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, დღეისათვის მსოფლიო ბომონდის ერთ-ერთი მწვერვალი სწავლადაუმთავრებელ მედიკოსს ჯორჯიო არმანის უპყრია, რომელმაც მშობლების დაჟინებული მოთხოვნით მილანის უნივერსიტეტში ჩააბარა მისაღები გამოცდები, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლო და თერაპიული განყოფილების მესამე კურსიდან „თავს უშველა“.*



სამომავლო გეგმებზე ფიქრმა ვერშემდგარ ექიმს უკვე ჯარში მსახურობისას მოუწია, მაგრამ იტალიელი ჭაბუკი ალბათ ვერც მაშინ წარმოიდგენდა, ოდესმე დიზაინერი თუ გახდებოდა. შინ დაბრუნებული ჯორჯიო ერთხანს ფოტოგრაფის ასისტენტად მუშაობდა, ვიტრინებს აფორმებდა და ერთ მსხვილ იტალიურ უნივერმაღს საქონლით ამარაგებდა. სწორედ ამ უკანასკნელი საქმიანობის დროს გაეცნო იგი მსოფლიო მოდის სამყაროში იმ ხანებში მყარ პოზიციებზე მყოფ ნინო ჩერუტის, რომელმაც მაშინვე იწამა არმანის ნიჭისა და HITMAN-ის მარკის მოდელების შემუშავება შესთავაზა. უკვე ათი წლის შემდეგ კი ნიჭიერმა იტალიელმა რისკზე წასვლა გადაწყვიტა და მსოფლიო მოდის ოკეანეში დამოუკიდებლად შეცურა.



არმანის ტრიუმფალური სვლა მოდის დიდ სამყაროში 1975 წელს მის პირველ კოლექციაში ქალის ბლეიზერის შექმნით დაიწყო, საოცრად რომ წააგავდა მამაკაცისას. ამ ფაქტის წყალობით, იგი ჟურნალ „Time“-ის გარეკანზე მოხვდა და კრისტიან დიორის შემდეგ მეორე დიზაინერი გახდა, ასეთი პატივი რომ ხვდა წილად. დღეს ჯორჯიო არმანი ხელაღებით ადანაშაულებს ზოგიერთ კოლეგას, კერძოდ ჯილ სანდერსსა და კელვინ კლაინს მისი მოდელების აშკარა წაბაძვაში. ისინი კი, თავის მხრივ, ზედმეტ თავდაჯერებულობას სწამებენ მაესტროს.

უკანასკნელის თაობაზე უნდა ითქვას, რომ მსგავსი აზრის გამოთქმის საფუძველს ჯიო, როგორც მას მოფერებით უწოდებენ, თავადვე იძლევა: დაახლოებით ნახევარი წლის წინ დიზაინერმა ერთ დიდ სახელმწიფოს ... გამოუცხადა ომი, ხოლო ერთ-ერთ ჩვენებაზე მომხდარი სკანდალის შემდეგ ოფიციალურად განაცხადა, რომ საერთოდ ამბობს უარს პარიზული pret-a-porter-ის კვირეულებში მონაწილეობაზე. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა ამ შემთხვევამ კიდევ უფრო გაამყარა მისი პოზიციები და საერთოდაც, როცა არმანი რისკზე მიდის, ყოველთვის მოგებული რჩება. ასე მაგალითად, კარიერის დასაწყისში, 70-იანი წლების შუა ხანებში დიზაინერმა უარი განაცხადა ყოველგვარ ბაფთებსა და ფურჩალებზე და თავისი შემოქმედების მთავარ პრინციპად აბსოლუტური მინიმალიზმი აღიარა. შემდეგ კიდევ ერთი რისკი და ჯიომ კვლავ პირველმა შექმნა „ცინცხალი“ არომატი „Aqua de Gio“, რომელმაც ელვისუსწრაფესად მოიპოვა პოპულარობა და მას შემდეგ მსგავსი მსუბუქი არომატები თითქმის ყველა დიზაინერის „გატაცებად“ იქცა...

მის კარიერას ფენომენალურს უწოდებენ, რადგან მოდის სამყაროში ორმოცი წლის ასაკში ფეხშედგმული არმანი უმალვე მოექცა დიდების ოლიმპზე და ამაზე მის სახელგანთქმულ კლიენტთა სოლიდური სიაც მიუთითებს: სოფი ლორენი, ორნელა მუტი, მიშელ პფაიფერი, მერილ სტრიპი, კიმ ბესინჯერი, მირა სორვინო, ჯოდი ფოსტერი, ჯინა დევისი, რიჩარდ გირი, მელ გიბსონი, ნიკოლას კეიჯი, ბორის ბეკერი, მონაკოს პრინცესა კაროლინა ოჯახით...



მაგრამ დიზაინერის უდიდესი პოპულარობის საიდუმლო მხოლოდ ამაში როდია – 65 წლის ასაკშიც კი ჯორჯიო არმანი 40 წლის მამაკაცივით გამოიყურება, დიდად ამაყობს შესანიშნავი ჯანმრთელობითა და იდეალური სპორტული აღნაგობით, თვლის რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და თავისი ცხოვრების მხოლოდ ნახევარგზაზე იმყოფება...

თარგმნა მანანა იმედაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უსიამოვნების ასაცილებლად

ვისაც პირიდან ცუდი სუნი აწუხებს, დროთა განმავლობაში ნერვიული და ეჭვიანი ხდება. და მართლაც, მას მრავალი უხერხულობა მოაქვს უბრალო ურთიერთობის დროსაც და ყველაზე ინტიმურ მომენტებშიც, მაგრამ მრავალი საშუალება არსებობს, ამ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად.

თუ ცუდი სუნი ორგანიზმის რაიმე დარღვევასთანაა დაკავშირებული: კარიესი, ქრონიკული ტონზილიტი ან გასტრიტი, საკმარისია, დაავადება განვკურნოთ და სუნიც გაქრება, მაგრამ თუ ცუდი სუნი კონკრეტულ დაავადებას არ უკავშირდება და გადაღლილობის ან ნერვიული სტრესების შედეგად გაგიჩნდათ, მაშინ ხალხური მედიცინის რეცეპტებით ისარგებლეთ:

– პირველ რიგში, დილას, საღამოს და ყოველი ჭამის შემდეგ გულდაგულ გამოირეცხეთ პირი პიტნის ფოთლების ნაყენით (1 სუფრის კოვზ ფოთლებს 1/2 ლიტრი მდუღარე წყალი დაასხით და 30 წუთს გააჩერეთ). განსაკუთრებით ძლიერი ცუდი სუნის დროს, ლოყის მხარეს შიგნიდან მიხაკის (კულინ). პატარა ჩხირი ჩაიდეთ.

ძალზე კარგია ახლადმომზადებული გვირილის ჩაიც (2 სუფრის კოვზი გვირილა 1/2 ლიტრ წყალში 5 წუთს ადუღეთ).

დღის განმავლობაში კი, მენთოლის საღეჭი რეზინი ან პიტნის კანფეტები ჩაიდეთ პირში.

# შარლოტა ბრონტე... მკვლელი?!

ინგლისში გამოსაცემად მზადდება კრიმინალისტ ჯეიმს ტალის სენსაციური წიგნი „შარლოტა ბრონტეს დანაშაულობანი“, რომელშიც ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სახელგანთქმული „ჯეინ ეირის“ ავტორმა იმ ქვეყნად თავისი ორი მწერალი და – ემილი და ანა და ძმა – პატრიკი გაისტუმრა.

ტალის აზრით, ემილი ბრონტე, ავტორი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანის „ელჭექიანი უღელტეხილი“, რომლის მიხედვითაც 1939 წელს ლოურენს ოლივიეს მონაწილეობით ფილმიც კი გადაიღეს, 30 წლის ასაკში, როგორც აქამდე ითვლებოდა, ტუბერკულოზით კი არა, შენელებული მოქმედების მომაკვდინებელი შხამით გარდაიცვალა, რომელსაც ყოველ დღე უმცირესი დოზებით საჭმელში ურევდა უფროსი და. როგორც ცნობილია, იმ ხანებში შარლოტას ლიტერატურული მოღვაწეობა კრიზისს განიცდიდა და ქალს საშინლად შურდა ემილის წარმატებებისა. გარდა ამისა, მას, როგორც საოცრად ძუნწ ადამიანს, მოსვენებას არ აძლევდა დის ზღაპრული ჰონორარები და ყოველ ღონეს ხმარობდა, მისი წიგნის საავტორო უფლებების ხელში ჩასაგდებად.

ემილის გარდაცვალებიდან 8 თვის შემდეგ მოულოდნელად დაიღუპა 29 წლის ანა, ავტორი წიგნისა „აგნეს გრეი“, შემდეგ კი – 31 წლის პატრიკი, დები ბრონტეების ერთადერთი შემორჩენილი პორტრეტის ავტორი.

არქივში ქექვისას ტალიმ აღმოაჩინა მოახლე მარტა ბრაუნის მოგონებათა ნაწყვეტები, რომლის გადმოცემითაც, დები ხშირად ჩხუბობდნენ და დროდადრო მათი ბობოქარი სკანდალები ჭურჭლის მსხვრევით, თმების წეწვითა და ტანსაცმლის ფლეთვით მთავრდებოდა. როცა ემილი ლოგინად ჩავარდა, ექიმი გარდაცვალებამდე მხოლოდ ორი საათით ადრე გამოიძახეს, ხოლო შარლოტამ მარტას პირობა დაადებინა, რომ არსად იტყოდა, რა ხდებოდა მათ ოჯახში.

„სავარაუდოა, – წერს ტალი, – შარლოტა თანამზრახველთან ერთად მოქმედებდა და იგი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი, ახალგაზრდა პასტორი არტურ ბელს ნიკოლსი უნდა ყოფილიყო, რომელსაც მოგვიანებით ცოლად გაჰყვა“.

აქვე მეორე საიდუმლოსაც აეხადა ფარდა – გოგონები მამის, პედანტი და მორალისტი ადამიანის მეთვალყურეობით იზრდებოდნენ, რომელსაც მიაჩნდა, რომ ყოველგვარ ფუფუნებას, თუნდაც იგი ტანსაცმელი ყოფილიყო, ცოდვისკენ მიჰყავდა ადამიანი. ამიტომაც დები მხოლოდ პურითა და კარტოფილით იკვებებოდნენ, ტანთ გაცრეცილი, მოდიდან გასული ტანსაცმელი ეცვათ და ბავშვობა იმ პირქუშ სახლში გაატარეს, რომლის ფანჯრებიც სასაფლაოს გადაჰყურებდა. დედის გარდაცვალების შემდეგ ისინი სკოლიდან გამოიყვანეს და განათლებას შინ იღებდნენ. მამა ბავშვებს თანატოლებთან მეგობრობას უკრძალავდა და ცუღლუტობისთვის დრო რომ არ დარჩენოდათ, სამეურნეო საქმეებს აკეთებინებდა.

საბედნიეროდ, მკაცრი და პირქუში მშობლის ძალაუფლება გოგონების ოცნებებსა და ფანტაზიებზე ვერ ვრცელდებოდა და ისინიც, საკუთარი არსებობის გასალამაზებლად, მოთხრობებსა და რომანებს ქმნიდნენ, რომელსაც გულდაგულ უმალავდნენ მამის სასტიკ თვალს და მის გარდაცვალებამდე საიმედო სამალავში ინახავდნენ. და, რამდენადაც ეს ნაშრომები ანონიმური იყო, მოგვიანებით მათი ავტორის დადგენა შეუძლებელი გახდა, თუმცა ექსპერტიზამ ის მაინც დაამტკიცა, რომ ყველა რომანი მხოლოდ ერთ ადამიანს ეკუთვნოდა.

მარტას გადმოცემით, ემილი „ელჭექიანი უღელტეხილის“ შემდეგ იმდენად ბევრს წერდა, რომ მხედველობა დაუზიანდა. იმ ფაქტს, რომ დის ახალი ნაწარმოები დასასრულს უახლოვდებოდა, წინდაუხედავად აღნიშნავდა საკუთარ დღიურში შარლოტაც. მალე ემილი გარდაიცვალა, რომანი კი გაქრა. ტალი თვლის, რომ ქალმა იგი ან დაწვა, ან უბრალოდ... მიითვისა.

„შარლოტას ჭირივით სძულდა ემილი, – წერს ტალი, – რადგანაც მისი წარმატებებისა შურდა. ქალს საოცრად ეშინოდა, მასზე ბევრად ნიჭიერი დის ჩრდილქვეშ დარჩენისა და მის თავიდან მოშორებაზე ოცნებობდა. მკვლელობისათვის საგულდაგულოდ მზადების წინ, შარლოტამ დის ტუბერკულოზით დაავადების თაობაზე გაავრცელა ჭორი, თუმცა ემილი, სიგამხდრისა და სიფერმკრთალის მიუხედავად, ჯანმრთელი იყო. პატრიკი და ანა კი ქალმა იმიტომ გაიმეტა, რომ დანაშაულის მოწმეები იყვნენ.

ყველა ამ თავგანწირული ნაბიჯის მიუხედავად, შარლოტა ბრონტემ მაინც ვერ შეძლო სრულად დამტკბარიყო დის ქონებითა და სახელ-დიდებით – 6 წლის შემდეგ 39 წლის ასაკში იგი პირველ ფეხმძიმობას გადაჰყვა.

**„მეგაპოლის-ექსპრესი“ №39, 1999**
**თარგმნა მანანა იმედაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაზე სდუმან ვარსკვლავები

*„თუ ჰოლივუდის დღევანდელ კინოვარსკვლავთა უმრავლესობას ყურადღებით დააკვირდებით, იოლად შეამჩნევთ, რომ ჩემს კოლეგებს უსაქმოდ ჯდომის საშუალებას არ აძლევენ, – თვლის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული პლასტიკური ქირურგი ჯერომ კრაფტი, რომელიც ფლორიდის შტატში, ბოჰემურ პალმ-ბიჩში მოღვაწეობს. – მსახიობებმა კარგად უწყიან, მათი კარიერა მათსავე გარეგნობაზე რომაა დამოკიდებული და უშიშრად ანდობენ თავს სკალპელს. თითზეა ჩამოსათვლელი ის ლამაზმანები, რომელთაც ორმოც წლამდე სილამაზე ქირურგის დაუხმარებლად შეინარჩუნეს და, მეც სიამაყით უნდა აღვნიშნო, ჩემი კოლეგები მართლაც საოცრებებს ახდენენ“.*

საოცრებები კი რაციონალურ ამერიკაში საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა – თუ მკერდის გადიდება გსურთ, 6 ათასი დოლარი უნდა გაიღოთ, შემცირება – 7,5 ათასი დაგიჯდებათ, ცხვირის კორექცია – 6 ათასი ღირს, სახის დაჭიმვა – 9 ათასი დოლარი, თვალების გარშემო ნაოჭების მოშორებას 4 ათასი დოლარი სჭირდება, ტუჩების ფორმის შეცვლა 200-დან 800 დოლარამდე მერყეობს, ლიპოსაქცია ანუ ცხიმების „ამოქაჩვა“ სხეულის ნებისმიერ ნაწილზე გალამაზების მსურველს 2,5-3 ათასი დოლარი დაუჯდება, ხოლო მათ, ვისაც საკუთარი გარეგნობა არანაირი რაკურსით არ აწყობს, ექიმები მომსახურების „კომპლექსურ პაკეტს“ სთავაზობენ და ეს სასწაულებრივი გარდაქმნა 50 ათასი დოლარი ღირს, იმდენივე, რაც საუკეთესო ავტომობილი. რასაკვირველია, ფასები იმისდამიხედვით მერყეობს, თუ ვინ და სად აკეთებს ოპერაციას, მაგრამ ჰოლივუდელი ვარსკვლავები თითოეულ სურათში მილიონობით დოლარის ჰონორარს იღებენ და ამიტომაც დახმარებისათვის საუკეთესო სპეციალისტებს მიმართავენ, რასაც გულდაგულ მალავენ კიდეც.

52 წლის შერი საფეთქელზე იარაღმიდებულიც არ აღიარებს, რომ ქირურგების მომსახურეობით სარგებლობს და თანაც მრავალგზის. ტაბლოიდებმა მსახიობს „პლასტიკური ოპერაციების დედოფალი“ უწოდეს და ერთხმად ამტკიცებენ, მის სხეულზე პატარა ნაწილიც არ დარჩენილა, სკალპელი რომ არ შეხებოდაო.

ამ მხრივ არანაკლები „მატყუარა“ ერთ დროს „აერობიკის დედოფლად“ წოდებული ჯეინ ფონდა გახლავთ, რომელმაც ოთხი წლის წინ, როგორც იქნა აღიარა, რომ მისი სრულყოფილი სხეული ფიზიკური ვარჯიშების კი არა, ქირურგების დამსახურება გახლავთ. სხვათა შორის, 1990 წელს მას ექიმებმა ორი ქვედა ნეკნი ამოაცალეს, კრაზანასავით წვრილი წელი რომ ჰქონოდა.

ამერიკული სერიალის „დინასტიის“ მთავარი ალქაჯი ჯოან კოლინზიც, რომელიც ამჟამად 66 წლისაა, საკუთარი ნებით შეელია ნეკნებს, თუმცა ამის აღიარებას ცოცხალი თავით არ აპირებს.

როცა სამი წლის წინ როკ-ნ-როლის მეფის ელვის პრესლის ერთადერთი ასული ლიზა მარია პრესლი მაიკლ ჯექსონს გაშორდა, ცხოვრების თავიდან დაწყება გადაწყვიტა და... პლასტიკურ ქირურგებს მიმართა, რომელთაც მკერდი გაუსწორეს, თეძოებიდან ცხიმის ფენები მოაშორეს, სახე დაუჭიმეს, წარბების ფორმა შეუცვალეს და ნიკაპი „შეურბილეს“, თუმცა ცხვირს ხელი არ ახლეს, ასე თუ ისე „საფირმო ნიშანიაო“. ახლა სამი შვილის 30 წლის დედიკო 42 ზომა ტანსაცმელს ატარებს და ძველებურად ახალგაზრდა და ლამაზი, კვლავ გათხოვებას აპირებს.

არავინ იცის, რას ფიქრობს გათხოვების თაობაზე მადონა, მაგრამ 40 საკმაოდ გადაცილებული მომღერალი რომ დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარ გარეგნობას, ეს ცხადია. როგორც გაზეთ „ნიუს ოფ ზე უორლდის“ რეპორტიორები ამტკიცებენ, გასულ წელს ლონდონის ერთ კლინიკაში მადონას რეგულარულად უკეთებდნენ შხამიანი სოკოების გაზავებული ტოქსინების ინექციებს, რომლებიც სახის კუნთების პარალიზებას ახდენს და ნაოჭებს ასწორებს. თითოეული ეს ინექცია 300 დოლარი ღირს და, ექიმ ჟან-ლუი საბას განმარტებით, ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

ეკრანებზე ფილმ „სტრიპტიზის“ გამოსვლის შემდეგ, აგერ უკვე რამდენი წელია არ წყდება ცხარე კამათი დემი მურის თაყვანისმცემელთა შორის, რომლებიც ერთხმად ამტკიცებენ, მისი ფუმფულა მკერდი პლასტიკური ქირურგების წყალობააო და, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, მსახიობის მონაწილეობით წინა წლებში გამოსული ფილმები მოჰყავთ, სადაც აშკარად მოჩანს საგრძნობი სხვაობა. სხვათა შორის, ქირურგიული მეთოდით მკერდის გადიდება ჰოლივუდში ერთობ პოპულარული თემა გახლავთ და თავის დროზე მას ჯინა დევისმა, ჯანეტ ჯექსონმა, პამე-

**ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში – მ. კოსტავას ქ. № 14, V სართული.**




რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14.

რედაქტორის
ტელეფონი:
99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 22.11.99 წ.
ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.12.99 წ.
ქაღალდის ზომა $60X90^1/_8$,
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. ტირაჟი 700
შეკვეთა 1379

ლა ანდერსონმა, ჰიზერ ლოკლირმა, ლაიზა მინელიმ, ბრიჯიტ ნილსენმა, შარონ სტოუნმა, ტინა ტერნერმა და მრავალმა სხვამაც მიმართა.

უნდა ითქვას, რომ ჰოლივუდელ კინოვარსკვლავთა შორის ისეთებიც მოიპოვებიან, კატეგორიულად რომ ეწინააღმდეგებიან „ხელოვნურ გაახალგაზრდავებას“. ამის დასტურად თუნდაც 64 წლის, ძველებურად თვალისმომჭრელი სოფი ლორენიც იკმარებს. „მიმაჩნია, რომ სიმართლეს და ასაკს თვალებში უნდა შევხედოთ, – აღნიშნა მან ერთ-ერთი ინტერვიუს დროს. – უბრალოდ, წლების მატებასთან ერთად უფრო მოზომილად უნდა ვიხმაროთ კოსმეტიკა, კარიკატურას რომ არ დავემგვანოთ“.

ბარბარა სტრეიზანდის ცხოვრებაში ისეთი პერიოდიც ყოფილა, როცა საძაგელ იხვის ჭუჭულად მიიჩნევდნენ. „მაგრამ იმ დროსაც კი, – იხსენებს მსახიობი, – არაფრის დიდებით არ დავთანხმდებოდი პლასტიკურ ოპერაციას, იმიტომ, რომ საშინლად მეშინია... თუ დამიჯერებთ, ყურებიც კი არასოდეს გამიხვრეტია.

მზეთუნახავი ბო დერეკი, რომელიც ფილმ „10“-ის შემდეგ ჰოლივუდის სექს-სიმბოლოდ აღიარეს, კატეგორიულად წინააღმდეგია ქირურგიული ჩარევისა და აღნიშნავს: „ქალები, რომლებმაც პლასტიკური ოპერაცია გაიკეთეს, ერთმანეთის მსგავსად გამოიყურებიან. ამას წინებზე ლოს-ანჯელესში ვსადილობდი და საშინელმა გრძნობამ შემიპყრო – ყველა, ვინც ჩემს გარშემო იმყოფებოდა, ერთმანეთის ასლს წარმოადგენდა: ერთნაირი ცხვირები, ლაწვები, მსგავსი ნიკაპი, სხეული, და ქერა თმები, ეს ხომ არაბუნებრივია. მოვა დრო, როცა ყველანი მოვხუცდებით და გავჭაღარავდებით და ალბათ თითოეულმა თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ ებრძოლოს ამას, მაგრამ მე იმ ქალებს ვცემ პატივს, საკუთარ ასაკზე ახალგაზრდულად რომ არ გამოიყურებიან და მაინც საოცარ მიმზიდველობას ასხივებენ“.

ჟურნალი „კარავან ისტორიი“
1999 №7



სელმა ჰაიეკი



მადონა



ლიზა მარია პრესლი

ეროვნული ბიბლიოთეკა





**ბადრი გაბნიძის**
ლითოგრაფიები:

„გაზაფხულის საღამო“

„საღამოს 9 საათი“

ფასი 1 ლარი